ამბროსი გრიშიკაშვილი

საქართველო გლობალურ სამყაროში

გამომცემლობა „ცის ნამი”

20 თბილისი 10

წიგნში შესწავლილი და გაანალიზებულია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები და უკვე დასახული ძირითადი ტენდენციები. იმავდროულად ისინი შედარებულია სხვა ქვეყნებში არსებულ ანალოგიურ ეკონომიკურ პროცესებთან და გადმოცემულია მათი გადაჭრის გზების ავტორისეული გაგება.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ლექტორების და საერთოდ ყველა მათთვის, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური წინსვლა.

რედაქტორი: ივანე ჩხაიძე, ეკონომისტ-მათემატიკოსი, საინვესტიციო კომპანია „ვანო და კომპანის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

რეცენზენტი: დავით ჯანგულაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შპს „თბილისის უნივერსიტეტის" რექტორი

ISBN 978-9941-419-03-4

ორი ილია გლობალურ სამყაროში საქართველოს შესახებ

„ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურებულიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს წაგვაყვედრიან"

ილია ჭავჭავაძე

„ქართველი ადამიანი ბუნებით მოსიყვარულე და შემწყნარებელია. ტოლერანტობა ჩვენ წიგნებიდან არ გვისწავლია, ეს ჩვენი თვისებაა. მისი ნათელი გამოხატულებაა ის, რომ საუკუნეთა მანძილზე ამ მიწაზე უპრობლემოდ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც მეგობრობითა და მოყვრობით არიან ქართველ ხალხთან დაკავშირებულნი. შინაგანად ასეთია ქართველი ხალხი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ოდესმე შეეგუება სამშობლოს ერთიანობის ხელყოფას. . ."

სამობაო ეპისტოლე უწმინდესის და უნეტარესის კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორისა

ავტორისაგან

როდესაც წინამდებარე წიგნის ბოლო ვარიანტს კიდევ ერთხელ ვკითხულობდით და მის ფურცლებზე დახვავებულ მირიად ციფრს ვაცნობიერებდით, ჩემს გონებაში გამოჩენილი ბრიტანელი მოაზროვნის და მეცნიერის (ისტორიკოსი, მრავალი წიგნი მიუძღვნა საფრანგეთის დიდ რევოლუციას) თომას კარლეილის ერთი დაკვირვება გამახსენდა: ეკონომიკურ მეცნიერებაზე უინტერესო მეცნიერება არ არსებობსო.

ვერ დავეთანხმებით.

განა იმ ციფრების უკან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ, სამეურნეო თუ სოციალურ მდგომარეობას ასახავენ, უაღრესად საინტერესო და დამაფიქრებელი მოვლენები არ იმალება?! განა ის სავალალო დემოგრაფიული ვითარება, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი, ნებისმიერი ქართველისათვის ფიქრისა და წუხილის საგანი არ უნდა იყოს?! ამასთან, ნაცვლად იმისა, რომ ყოველნაირად ხელი ეწყობოდეს და ხალისდებოდეს ფერტილურ ასაკში მყოფ ახალგაზრდობა, რომ მათ ოჯახის შექმნასა და ერის გამრავლებაზე იფიქრონ, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ძალიან მცირე რამ კეთდება. ჯერ ერთი, სწორედ ამ ასაკში მყოფ ახალგაზრდებშია უმუშევრობის დონე მაღალი და მეორეც, როგორ უნდა გადაიხადოს ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ახალგაზრდა ოჯახმა მშობიარობაში 900 და მეტი ლარი?!

ყოველივე ამას კი როგორ წარმოიდგენ კაცი, თუ არა ციფრებითა და შესაბამისი მაჩვენებლებით, რომელთაც

ეკონომიკური მეცნიერება იკვლევს, ადგენს და განსასჯელად გვთავაზობს?!

ან ის ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ თანდათანობით მცირდება ქვეყანაში დამუშავებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები მატების ნაცვლად და როგორ მატულობს გავერანებული მიწები, მაშინ, როდესაც პირიქით უნდა ხდებოდეს?! სწორედ ესაა იმის ერთ-ერთი მიზეზი (მოსავლიანობის კლებასთან ერთად), რომ ადგილობრივი სასურსათო პროდუქციით ვაკმაყოფილებთ ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილების მხოლოდ 9-10%-ს, მაშინ, როდესაც იაპონიაში ანალოგიური მაჩვენებელი 75-80%-ს შეადგენს; იქაც ხომ პროცენტულად თითქმის გუსტად იმდენს შეადგენს დამუშავებისათვის ვარგისი სავარგულები მთელს მიწებში (13-15%), რამდენსაც ჩვენთან?! (ცნობისათვის: სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება მსოფლიო ხმელეთის მხოლოდ 6,7%)

როგორც ჩანს, ჩვენ ჯერ ეკონომიკის აგრარულ სექტორსაც ვერ ვავითარებთ ჯეროვნად, ინდუსტრიაზე რომ არაფერი ვთქვათ და მით უფრო პოსტინდუსტრიულ დარგებზე (თანამედროვე განვითარებული ქვეყნები უკვე არათუ აგრარული ან ინდუსტრიული, არამედ პოსტინდუსტრიული არიან).

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ: ფინეთი, სადაც დაახლოებით იმდენივე მოსახლეა, რამდენიც საქართველოში, წარმოებული მობილური ტელეფონებით (ნოკია) მსოფლიო ბაზრის თითქმის მესამედს იპყრობს. ამას წინათ ოკეანეში შეცურდა უნიკალური, დღემდე არარსებული ლაინერი, რომელიც აშშ-ის შეკვეთით (შეერთებულმა შტატებმა მასში 800 მლნ დოლარზე მეტი გადაიხადა) ფინელმა გემთმშენებლებმა ააგეს. მან 6000 მგზავრზე მეტი უნდა გადაიყვანოს და მას 1200 კაციანი ეკიპაჟი მოემსახურება.

ან ის ციფრები არ უნდა იწვევდეს ჩვენს დიდ წუხილს, რომლებიც გვამცნობენ, რომ მთელ ჩვენ საგარეო ვაჭრობაში

იმპორტის ხვედრითი წონა 80%-ს აღემატება და უარყოფითი სალდო საგარეო ვაჭრობაში ყოველწლიურად მატულობს?!

ვფიქრობთ, ყოველივე ეს საინტერესო და დამაფიქრებელია არა მხოლოდ წიგნის ავტორისათვის, არამედ მისი ყველა მკითხველისათვის, ხოლო ნაშრომში დასმული პრობლემები სასწრაფო და სათანადო გადაჭრას მოითხოვს.

გლობალურ სამყაროში საქართველოს პრობლემების თემაზე შედარებით მომცრო წიგნი, ამავე სათაურით, ჩვენ უკვე გამოვეცით. მაგრამ იმის გამო, რომ მან დააინტერესა როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობა, ასევე მათი პედაგოგები და ამასთან, განვლილ პერიოდში მოვიპოვეთ ახალი მასალებიც, გადავწყვიტეთ არსებული ტექსტისთვისაც გადაგვეხედა მისი სრულყოფა-განახლების მიზნით და ახალიც დაგვემატებინა.

ასე წარმოსდგა ეს ნაშრომი.

ამბროსი გრიშიკაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე

დემოგრაფიული ცვლილებები

„სიღარიბე ყოველთვის შეუძლებელს არ ხდის ქორწინებას იგი, როგორც ეტყობა, ხელშემწყობიც არის გამრავლებისა. ნახევრად მშიერი ზემოშოტლანდიელი დედაკაცი ხშირად 20 ბავშვზე მეტს შობს, მაშინ, როდესაც კარგად ნაკვებ ნარნარა ქალბატონს ერთის შობაც კი არ ძალუძს და ჩვეულებრივ იგი 2 თუ 3 ბავშვის შემდეგ გამოფიტულია".

ადამ სმითი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ".

წინამდებარე წიგნს შემთხვევით როდი ვიწყებთ ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებზე მსჯელობით. ჯერ ერთი, დემოგრაფიული რესურსი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია ქვეყანაში. სწორედ მასზეა დამოკიდებული სხვა ნებისმიერი რესურსის, ფინანსური იქნება თუ მატერიალური, გამოყენების ეფექტიანობა (შემთხვევითი როდია, რომ იაპონიას, რომელსაც თითქმის არ გააჩნია ბუნებრივი რესურსი, თავისი ეკონომიკური სიძლიერით უკვე II ადგილი უკავია მსოფლიოში. უფრო სწორედ, მესამე აშშ-ს და ევროკავშირის შემდეგ). გარდა ამისა, რა ფასი აქვს ეროვნული მეურნეობის განვითარებას, თუ ქვეყანაში აღარ დარჩება ძირძველი მოსახლეობა, ანდა ინტენსიურად დაიწყება მისი დაბერება?! არადა, სწორედ ასეთი პროცესები მიმდინარეობს დღევანდელ საქართველოში, ამას კი დროული მიხედვა და შველა სჭირდება.

ამასთან, დღევანდელ მსოფლიოში სახელმწიფოს მძლავრი იარაღი დემოგრაფიული ხასიათისაა.

ყველამ იცის, რომ კოსოვოში, ამ უძველეს სერბულ მიწაზე, ალბანელები თავად სერბების ხელშეწყობით ჩასახლდნენ, მაგრამ შემდეგ ისე გამრავლდნენ, რომ ეს გამორჩევით ისტორიულად სერბული ტერიტორია მის პატრონს წაართვეს, თავად დაეპატრონნენ და მრავალი სახელმწიფოს მიერ (თანაც საკმაოდ ძლიერების) აღიარებასაც მიაღწიეს.

თუ რა დიდი ძალის მქონე და ეფექტურია დემოგრაფიული იარაღი, ამაზე ყველაზე ნათლად თავისი აზრი გამოთქვა XX საუკუნის 80-იან წლებში ისრაელთან ომში ჩაბმულმა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ლიდერმა იასირ არაფატმა: „ჩვენ ისრაელს პალესტინელი ქალის საშოთი დავამარცხებთო“. მართლაც, მომრავლებულმა პალესტინელებმა ისრაელისაგან მიტაცებული მიწები დაიბრუნეს და სახელმწიფოებრიობაც მოიპოვეს.

დემოგრაფიულ იარაღს ასევე ეფექტურად იყენებენ სხვა ქვეყნებიც: ჩინეთი, თურქეთი და ა.შ. მაგალითად, ჩინეთიდან რუსეთს სერიოზული საფრთხე ემუქრება, რომელსაც დროზე უნდა შველა (თუკი ეს უკვე დაგვიანებული არ არის, ამ მიწებზე უკვე 20 მილიონზე მეტი ჩინელია შემოსული) და გადაჭრა (წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინელები მთელ ციმბირს, და არა მხოლოდ მას, დაიკავებენ), მაგრამ რუსეთი, ნაცვლად იმისა, რომ თავი დაიცვას, სამხრეთ კავკასიას უტევს.

სხვათა შორის, კრემლს ამ პრობლემის გადასაჭრელად მუფთი ტად ჯუდინი მუსლიმანი რუსი მამაკაცების ხელშეწყობისა და წახალისებისაკენ მოუწოდებს: სახელმწიფო მუსლიმ მამაკაცებს დაეხმაროს ორი ან მეტი ცოლის შენახვაში და ერის გამრავლების პრობლემაც გადაწყდებაო. თუმცა ასეთ შემთხვევაში რუსები რომ ახლა გათათრების პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან, მუფთის ამაზე არაფერი უთქვავს

რუსეთში მუსულმანები ხომ ისედაც მრავლდებიან და ბევრად უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე რუსები.

გასული საუკუნის 60-70-იანი წლებში საქართველოს მოსახლეობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, თუ იგი 1959 წელს შეადგენდა 4044 ათას კაცს, ათი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 5400 ათასს აღემატებოდა, ანუ თითქმის 15 პროცენტით გაიზარდა.

სამწუხაროდ, 90-იანი წლებიდან მისი შემცირება იწყება. სახელდობრ, თუ 1992 წელს მან თავის პიკს, – 5467,4 ათასს მიაღწია, შემდეგ იწყო კლება და 2008 წელს 4382,1 ათასამდე დავიდა. ამ უარყოფითი ტენდენციის გაღრმავებას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, მოსახლეობის მექანიკური შემცირება – მისი გასვლა ქვეყნიდან, სოციალური თუ ეკონომიკური მიზეზებით, ხოლო, მეორე მხრივ, შობადობის მაჩვენებლის კლება და სიკვდილიანობის ზრდა, ესეც დაახლოებით იმავე მიზეზებით. კერძოდ, ამ პერიოდში საქართველო დატოვა თითქმის მილიონმა ადამიანმა. იმავდროულად, მკვეთრად მცირდებოდა ბუნებრივი მატებაც. თუ 1985 წელს ჩვენი მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის მაჩვენებელი ათას კაცზე გაანგარიშებით, შეადგენდა 51,6 ადამიანს, 2007 წელს იგი 1,8-მდე შემცირდა. თუმცა საგულისხმოა, რომ, როგორც ქვეყნის სტატისტიკური სამსახური აცხადებს, 2008 წელს ადგილი ჰქონია შობადობის მაჩვენებლის ზრდას, რომელმაც 1000 მოსახლეზე 57,3 ადამიანი შეადგინა. ცხადია, თუ აღნიშნული პროცესები მომავალშიც ასე გაგრძელდება, ეს ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის გამრავლებას. სხვა სიტყვებით, თუ 1980 წელს ყოველ 1000 მოსახლეზე ბუნებრივი მატება 9,1 ადამიანს შეადგენდა, 2007 წლისათვის იგი 1,8-მდეა შემცირებული. ამასთან, იყო წლები (2002, 2003), როდესაც ქვეყანაში ბუნებრივი მატება საერთოდ არ აღინიშნებოდა, პირიქით, კლებასაც კი ჰქონდა ადგილი.

გამომდინარე ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან, რელიეფიდან, ტრადიციებიდან, ეკონომიკური განვითარების

დონიდან და ა. შ. მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი სრულიად განსხვავებულია. მაგალითად, 2007 წელს იგი არგენტინისათვის შეადგენდა (1000 კაცზე გაანგარიშებით) 10,4-ს, ავსტრალიისათვის – 6,4-ს, ავსტრიისათვის – 0,2-ს, ბელგიისთვის – 1,9-ს, ბელორუსისთვის – 3,0-ს, ბულგარეთისთვის – 4,9-ს, ჩინეთისთვის – 5,3-ს, ესტონეთისთვის – 1,2-ს, ფინეთისთვის – 1,8-ს *(მუსტად იმდენი, რამდენიც საქართველოში იყო 2007 წელს),* საფრანგეთისთვის – 4,6-ს, საბერძნეთისთვის – 0,2-ს, ესპანეთისთვის – 2,4-ს, ინდოეთისთვის – 16-ს, იაპონიისთვის 0,1-ს, ლიტვისთვის – 3,9-ს, გერმანიისთვის – 1,7-ს, პორტუგალიისთვის – 0,1-ს, რუსეთისთვის – 3,3, რუმინეთისთვის – 1,7-ს, თურქეთისთვის – 12,8-ს, უკრაინისთვის – 6,3-ს, უნგრეთისათვის – 3,5-ს, ბრიტანეთისთვის – 3,2-ს და იტალიისთვის – 0,1-ს.[1]

მოსახლეობის გამრავლების ხელშემშლელ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ასევე დაუქორწინებელ ადამიანთა რიცხვის ზრდა, განქორწინებულთა მატება და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულებში მოხდა საქართველოს მოსახლეობის სხვა სერიოზული სტრუქტურული ცვლილებებიც.

სახელდობრ, თუ 1959 წელს ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის მხოლოდ 41,6%, 2008 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ქალაქის მოსახლეობა კი, როგორც ცნობილია, ბუნებრივი ზრდის შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ეს, როგორც ტრადიცია, ისეა მთელ მსოფლიოში დამკვიდრებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე პერიოდში მოსახლეობაში შემცირდა მამაკაცების ხვედრითი წონა,

---

[1] აღნიშნული მონაცემების აღებისას ძირითადად ვსარგებლობდით საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტის კრებულით – „სტატისტიკური წელიწდეული – 2008", ხოლო რაც შეეხება მასალებს უცხოეთის ქვეყნების შესახებ, უმთავრესად ვისარგებლეთ პოლონური კრებულით „Rocznik statystyczny 2008", ვარშავა, 2009.

რომელმაც 1959 წლის 49%-ის ნაცვლად, 2008 წელს 47,2% შეადგინა, ანუ 1,8 პროცენტული პუნქტით იკლო.

ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილება ჯერ-ჯერობით სხვა უარყოფითი ნიშნითაც ხასიათდება. კერძოდ, მასში იზრდება პენსიონერთა ხვედრითი წონა, ეს კი ერის დაბერების უდაო მაუწყებელია. თუ 2002 წელს მთელ მოსახლეობაში პენსიონერთა წილი შეადგენდა 12,7%-ს, 2008 წელს ეს მაჩვენებელი 14,8%-მდე, ანუ 2,1 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი.

გამოდის, რომ საქართველოში ყოველი მეექვსე ადამიანი პენსიონერია, რაც მაღალი და დამაფიქრებელი მაჩვენებელია.

სხვათაშორის, ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ (ანუ მთელ მოსახლეობაში დაბალია პენსიონერთა ხვედრითი წონა, სხვა სიტყვებით – ერი ახალგაზრდაა), მექსიკას – 5,4%, სამხრეთ აფრიკას – 5,1, თურქეთს – 5,9%, ინდოეთს – 4,9%, ბრაზილიას – 8,2% და ჩინეთს – 9,2%, ხოლო მაღალი (ანუ სხვა სიტყვებით – ერი დაბერებულია) საბერძნეთს – 16,0, იაპონიას – 20,6, გერმანიას –17,5, შვეიცარიას – 14,3, შვედეთს – 15,3, უნგრეთს – 13,9. უკრაინას – 14,4, გაერთიანებულ სამეფოს – 14,2, იტალიას – 17,6% და ა. შ..

საგულისხმოა, რომ ამავე დროს, ჯერ-ჯერობით ჩვენ ქვეყანაში არ მცირდება შრომისუნარიანთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში, რომელმაც თუ 2002 წელს 60,6% შეადგინა, 2008 წელს მან თითქმის 65%-ს გადააჭარბა. ეს ნამდვილად პოზიტიური მაჩვენებელია, მაგრამ დღევანდელი დემოგრაფიული პროცესების გათვალისწინებით, იგი მომავალ წლებში საგრძნობლად დაიწყებს კლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ წლებში, როდესაც შრომის ბაზარზე უნდა გავიდნენ უკიდურესად დაბალი ბუნებრივი მატების წლებში დაბადებული ახალგაზრდები, ქვეყანას სამუშაო ძალაზე მკვეთრი დეფიციტი შეექმნება, რაც კვლავწარმოებით პრობლემებსაც წარმოშობს.

როგორც ცნობილია, ქვეყნის მოსახლეობის სწრაფი ზრდით შეშფოთებულმა ჩინეთის ხელისუფლებამ მიიღო ისეთი კანონი, რომელიც შობადობის დონის შემცირებას გამოიწვევდა. მისი მიხედვით, ახალგაზრდებს ეკრძალებათ დაქორწინება 20 წლამდე, ხოლო ახალშეუღლებულებს ეძლევათ არაუმეტეს ერთი ან ორი შვილის გაჩენის უფლება (მეორე შვილიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიყრმის შვილი ქალიშვილია). ამან მართალია საგრძნობი შედეგი მოიტანა და ჩინელების რიცხოვნობა 1,3 მლრდ-ზე დარეგულირდა, მაგრამ სამაგიეროდ, ასეთმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ ამ ქვეყნის შრომის ბაზარზე უკვე შექმნა სამუშაო ძალის დეფიციტი.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში სერიოზული ცვლილება განიცადა მოსახლეობამ ეთნიკური შემადგენლობის მხრივაც. აქ აშკარად ჩანს მთელ მოსახლეობაში ქართველების, ანუ ქვეყნის ძირეული მოსახლეობის, ხვედრითი წონის მატება.

კერძოდ, თუ 1979 წელს ქართველების წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 68,5% შეადგენდა, მას შემდეგ 2002 წლამდე განვლილ პერიოდში იგი 15 პროცენტული პუნქტით არის მომატებული და 84%-მდეა გაზრდილი.

ამავე პერიოდში ქართველებთან ერთად ქვეყანაში მატულობდა აზერბაიჯანელთა წილი, რომელიც 5,1%-დან 6,5%-მდე გაიზარდა. ცნობისათვის: 1959 წელს ქვეყანაში ცხოვრობდა 154 ათ. აზერბაიჯანელი (მთელი მოსახლეობის 3,8%), 1979 წელს 256 ათ. (მოსახლეობის 5,1%), ხოლო 1989 წელს – 308 ათ. (მოსახლეობის 6%-მდე).

ჩვენ ქვეყანაში მცხოვრები თითქმის ყველა სხვა ეთნიკური ჯგუფის ხვედრითი წონა შემცირებულია და 2002 წელს შეადგენდა: ოსების – 0,9%-ს. რუსების – 1,5, უკრაინელების – 0,2, სომხების – 5,7, ებრაელების – 0,1, ბერძნების – 0,3, ხოლო ქურთების – 0,5% (ამ სახის უფრო ახალი მონაცემები სტატისტიკურ დეპარტამენტს არ გააჩნია).

მატერიალური სიდუხჭირე განაპირობებდა ქორწინებათა შემცირებას. თუ 1980 წელს დასაქორწინდა 50,5

ათასი წყვილი, შემდგომში დაქორწინებულთა რაოდენობა შემცირდა და 2007 წელს განახევრდა. თუმცა, საგულისხმოა, რომ იგი შემდგომ წელს 31,3 ათასამდე გაიზარდა.

ამავე პერიოდში განქორწინებულთა რაოდენობაც თითქმის სამჯერ შემცირდა. როგორც ჩანს, ეკონომიკური სიძნელეები ადამიანებს ოჯახის შექმნის სტიმულს არ აძლევს, თუმცა, დაოჯახებულებს არც განქორწინებისაკენ უბიძგებს. სახელდობრ, თუ 1980 წელს დაფიქსირდა 6,8 ათასი განქორწინება, 2007 წელში ეს რიცხვი 2,3 ათასამდეა დასული, ანუ მესამედია. თუმცა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამავე პერიოდში მკვეთრად შემცირდა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა. ამავე პერიოდის განმავლობაში თითქმის იგივე დონეზეა შენარჩუნებული ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა განქორწინებამდე და იგი 10,8 წელიწადს შეადგენს.

როგორც ჩანს, ბოლო წლებში მამაკაცები უფრო მეტ ხანს ანდომებენ ოჯახის შექმნაზე ფიქრს, ვიდრე ადრე, ან ვიდრე ქალები. კერძოდ, თუ 1980 წელს მამაკაცების ასაკი პირველ ქორწინებამდე იყო 28,8, 2007 წელს მან 29 წელს გადააჭარბა. აღნიშნულ პერიოდში გათხოვების ასაკი მანდილოსნებისათვის 26,1 წლიდან 25,6 შემცირებული.

გამოიკვეთა კიდევ ერთი საინტერესო, თუმცა, არც თუ ისე მისასალმებელი ტენდენცია. კერძოდ, გაზრდილია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა. თუ 1980 წელს მხოლოდ 4199 ბავშვი იყო ქორწინების გარეშე დაბადებული, ასეთი ბავშვების რაოდენობამ 2007 წელს 21626 მიაღწია და დაბადებულთა საერთო რაოდენობის 43% შეადგინა.

მართალია, აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბოლო წლებში ქორწინებათა ნაწილის რეგისტრირება ხდება მხოლოდ კონფესიური წესით, მაგრამ ზოგადად ეს ტენდენცია რომ იზრდება, ამას ვიზუალურადაც ვხედავთ. კაცობრიობას მთელი თავისი განვითარების მანძილზე ადამიანების

თანაცხოვრებისათვის, მათი ბედნიერებისათვის (დადგენილია, რომ თვითმკვლელთა რიცხვი გაცილებით მეტია უოჯახოდ დარჩენილი ადამიანებს შორის, ვიდრე დაოჯახებულებში), ბავშვების უკეთ აღზრდისათვის, ოჯახზე უკეთესი ფორმა ჯერ ვერაფერი მოუგონებია და ალბათ, ვერც მოიგონებს და შესაბამისად, ოჯახის გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობის ასე ზრდა დამაფიქრებელია. თუმცა, რაღა თქმა უნდა, დასაძრახისი როდია, თუკი ქალი, რომელსაც, გათხოვების იმედი გადაეწურება, ბავშვს გააჩენს და დამოუკიდებლად ღირსეულად აღუზრდის სამშობლოს („ლამაზად შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა" – ვაჟა). ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში დაბადებულ ბავშვთა საკმაოდ დიდი რაოდენობა სწორედ არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფ დედებზე მოდის. ბოლო წლებში მსგავსი ბავშვების რაოდენობა იზრდება საფრანგეთშიც და ა.შ.

ქვეყნის დემოგრაფიულ სფეროში დადებით ტენდენციებს შორის აღსანიშნავია ის, რომ საგრძნობლადაა გაზრდილი სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი, რომელმაც 2007 წელს ორივე სქესის ადამიანებისათვის 75,1 წელი შეადგინა (მამაკაცებისათვის 70,5, ხოლო ქალებისათვის – 79,4).

მსოფლიოში სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩევიან:

ქვეყანა	*მამაკაცი*	*ქალი*
იაპონელები	*79*	*85,8*
ავსტრალიელები	*78,5*	*83,3*
ფინელები	*75,9*	*83,1*
ფრანგები	*77,3*	*84,4*
ესპანელები	*77,7*	*84,4*
გერმანელები	*77,2*	*81,7*
ნორვეგიელები	*78,2*	*82,9*
ამერიკელები	*75,2*	*80,4*
შვეიცარიელები	*79,2*	*84,2*
იტალიელები	*77,9*	*83,8.*

ალბათ ბევრი არაფერია ისე დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ქვეყანაში შექმნილ სოციალურ პირობებზე, როგორც ადამიანის ჯანმრთელობა და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. სწორედ ამიტომაა, რომ ადამიანი ყველაზე ხანგრძლივად ცოცხლობს განვითარებულ ქვეყნებში. ამის დასტურია ქვემოთ მოტანილი ცხრილიც.

ცხრილი № 1

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წლები)

	1970-75	2000-2001
საშუალოდ მსოფლიოში	58,4	60,6
განვითარებული ქვეყნები	74,4	78,9
საშუალოდ განვითარებული ქვეყნები	62,3	70,7
განუვითარებელი ქვეყნები	58,3	51,4

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის მოსახლეობის შემცირების მიზეზებს შორის საგრძნობ ადგილს იკავებს გარე მიგრაცია. ახლა გვინდა მკითხველს ამ ტენდენციის დამახასიათებელი უფრო კონკრეტული ციფრები მივაწოდოთ.

როგორც სტატისტიკური მასალებიდან ირკვევა, 1991-2007 წლებში, ანუ ქვეყნის მიერ სუვერენიტეტის მოპოვების შემდგომ, ქვეყანა ოფიციალურად დატოვა მილიონზე მეტმა ადამიანმა. წლების მიხედვით ეს ციფრი ასე ნაწილდება: 1991-1997 წლები – 750,9 ათასი, 1998 წელს – 39,3, 1999 – 36,1, 2000 – 35,2, 2001 – 32,6, 2002 – 27,8, 2003 – 27,5, 2006 – 12,1, 2007 – 20,7 ადამიანი.

როგორც ჩანს, „ვარდების რევოლუციის" შემდგომ ადამიანს სამშობლოში ღირსეული ცხოვრების იმედი გაუჩნდა, ამიტომ 2004-2005 წლებში პირიქით, იმიგრაციულ პროცესებს ჰქონდა ქვეყანაში ადგილი, რის შედეგადაც საქართველოში

შემოვიდა 81,8 ათასი ადამიანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი დადებითი პროცესები დიდხანს არ გაგრძელებულა და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 2006 წლიდან მოსახლეობა კვლავ იწყებს ქვეყნის დატოვებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია ქართველების ქვეყნიდან გასვლის შედეგად ბევრი კარგი საქმეც შეიძლება გაკეთდეს ქვეყნისათვის (შემოვიდეს კაპიტალი, ამ ხალხმა აიმაღლოს კვალიფიკაცია და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის ქვეყნის სამსახურში გამოიყენოს და ა.შ.), მაგრამ, ამასთანავე არის იმის საშიშროებაც, რომ მათი დიდი ნაწილი და მით უმეტეს მათი შთამომავლობა, საქართველოსათვის დაკარგული აღმოჩნდეს.

და აი, განსაკუთრებით რა გვაქვს მხედველობაში: შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებულ ჟურნალ „Central Asia and The Caucasus“ (2004 წ. №3 (33)-ის ერთ-ერთ სტატიაში ვეცნობით, რომ თუ 1959 წელს უკრაინაში მცხოვრები რუსების 98%, უკრაინელების 93, სომხების 41,5, აზერბაიჯანელების 69 და ქართველების 62,1% მშობლიურ ენად თავის ეროვნულ ენად მიიჩნევდა, ორმოცი წლის გასვლის შემდეგ, ანუ 2001 წელს, მშობლიურად თავისი ეროვნული ენა მიიჩნია რუსების 96%-მა, უკრაინელების 85, სომხების ნახევარზე მეტმა, აზერბაიჯანელების 53 და ქართველების ოდენ 36%-მა.

როგორც ვხედავთ, იმ დროს, როდესაც 2001 წელს უკრაინაში მცხოვრები სომხების გაცილებით მეტი რაოდენობა მიიჩნევს სომხურს მშობლიურ ენად, ამავე წელს ქართველების გაცილებით ნაკლებ რაოდენობას მიაჩნია ქართული მშობლიურ ენად და როგორც ირკვევა, მას რუსულით ანაცვლებენ. ეს კი მეტად დამაფიქრებელი ფაქტორია, რადგან გრიგოლ ორბელიანისა არ იყოს, – „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს “.

პრობლემები შრომის ბაზარზე

„ევროპელი თავს იწონებს ჩინელის წინაშე მანქანური ინდუსტრიის უპირატესობის გამო: „იგი ათავისუფლებს ადამიანს შრომისაგან". რაზეც ჩინელი პასუხობს: „კი მაგრამ, შრომა ხომ სიკეთეა, მისგან განთავისუფლება განა უდიდესი უბედურება არ იქნებოდა?!"

ეკონომისტები მთელ მსოფლიოში ერთხმად თანხმდებიან იმაში, რომ ქვეყნის ეკონომიკური სიჯანმრთელის განსასაზღვრავად ძირითადად უნდა ვითვალისწინებდეთ სამ ძირითად ინდიკატორს:

ა) დაუსაქმებელთა რიცხოვნობა; ბ) უცხოური ინვესტიციები; გ) საგარეო ვაჭრობის ბალანსი.

ქვემოთ შევეცდებით, მკითხველს შეძლებისდაგვარად დავანახოთ, თუ რა მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სამივე ამ ინდიკატორის მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მდგომარეობა, რომელიც საქართველოს დემოგრაფიულ სფეროშია შექმნილი, მეტად რთულ პირობებს ქმნის შრომის ბაზარზე. კერძოდ, 2007 წელს 2001 წელთან შედარებით შემცირებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც, თუ გასული საუკუნის ბოლოს შეადგენდა 2113,3 ათას კაცს, 2007 წლისათვის 9%-ით შემცირდა და 1965,3 ათასს გაუტოლდა. ამ პერიოდში კიდევ უფრო მკვეთრადაა შემცირებული დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც თუ 2001 წელს იყო

1877,7 ათასი, 2007 წლისათვის მან 1704,3 ათასი შეადგინა, ანუ 173,4 ათასი ადამიანითაა დაკლებული.

ცხადია, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური აქტიურობის პირობებში იმის წარმოდგენაც ძნელია, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თითქმის 40% იყოს დასაქმებული. ფაქტიურად, დასაქმებულთა რიცხოვნობა გაბრდილია სტატისტიკის დეპარტამენტში ბოლო წლებში დამკვიდრებული პრაქტიკით, ანუ თვითდასაქმებულთა რაოდენობით, რომელმაც 2007 წლისათვის 1078,8 ათასი შეადგინა.

ახლა საინტერესოა ვნახოთ, თუ რას გულისხმობს სტატსამსახური დეფინიცია „თვითდასაქმებულის" ქვეშ: „თვითდასაქმებული – მესაკუთრე, რომლის საქმიანობის მიზანს საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღება, ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავე პირი".

ანუ, ამ ცნებაში იგულისხმება მთელი ის მოსახლეობა, რომელიც, – მაგალითად, სოფლად ცხოვრობს და საკუთრებაში 0,75 ჰა ან ოდნავ მეტი აქვს (ისე, ცოტა ირონია ხომ არაა მის მიმართ ტერმინი „ოჯახური საწარმო" გამოვიყენოთ?!). ცხადია, მიწის ასეთი ნაკვეთის მქონე ადამიანი ოჯახს გამოკვებითაც კი ვერ გამოკვებავს, არა თუ სხვა მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც მას არც სარწყავი სისტემა აქვს, არც ტექნიკა და მეურნეობის დაზღვევაც არ შეუძლია, რომ გვალვის, სეტყვის თუ სხვა სტიქიური უბედურების დროს მთლად სხვის ხელში შემყურედ არ იქცეს (მაგალითად, პოლონეთში ფერმერს საშუალოდ 5 ჰა მიწის ნაკვეთი აქვს. მას, ვისაც 5 ჰა ან მასზე ნაკლები მიწა აქვს, სახელმწიფო უმუშევრად მიიჩნევს და მატერიალურად ეხმარება. ასეთ ოჯახებს ეხმარებიან როგორც ამ სახელმწიფოს, ისე ასევე ევროკავშირის ფონდიდანაც). თვითდასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში მთელი აქტიური მოსახლეობის 31,8%-ს(!!!) შეადგენს.

ცხადია, ასეთი სტატისტიკური მანიპულაციის შედეგად შემცირებულია ოფიციალური უმუშევრობის დონე, რომელიც 2007 წელს მხოლოდ 13,3%-ს შეადგენდა. ამასთან, ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2005 წელს უმუშევრობის დონე იყო 13,8%, 2006 წელს – 13,6, ხოლო 2007 წელს, როგორც აღვნიშნეთ, 13,3%, რაც, როგორც ცა და დედამიწა, ისეა დაშორებული რეალურობასთან. 2009 წელს საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტი იძულებული გახდა უმუშევრობის მაჩვენებელი შედარებით გაეზარდა და 16 პროცენტი ეჩვენებინა (თუმცა დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ეს მაჩვენებელიც, ქვეყანაში არსებულ რეალურ მდგომარეობასთან შედარებით, საკმაოდ დაბალია).

2004-2008 წლებში ჩვენი ქვეყნის შრომითი რესურსები შემდეგნაირად გამოყენებოდა:

ცხრილი №2

ქვეყნის შრომითი რესურსების გამოყენება 2004-2008 წლებში (ათ. კაცი)

	2004	2008
აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), სულ	2041.0	1917.8
მ.შ. დასაქმებული	1783.3	1601.9
უმუშევარი	257.6	315.8
უმუშევრობის დონე, %	12	16,5

ახლა ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ გოგიერთ სხვა ქვეყანაში.

2008 წელს უმუშევრობა მსოფლიოში მეტ-ნაკლებად მაღალი იყო, (%):

ბულგარეთში – 7,6
ბრაზილიაში – 8,4
ფინეთში – 6,8

საბერძნეთში	– 8,1
საფრანგეთში	– 8,0
ესპანეთში	– 8,3
მალტაში	– 7,3
გერმანიაში	– 8,6
პოლონეთში	– 9,6
სამხრეთ აფრიკაში	– 25,5
რუსეთში	– 7,2
სლოვაკეთში	– 11
თურქეთში	– 9,9% და ა.შ.

ამჟამად ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია უკრაინაში, სადაც ამ მაჩვენებელმა კარგა ხანია 20 პროცენტს გადააჭარბა. სხვათაშორის, ეს გამოიწვია მშპ-ს მკვეთრმა ვარდნამ ამ ქვეყანაში, რომელიც 2009 წელს დაახლოებით 15 პროცენტით შემცირდა და რომ არა სსფ მიერ სესხად გამოყოფილი 16,4 მლრდ დოლარი, ეს ქვეყანა უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

განა შეიძლება ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ 2008 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე მხოლოდ 16,5% ყოფილიყო და მეტი არა?!

როგორც ჩანს, შრომითი რესურსების დასაქმების პრობლემა კვლავ გამწვავდება უახლოეს მომავალში, რაც გამოწვეული იქნება იმით, რომ ქვეყნები, სადაც ქართველი ემიგრანტები ცხოვრობენ და მუშაობენ, თანდათან ართულებენ და ამკაცრებენ იმიგრაციის შესახებ კანონებს. ეს ეხება ევროკავშირის ქვეყნებს, რუსეთს და ა.შ. გაეროს მონაცემებით, ამჟამად საქართველო დატოვებული აქვს 1 მლნ 600 ათას ადამიანს.

მაგალითად, იტალიის პარლამენტში მუშავდება კანონი, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავებს უფლება ეძლევათ დაიჭირონ და დეპორტაცია გაუკეთონ არალეგალურ

იმიგრანტებს. მსგავსი კანონპროექტები მუშავდება ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც.

მოსალოდნელია, რომ ამ მხრივ მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდება ესპანეთშიც, სადაც მრავალი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს და მუშაობს. ამჟამად ამ ქვეყანაში მეტად მძიმე ეკონომიკური სიტუაცია შეიქმნა. 2009 წელს ესპანეთში მშპ 4 პროცენტით შემცირდა. მას 11,4 პროცენტიანი ბიუჯეტის დეფიციტი ჰქონდა. ამჟამად მას უკვე 4 მილიონზე მეტი უმუშევარი ჰყავს და უმუშევრობის მაჩვენებელი აქ თითქმის 20 პროცენტს აღწევს. ამგვარი მდგომარეობა განსაკუთრებით სამშენებლო დარგის დაღმასვლამ გამოიწვია.

გავიხსენოთ: მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი 3 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს. მაგრამ ახლა ვინ დასჯის ესპანეთს, როდესაც ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც (იტალია, გერმანია, საფრანგეთი და ა. შ.) ბიუჯეტის მაღალი დეფიციტია.

რაც შეეხება უმუშევრობას, ამჟამად მთელ ევროკავშირშია რთული მდგომარეობა და ამ გაერთიანების მიხედვით უმუშევრობის მაჩვენებელი უკვე 10 პროცენტს გადასცილდა. ევროზონაში ყველაზე მაღალი უმუშევრობაა ლატვიაში – 23%.

ესპანეთთან ერთად მეტად რთული ეკონომიკური მდგომარეობაა საბერძნეთსა და პორტუგალიაში. ექსპერტების აზრით, არც თუ ისე შორეულ მომავალში აქ შექმნილი ვითარება ევროკავშირს სერიოზულ თავსატეხს გაუჩენს.

არალეგალურ მიგრანტებთან ბრძოლას თანდათან ამძაფრებს რუსეთიც. მაგალითად, მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის განკარგულებით, 2010 წელს რუსეთის დედაქალაქში მხოლოდ 142000 უცხოელ მუშას მისცემენ დასაქმების უფლებას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში საქართველოს მრავალ მოქალაქეს მოუწევს ამ ქვეყნის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება,

რაც კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას ჩვენი ქვეყნის შრომის ბაზარზე.

2000 წლის შემდეგ ეროვნული მეურნეობის გარკვეულ რესტრუქტურიზაციასთან ერთად სერიოზული ცვლილებები მოხდა ეკონომიკის სექტორების მიხედვით დასაქმებულთა განაწილებაში. კერძოდ, გრძელდებოდა დასაქმებულთა რიცხვის ზრდა კერძო სექტორში და პირიქით, მცირდებოდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

კერძოდ, თუ 2000 წელს სახელმწიფო სექტორში იყო ეკონომიკაში დასაქმებულთა 25,9%, 2006 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 20%-მდე შემცირდა. პარალელურად, თითქმის 80%-მდე გაიზარდა არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი. ბოლო ხანებში (2007 წელს) დასაქმებულთა განაწილებას ეკონომიკური დარგების მიხედვით შემდეგი სახე აქვს: სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მთელ დასაქმებულთა 53,4%, გადამამუშავებელ მრეწველობაში – 5, მშენებლობაში – 4,2, ვაჭრობაში – 9,9, სასტუმროებსა და რესტორნებში – 1,1, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 4,2, სახელმწიფო მმართველობაში – 3,8, განათლებაში – 7,3, ჯანმრთელობის დაცვაში – 3,5% და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკის დარგების მიხედვით დასაქმებულთა განაწილების სტრუქტურაში ყურადღებას იქცევს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ძალზე მაღალი ხვედრითი წონა.

მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში (ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა, იაპონია) სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მთელი დასაქმებული მუშა-ხელის 1,2–5%, საქართველოში მთელი შრომითი რესურსების ნახევარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშია დასაქმებული, რაც ქვეყნის განვითარების მეტად დაბალ დონეზე მიუთითებს.

ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეზე და წარმოების დაბალ ეფექტიანობაზე მიუთითებს ისიც, რომ მიუხედავად ამ დარგში ასეთი დიდი რიცხოვნობის ხალხის

დასაქმებისა, საქართველოში მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო კვების პროდუქტების 10%-საც ვერ ვაწარმოებთ და დანარჩენი იმპორტია. გავიხსენოთ: იაპონია, რომელიც, ისევე, როგორც საქართველო, მთაგორიანობის გამო მთელი ტერიტორიის მხოლოდ 13-14% იყენებს ს\ს წარმოებისათვის, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების თითქმის 80%-ს აკმაყოფილებს აგრარული პროდუქციით; ასევეა ჩინეთშიც. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ყოველი მეხუთე ჩინელია, ეს ქვეყანა აწარმოებს იმდენს, რომ მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული და ზოგიერთი სხვა სასოფლო–სამეურნეო პროდუქტი საექსპორტოდაც გააქვს (*საქართველოში ჩინეთიდან შემოდის ხახვი, ნიორი და ა.შ. სხვათაშორის, ნიორი მხოლოდ ჩვენთან როდი შემოაქვთ ჩინელებს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსოფლიო ნიერის ბაზრის 75 პროცენტს ჩინელები აკონტროლებენ. ამ პროდუქციაზე განსაკუთრებით იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ბოლო დროს მთელ მსოფლიოში გავრცელებული მრავალი გადამდები დაავადების წინააღმდეგ ადამიანებმა განსაკუთრებით ნიერის მოხმარებას მოუმატეს. ამის შედეგად, მისი ფასი 3-4 ჯერ გაიზარდა საქართველოშიც – 2 ლარიდან 5-7 ლარამდე*).[2]

რითია განპირობებული ასეთი დიდი რაოდენობის ხალხის დასაქმება ამ დარგში? იმით, რომ ხელით შრომაა აქ უმთავრესად გაბატონებული. საქართველოში ერთ ოჯახზე მოდის სამუალოდ ნახევარი ჰა მიწა. ეს ძალზე მცირეა, მაგრამ იგიც ოჯახებს სამ-ოთხ ადგილას აქვთ განაწილებული,

---

[2] როდესაც წარმოების ეფექტურობაზე ვსაუბრობთ, ამ მხრივ ასეთი შედარება გვახსენდება: იაპონიაში ცხოვრობს დაახლოებით 150 მლნ ადამიანი, ჩინეთსა და ინდოეთში კი მსოფლიო მოსახლეობის მესამედზე მეტი, ანუ 2 მლრდ ადამიანზე მეტი. იაპონიამ 2007 წელს აწარმოა 4378,5 მლრდ დოლარის ოდენობის მშპ, მაშინ, როდესაც აღნიშნულმა ორმა ქვეყანამ აწარმოა ოდნავ მეტი იაპონიაზე, ანუ 4541,0 მლრდ აშშ დოლარის ექვივალენტური პროდუქცია.

განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში. გამოდის, რომ ქვეყანაში აღრიცხული 450 ათასი ჰა სახნავი მიწა, დაქუცმაცებულია რამოდენიმე მილიონ ნაკვეთად. ეს კი არც ფერმერის შრომის მწარმოებლურობის გაზრდას შეუწყობს ხელს და არც ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა. აღნიშნული იწვევს იმას, რომ ფერმერი თავს ანებებს ყველა ნაკვეთის დამუშავებას და მხოლოდ იმის დამუშავებას ჰკიდებს ხელს (თავისი ოჯახისათვის, ანუ მისდევს მხოლოდ ნატურალურ მეურნეობას), რომელიც შედარებით ახლოსაა. ასეთი მდგომარეობიდან გამოსასვლელად სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მიწების გამსხვილების პროცესს. დღევანდელი საგადასახადო პოლიტიკა კი პირიქით, ამის სრულიად საწინააღმდეგო პროცესებს იწვევს. იმის გამო, რომ გადასახადით იბეგრება მხოლოდ 5 ჰა-ზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი, გლეხი აღარაა დაინტერესებული მისი გაზრდითა და გამსხვილებით.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამსხვილება-კონცენტრაციის საკითხი რომ ძალზე აქტუალური და პრობლემურია, ამაზე თუნდაც ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ფართობების დანაწევრების გამო სავარგულების 10-15 პროცენტი მიჯნების სახით დაუმუშავებელი რჩება, რაც ძალზე დიდი დანაკარგია.

არადა, ქვეყნის ამ დარგის განვითარებას მომავალში მხოლოდ ის ფუნქცია როდი შეიძლება ჰქონდეს, რომ მან ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილება უზრუნველყოს. არც თუ ისე შორეულ მომავალში ეკოლოგიურად სუფთა აგრარული პროდუქცია შესაძლებელია ჩვენი საექსპორტო შემოსავლების ერთ-ერთ უპირველეს წყაროდ ვაქციოთ. როგორც FAO-ს (გაეროს სურსათისა და აგროკულტურის ორგანიზაცია) მდივანი ჯაკ დიოუფი გვაფრთხილებს, „თუ არ მოხდება სურსათის წარმოებაში ტექნოლოგიური გარღვევა, შესაძლოა 2010 წლიდან მსოფლიოში მძიმე სასურსათო კრიზისი დაიწყოს". ასეთ სიტუაციაში კი საქართველოს სასურსათო

პროდუქციით არ უნდა გაუჭირდეს თავისი ნიშის დაკავება მსოფლიო ბაზარზე.

ამავე ორგანიზაციის ექსპერტთა კვლევების თანახმად, 2008 წლის I ნახევარში არნახულად გაიზარდა სურსათის ფასები და მან წინა წელთან შედარებით 52 პროცენტით მოიმატა. ამგვარი მატება უფრო ადრე, 2006 წელს დაიწყო და ამ ორი წლის განმავლობაში სურსათის ფასები გაორმაგდა. საქართველოს მოსახლეობისათვის, რომლის მიერ მოხმარებული სურსათის 80 პროცენტზე მეტი იმპორტირებულია, ეს ძალზე სერიოზული დარტყმაა. აღსანიშნავია, რომ ამავე ორგანიზაციის პროგნოზებით, სურსათის ფასები მომავალშიც განაგრძობს ზრდას და იგი 2050 წლისათვის გასამმაგდება.

ამას კი საქართველო მომზადებული უნდა შეხვდეს.

სხვათა შორის, ამ თემაზე მსგავსი განცხადება არა ერთგზის გააკეთა მისმა უწმინდესობამ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, განსაკუთრებით კი თავის სააღდგომო ეპისტოლეში.

იმის გამო, რომ ძალზე მწირია უმუშევართათვის სახელმწიფოს მიერ მიცემული შემწეობების თანხა და ამასთან, ამ დასაქმების სამსახურებს მაინც და მაინც არც უმუშევართა დასაქმება და არც მათთვის კვალიფიკაციის ამაღლება შეუძლიათ (მაგალითად, 2006 წელს ამ სამსახურმა აქ დარეგისტრირებული 33,6 ათასი უმუშევრიდან მხოლოდ 600 კაცი დაასაქმა), უმუშევრები ძალზე უხალისოდ აკითხავენ მათ. მაგალითად, შემწეობის თანხამ 2005 წელს თვეში საშუალოდ 16,4 ლარი შეადგინა. ამასთან, დასაქმების სამსახურებში დარეგისტრირებულთა რაოდენობა წლითი-წლობით მცირდება.

კერძოდ, თუ 2000 წელს საქართველოს დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებული იყო 122,2 ათასი უმუშევარი, 2006 წელს მათმა რაოდენობამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ 33,6 ათასი შეადგინა. მკვეთრად მცირდება ასევე იმ უმუშევართა რაოდენობა, რომლებიც შემწეობას იღებენ. მაგალითად, თუ 2000 წელს შემწეობის მიმღები იყო 2,8 ათასი უმუშევარი, 2006 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1,2 ათასამდე შემცირდა.

უმუშევრობა განსაკუთრებით მაღალია 30-49 წლის ასაკის ადამიანებს შორის. მათმა ხვედრითმა წონამ მთელ უმუშევრებში 68%-ზე მეტი შეადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ უმუშევრებში სჭარბობენ სრული, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონენი, რომელთა წილმა უმუშევრებში თითქმის 98% შეადგინა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო უძნელდება მას შესაფერისი სამსახურის პოვნა.

ევროკავშირის ქვეყნებში მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა[3] ფრიად გაამწვავა დასაქმების პრობლემა. ამ მხრივ განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ახალგაზრდა ასაკის ადამიანები (15-24 წლის). ამ კატეგორიის ადამიანებში უმუშევრობის მაჩვენებელმა 2009 წლის I კვარტალში 8%-ს გადააჭარბა (საერთო უმუშევრობის მაჩვენებელი ევროკავშირში 8%-ზე მეტი იყო). ამ პერიოდში 5 მლნ-ზე მეტი ახალგაზრდა ამაოდ ეძებდა სამუშაოს. ახალგაზრდობის დაუსაქმებლობა განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა ესპანეთში — 33,6%, ნიდერლანდებში – 16,5, ბულგარეთში – 14, ლიტვაში – 18,2, ესტონეთში – 24,1, პოლონეთში – 18,2% და ა.შ. ამ პერიოდში უმუშევრობა შედარებით დაბალი იყო გერმანიაში – 10,2%.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში (და ალბათ, მთელ მსოფლიოშიც) ახალგაზრდა ქალები უფრო ადვილად პოულობენ სამუშაოს, ვიდრე მამაკაცები. კერძოდ, თუ ქალთა შორის უმუშევრობა 17%-ია, მამაკაცებში იგი 20%-ს აღემატება.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა[1] დასაქმების პრობლემა კიდევ უფრო გააუარესა დსთ-ს ქვეყნებში. მიახლოებითი გაანგარიშებით, დსთ-ს 10 ქვეყანაში სამუშაო მიატოვებინეს 11-დან 15 მლნ ადამიანს, საიდანაც თითქმის 9 მლნ რუსეთზე მოდის.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთი სამუშაოს აძლევს არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებს, არამედ განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოქალაქეთაც, ამას დიდი უარყოფითი გავლენა ექნება მის მეზობელ სხვა ქვეყნებზეც. კერძოდ, რუსეთში სამუშაოს პოულობს დაახლოებით 4 მლნ უკრაინელი, 2 მლნ უზბეკი, ამდენივე ყირგიზი, ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი და ა.შ.

---

[3] ნამდვილად კი არის მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი?! ალბათ არა, იმიტომ, რომ თუ კრიზისი იყრძნობა ამერიკის კონტინენტზე და ევროპაში, ამას ვერ ვამჩნევთ ჩინეთსა და ინდოეთში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის 1/3-ზე მეტი ცხოვრობს.

ცხადია, ეს გარემოება (იმ პოლიტიკურ დაძაბულობასთან ერთად, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს) რუსეთს აიძულებს დამატებითი ღონისძიებები მიიღოს და საკუთარ შრომის ბაზარზე შეაფერხოს მეზობელი ქვეყნებიდან შრომითი რესურსების შემოსვლა, რაც უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც. მის შედეგად უფრო მეტი კონკურენცია გაჩნდება ქვეყნის შრომის ბაზარზე და უფრო მეტად დაეცემა შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი.

საქართველოში ჯერაც დაბალია დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი.

კერძოდ, საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი ქვეყანაში მერყეობს 1014,5 ლარიდან საფინანსო სფეროში საქმიანობიდან, – 153 ლარამდე განათლების სფეროში დასაქმებულთათვის. რაც შეეხება საშუალო ხელფასს ჩვენ ქვეყანაში, იგი შეადგენს 350 ლარს, ანუ 222 დოლარს. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შორის ყველაზე დაბალი ხელფასი აქვთ პედაგოგებს – 220-250-მდე ანუ 133-150 დოლარი.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოში საშუალო წლიური ხელფასები მკვეთრად ჩამორჩება როგორც ჩვენი მეზობელი, ისე განვითარებულ ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებსაც. მაგალითად, საქართველოში საშუალო წლიური ხელფასი შეადგენს დაახლოებით 2470 დოლარს (საშუალო თვიური ხელფასის, 350 ლარის გათვალისწინებით), აშშ ეს მაჩვენებელი 34000 დოლარზე მეტია.

ცნობისათვის: პოლონეთში საშუალო ხელფასი შეადგენს 3146 ზლოტს (1 აშშ დოლარი უდრის 2,84 ზლოტს).

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს ზოგიერთ ქვეყანაში მინიმალური თვიური ხელფასი შემდეგნაირად გამოიყურებოდა (ევრო):

ბელგიაში – 1234
ირლანდიაში – 1293
ლუქსემბურგში – 1509
ლიტვაში – 129
ლიტვაში – 159
პოლონეთში – 234
ჩეხეთში – 261
რუმინეთში = 90
სლოვაკეთში = 183
სლოვენიაში – 512,
აშშ-ში – 753
თურქეთში – 331 და ა.შ.

ცხადია, ასეთი მწირი შემოსავლების პატრონ ჩვენს მოსახლეობას უჭირს თანამედროვე ადამიანის შესაფერისი კომფორტული ცხოვრების მოწყობა. აი, შედეგებიც: 100 შინამეურნეობაზე საქართველოში მოდის (2006 წელს): 64 მაცივარი, 36 სარეცხი მანქანა, 13 რადიომიმღები, 89 ტელევიზორი, 17 მტვერსასრუტი, 36 საკერავი მანქანა, 2 ფირსაკრავი, 19 ვიდეომაგნიტაფონი, 27 მაგნიტაფონი, 28 ფორტეპიანო, 16 ფოტოაპარატი, 3 პერსონალური კომპიუტერი, 4 ველოსიპედი, 17 მსუბუქი ავტომობილი, 4 აგარაკი, 2 სატვირთო ავტომანქანა, 2 მინიტრაქტორი და მოტოციკლი და ა.შ. რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

მწირი შემოსავლები ჩვენს მოსახლეობას იმაშიც უშლის ხელს, რომ მეცნიერული ნორმების შესაბამისად (ფიზიოლოგიური ნორმების საფუძველზე) დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები კვების პროდუქტებზე. გამოკითხულთა 39% აცხადებს (იხ. ჟურ. investor. ge 2009 წ. № 10), რომ შემოსავალი მათ მხოლოდ საკვების პროდუქტების შესაძენად ჰყოფნით, ხოლო 22% განცხადებით, მათ შემოსავალი არ ჰყოფნით საკვებზედაც კი.

კერძოდ, 2007 წელს საქართველოში მცხოვრები ერთი ადამიანი საშუალოდ თვეში მოიხმარდა 62,2 კგ პურს, ნაცვლად ნორმების მიხედვით გათვალისწინებული 130 კგ-ის, ხორცისა და ხორცის პროდუქტების – 15,2კგ-ს, ნაცვლად 55 კგ-ის, თევზეულს – 3,8კგ-ს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 10 კგ-ისა, რძესა და რძის პროდუქტებს – 72 კგ-ს, ნაცვლად ფიზიოლოგიური ნორმა 150 კგ-სა, კვერცხს 61 ცალს, ნაცვლად 150 ცალისა, ხილისა და ყურძნის ქვეყანაში ამ პროდუქციის მოხმარების დონე იყო 32,2 კგ, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 65 კგ-სა, ბოსტნეულ-ბაღჩეულის და კარტოფილის 126,4კგ-ს, ნაცვლად 150 კგ-სა და ა.შ.

2008 წელს საარსებო მინიმუმი ერთ ადამიანზე შეადგენდა 132 ლარს, ხოლო ოთხსულიანი ოჯახისათვის – 230 ლარს, რაც უდაოდ ძალზე დაბალი მაჩვენებელია. სპეციალისტების გაანგარიშებით ერთ სულზე იგი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 200 ლარს მაინც, ხოლო 4 სულიანი ოჯახისათვის – 700-800 ლარს, თუ მეტს არა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, მისი კეთილდღეობის გაზრდის უმთავრესი წყარო ქვეყანაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მთლიანი შიდა პროდუქციის გაზრდაში უნდა ვეძებოთ.

კვლავ დასაქმებასა და უმუშევრობაზე

უწმინდესი და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგებიდან გავიხსენოთ შემდეგი (ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ძალზე ხშირად დასაქმებას მხოლოდ შემოსავლებთან აიგივებენ ხოლმე):

„შრომა თავისთავად ცოცხალი მატერიის ერთ-ერთი მოთხოვნილებაა. შრომა სჭირდება ადამიანს ნორმალური არსებობისათვის: სჭირდება ისევე, როგორც ჰაერი, საკვები, ძილი, ურთიერთობა...".

აქვე გვსურს მოვიყვანოთ ასევე დიდი ფრანგი მოაზროვნის მონტესკიეს გამონათქვამი ამ თემაზე: მე არ ვიცი რატომაა ბიბლიის მიხედვით უქმად ყოფნა სამოთხეში მოხვედრილთა ხვედრი, მაშინ, როდესაც ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია.

თუ რა ჯოჯოხეთად აქცევს ცხოვრებას უმუშევრობა, ამას შემდეგიც ადასტურებს: ინგლისელი მეცნიერების გამოკვლევით, უმუშევრობის 1%-ით ზრდა სუიციდების (თვითმკვლელობა) 4 პროცენტიან მატებას იწვევს.

ცხადია, უმუშევრობას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, მათი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად დიდი მასშტაბები ექნებოდა. სოციალიზმის, ანუ მბრძანებლურ-გეგმური მეურნეობისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ხომ ისიცაა, რომ აქ ერთის საკეთებელ საქმეს 10 და მეტი კაცი აკეთებს.

ამასთან, უნდა გავარჩიოთ უმუშევრობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და იგივე მოვლენა, მაგალითად, გერმანიაში, სადაც იმის გამო, რომ მკვეთრად ამაღლდა კაპიტალდაბანდებები, განსაკუთრებით დასაქმებულთა

ფონდაღჭურვილობა, ამ უკანასკნელთა რიცხოვნობის იგივე დონეზე დარჩენის პირობებში, უმუშევრობამ 2008 წელს იმატა და 11 პროცენტს გადააჭარბა. ცხადია, მსგავს მოვლენებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ადგილი არა ჰქონია.

უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები რამდენიმე ნაწილად შეიძლება დავყოთ:

პირველი, შეიძლება იყოს უმუშევართა მხრიდან სამსახურის ნაკლები ენთუზიაზმით ძებნა და სამუშაო ადგილების ნაკლებობა.

მეორე მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის რიცხვი ფერტილურ ასაკში შესული ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდის ხარჯზე მატულობს, ხელისუფლებას არ ძალუძს გაზარდოს წარმოების მასშტაბები და აქედან გამომდინარე შექმნას ახალი სამუშაო ადგილები. გავრცელებულია შეხედულებაც, თითქოს უმუშევართა დონეზე სერიოზულ გავლენას ახდენს შრომის ბაზრის და განსაკუთრებით შრომის დანახარჯების მექანიზმის ფორმირების ხასიათი.

დაუსაქმებელ მოსახლეობას ხშირად უწევს მუშაობა მოკლევადიან, მცირედანაზღაურებად სამუშაოზე, რაც ხშირად ვერ უზრუნველყოფს მათი მინიმალური მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. უმუშევართა შემწეობის მცირე განაკვეთის გამო, კვლავ მაღალია არარეგისტრირებული უმუშევრობა. აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ უმუშევარია, ან ნაკლებკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაქმების სტატისტიკური მაჩვენებლები, შესაძლებელია ზუსტად ვერ ასახავდეს იმ რეალურად მძიმე სურათს, რაც შრომის ბაზარზე არსებობს, მაგრამ მაინც წარმოაჩენს აღნიშნულ ბაზარზე არსებულ ტენდენციებს.

მოსახლეობის დასაქმება კიდევ უფრო გაამწვავა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, მრავალ ქვეყანაში უმუშევრობამ ორნიშნა რიცხვი შეადგინა და კვლავაც

იზრდება. ბოლო ერთ წელიწადში უმუშევრობა აშშ-ში გაიზარდა 4 მლნ ადამიანით, ხოლო ევროკავშირში 5 მლნ-ით.

ახლა იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს უმუშევრობის დასაძლევად. გახსოვთ ალბათ, რომ ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირმა" მთავარ საარჩევნო ლოზუნგად მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა გამოაცხადა, თუმცა ამ ლოზუნგს კონკრეტული ღონისძიებები ნაკლებად მოჰყვა და მოწოდება მოწოდებად დარჩა. ეს იმიტომ, რომ არ დამუშავებულა იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც აუცილებელია მსგავსი მასშტაბის უმუშევრობის დასაძლევად. აი, დაახლოებით რას ვგულისხმობთ:

საჭიროა შემცირდეს გადასახადები ფიზიკურ პირთა შემოსავლებიდან;

– დაწესდეს შეღავათები აქციების შესყიდვისა და ინვესტირებისას;

– წახალისდნენ უმუშევართა დამსაქმებლები;

– გატარდეს გარკვეული პროტექციონისტური ზომები ადგილობრივი წარმოებისათვის;

– მომზადდეს და წარიმართოს კამპანია „შეიძინეთ ქართული საქონელი";

– პროტექციონისტური ღონისძიებები გატარდეს საექსპორტო საქონლის წარმოების წასახალისებლად;

– მოხდეს საექსპორტო საქონლის დაზღვევა;

– მეტი ყურადღება მიექცეს ახალგაზრდათა პროფესიულ მომზადებას;

– უფრო ინტენსიური ხასიათი მიეცეს უმუშევართა გადამზადების საქმეს;

– ხელისუფლება მეტი ყურადღებით მოეკიდოს საზღვარგარეთ შრომის ლეგალიზაციას და სხვა.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის ღონისძიებებიც, რომელსაც ევროკავშირში გაატარებენ ამ პრობლემის დასაძლევად. კერძოდ, ევროკავშირში 2010 წლიდან

დასაქმების სფეროში ნავარაუდებია ყოველწლიურად დამატებით 22 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა.

ეს პრობლემა როგორც ჩანს, აქაც სერიოზულად დგას. ევროსტატის მიხედვით, 2009 წლის ოქტომბერში, უმუშევრობამ ევროზონაში 7,7% შეადგინა, ნაცვლად წინა თვის 7,6 და წინა წლის ოქტომბრის 7,3%-სა. რაც შეეხება მთლიანად ევროკავშირს, აქ 2008 წლის ოქტომბერში უმუშევრობა 7,1% იყო, ნაცვლად სექტემბრის 7 და წინა წლის 6,9%-სა.

დასაქმების გაზრდისათვის ევროკავშირში მიმდინარე ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია მუშაკთა განათლების და პროფესიული დაოსტატების მიზნით გაწეული კაპიტალური დაბანდებების გადიდება. ეს განსაკუთრებით ეხება ტექნიკური დარგების ახალი სამუშაო ძალით უზრუნველყოფას. მომავალში დიდი ყურადღება მიექცევა ასევე სამუშაო ძალის დაქირავების დროს შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების გაადვილებასა და სისწრაფეს.

როგორც აღვნიშნეთ, ევროპაში განსაკუთრებით მწვავედ დგას ახალგაზრდობის დასაქმების საქმე. უმუშევრობა ახალგაზრდა ასაკში 18% აღემატება, ანუ ორჯერ და მეტად დიდია უმუშევრობის საერთო დონესთან შედარებით. 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდების 15% უპერსპექტივობის გამო სწავლას აღრე ანებებს თავს, რაც მკვეთრად ზრდის მათი საზოგადოებიდან გარიყვის პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2008 წელს, 2004 წელთან შედარებით საგრძნობლადაა შემცირებული (7%-მდე) სამუშაო ძალის რაოდენობა, ამ პერიოდში უმუშევართა რიცხოვნობამ იმატა 12%-ზე მეტად და 315 ათასი ადამიანი შეადგინა. შესაბამისად, უმუშევრობის დონე 2008 წლის ოფიციალური მონაცემებით, 16,5% დაფიქსირდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო წლებში.

გემოთ აღნიშნული ღონისძიებების გარდა ჩვენი ქვეყნისათვის დასაქმების აქტიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები შეიძლება დავსახოთ:

– ერთობლივი მოთხოვნის ზრდისაკენ მიმართული სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება;

– სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზებული, საკანონმდებლო და ფინანსური ზომების მიღება, რაც მიმართული იქნება განათლების სისტემის განვითარებასა და კადრების გადამზადების სრულყოფაზე;

– საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება;

– თვითდასაქმების ხელშეწყობა, მცირე და საშუალო ბიზნესისა და მეწარმეობის სტიმულირება.

ქართველი ემიგრანტების ფულადი გზავნილები

ერთ-ერთ ახალ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში, მას შემდეგ, რაც მან დამოუკიდებლობა მოიპოვა და გლობალურ პროცესებში ჩაერთო, მისი მოქალაქეების მიერ ფულის გადაგზავნა-გადმოგზავნის ოპერაციები წარმოადგენს, რამაც ძალზე ინტენსიური ხასიათი მიიღო. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი, 1 მლნ-ზე მეტი საზღვარგარეთაა წასული და ისინი თავიაანთ ახლობლებს სისტემატიურად უგზავნიან გარკვეულ თანხას. ფული იგზავნება ასევე საქართველოდანაც, თუმცა არა იმ მასშტაბებით, როგორც საქართველოში უცხოეთიდან ფულის გადმოგზავნის მასშტაბებია.

ამ პროცესების განვითარებას ხელს უწყობს ასევე პლასტიკური ბარათების დანერგვაც. 2010 წლის დასაწყისში საქართველოში 3,556 ათასი პლასტიკური ბარათი იყო ბრუნვაში (როგორც სადებეტო, ისე საკრედიტო, ანუ ჩვენი მოსახლეობის თითქმის 80% აქვს პლასტიკური ბარათი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით იზრდება ბარათების მსურველთა (მომხმარებელთა) რაოდენობა. კერძოდ, მხოლოდ, 2009 წლის 11 თვეში მიმოქცევაში გამოვიდა 300 ათასამდე ბარათი.

როგორც „პროკრედიტ ბანკის" ხელმძღვანელობა აცხადებს, ამ ბარათების დახმარებით განხორციელებული ფულის მოცულობები თუმცა ჯერ მცირეა, მაგრამ მათი ზომები ყოველთვიურად იზრდება.

ამჟამად, საქართველოს ფინანსურ ბაზარზე ოპერაციების განხორციელება შეიძლება 4 ტიპის ბარათით –

ვიზა ელექტრონით, ვიზა კლასიკით, ვიზა ბიზნესით და მასტერ კარდით. ეს უკანასკნელი ორი ტიპისაა – მაესტრო და სტანდარტული.

2007–2008 წლებში ფულად გზავნილებს პარტნიორი ქვეყნების მიხედვით შემდეგი სახე ჰქონდა:

ცხრილი №3

ფულადი გზავნილები ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნები	2007 წელი		2008 წელი	
	ჩარიცხვა	გადარიცხვ	ჩარიცხვა	გადარიცხვ
ავსტრია	12,3	0,7	3,6	0,7
აზერბაიჯანი	0,9	4,2	4,9	2,4
არაბ. გაერთ. საემიროები	1,0	1,0	2,0	1,1
აშშ	106,7	2,2	63,9	3,1
ბელგია	3,9	2,2	2,2	0,6
გაერთ. სამეფო	9,1	0,9	8,3	1,6
გერმანია	6,4	2,6	7,2	2,7
ესპანეთი	29,3	1,1	20,4	1,3
თურქეთი	17,4	4,3	20,9	5,0
ირლანდია	5,4	0,01	4,9	0,1
ისრაელი	7,1	0,7	8,4	0,8
კვიპროსი	8,3	0,2	9,5	0,1
სულ	822,2	110,8	1002,1	84,3

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ბოლო ორ წელიწადში საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობები მკვეთრადაა გაზრდილი. კერძოდ, თუ 2007 წელს ქვეყანაში

გადმოიგზავნა 822, 2 მლნ აშშ დოლარი, 2008 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 22%-ითაა გაზრდილი. განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა აზერბაიჯანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, გერმანია, თურქეთი და ა.შ.

იმავე პერიოდში შემცირებულია, თითქმის მეოთხედით, საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადაგზავნილი ფულის მოცულობა. განსაკუთრებით შემცირდა ფულის გადაგზავნა აზერბაიჯანში და ბელგიაში.

2009 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 72,4 მლნ აშშ დოლარი შადგინა, რაც ოქტომბრის თვის მაჩვენებელზე 10%-ით ნაკლები იყო, თუმცა დეკემბერში აღნიშნული მაჩვენებელი ოდნავ გაიზარდა, მაგრამ იგი მაინც ნაკლებია წინა წლის თვეებში შემოსული ფულის მოცულობასთან შედარებით.

ცხრილი №4

ფულადი გადმორიცხვები 2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში

ქვეყნები	მლნ აშშ დოლარი	%-ლად ნომბერი	%-ლად დეკემბერი
რუსეთი	51,5	53,3	53,8
უკრაინა	9,1	7,9	9,5
აშშ	6,8	7,6	7,1
საბერძნეთი	5,5	7,4	7,6
იტალია	4,5	5,1	4,7
თურქეთი	2,9	3,1	2,9
კვიპროსი	1,4	1,5	1,4
სომხეთი	1,4	1,2	1,4
ისრაელი	1,4	1,0	1,4
გერმანია	1,1	1,2	1,2
სულ	93,5	100,0	100,0

წარმოების ეფექტიანობა

> მხოლოდ სამი გზა არსებობს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სიმდიდრის მოხვეჭა: შრომით, მათხოვრობით და ქურდობით. და თუ მშრომელი იღებს ასე ცოტას, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მეტისმეტად ბევრი მოდის მათხოვართა და ქურდების წილად.
>
> ჰენრი ჯორჯი

ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში მშპ-ს მაჩვენებელი იზრდებოდა. კერძოდ, თუ მან 2002 წელს 3567,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2007 წელს იგი უდრიდა 10170 მლნ აშშ დოლარს, ხოლო 2008 წელს – 13970 მლნ აშშ დოლარს. შესაბამისად იზრდებოდა მშპ ერთ სულზე. კერძოდ, მან 2002 წელს შეადგინა 774 აშშ დოლარი, 2007 წელს – 2195, ხოლო 2008 წელს – 3104 აშშ დოლარს.

საინტერესოა, რომ ბოლო წლებში მშპ-ს უმთავრესი წილი, ანუ 60%-მდე, იწარმოებოდა მომსახურების დარგებში, ხოლო დანარჩენი საქონლის წარმოების სფეროში (საგულისხმოა, რომ პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში მომსახურებაში იწარმოება პროდუქციის 80 პროცენტი და უფრო მეტი. თუმცა, იქ მომსახურებას რადიკალურად სხვა სახე აქვს, ვიდრე საქართველოში). მშპ 2007 წელს გაიზარდა 12,3%, 2008 წელს, აგვისტოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიზეზით იგი დაეცა 2,1%-მდე, 2009 წელს 1,5% კლებას ვარაუდობენ.

ცნობისათვის: ბოლო წლებში მშპ-ს ზრდის ტემპებს შემდეგი სახე ჰქონდა:

2004 წელი – 5.0%
2005 წელი – 9.6%
2006 წელი – 9.4%
2007 წელი – 12.3%
2008 წელი – 2.1%

მშპ-ს მოცულობა ჯერ კიდევ მკვეთრად ჩამორჩება 1990 წლის მაჩვენებელს (1994 წელი – 73% 1998 წელი – 63, 2007 წელი – 59%), 2008 წელს – 71% და რაც შეეხება 2009 წელს, აგვისტოს ომისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის შდეგად მდგომარეობა გაუარესდა და ამ გარღვევის *შემცირების* ტენდენცია კვლავ შეფერხდა, აღსანიშნავია, რომ ბარიერი უკვე დაძლიეს აზერბაიჯანმა (193%), სომხეთმა (172%), ლიტვამ (141%), ესტონეთმა (173%), თურქმენეთმა (218%) და ა.შ.

განვითარებულ ქვეყნებში მშპ-ს ბრდის „ლომის წილს" მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის. ჩვენთან ჯერ-ჯერობით ეკონომიკის ეს სფერო ჩამორჩება მოთხოვნებს.

ამჟამად მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის ქვეყანაში წარმოებული მშპ-ს 40-42%-მდე. საქართველოს მცირე ბიზნესის კომიტეტის განცხადებით, 2013 წლისათვის მისი წვლილი მშპ-ში 60%-მდე გაიზრდება.

ჩვენთან მომხმარებელი საბოლოო, გადამუშავებელი სახით იღებს პროდუქციის 30%-ს, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში აღნიშნული მაჩვენებელი 90%-ს აღემატება. აი, განსაკუთრებით სადაა საძიებელი მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობის მთავარი ასპარეზი.

ბოლო წლებში ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ძირითადი დარგები შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

ცხრილი №5

ცალკეული დარგების ხვედრითი წილი მშპ-ში
(მიმდინარე ფასები)

დარგი	წლები			
	2001	2003	2006	2007
მრეწველობა	16,6	17,7	14,9	13,3
სოფლის მეურნეობა	21,0	19,3	11,3	10,2
მშენებლობა	3,9	6,4	6,9	6,1
დარგების რეალური ზრდა				
მრეწველობა	-2,5	7,7	15,9	13,0
სოფლის მეურნეობა	8,2	10,3	-9,6	-0,1
მშენებლობა	10,3	46,6	9,8	9,5

როგორც ვხედავთ, ახალი საუკუნის 1-7 წელიწადში ქვეყნის ეროვნულმა მეურნეობამ სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. კერძოდ, მშპ-ს შექმნაში მკვეთრად იზრდებოდა მშენებლობის და მრეწველობის ხვედრითი წილი და სამაგიეროდ, ასევე მკვეთრად მცირდებოდა სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი; აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში განახევრებულია. როგორც ცხრილიდან ჩანს, დარგი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა 2006 – 2007 წლებში, როდესაც მისი განვითარების ტემპები გაზრდის ნაცვლად, კლებულობდა.

ცხადია, რომ მიუხედავად მშპ-ს ზრდისა, იგი კვლავაც დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგალითად, ისეთსავე პატარა ქვეყნებში, როგორც საქართველოა, 2007 წელს მშპ-ს წარმოება შეადგენდა: ბელგიაში – 453 მლრდ აშშ დოლარს, კვიპროსში – 21,3, დანიაში – 312, ესტონეთში – 21,2, ფინეთში – 245, ირლანდიაში – 254,3, ლატვაში – 38,3, ლიტვაში – 27,2, მალტაში 7,4, ჩეხეთში – 176, სლოვაკეთში – 74, სლოვენიაში –

46 მლრდ აშშ დოლარს და ა.შ. უფრო ნათელ წარმოდგენას ამ საკითხზე შეგვიქმნის ცხრილი №6.

ცხრილი №6

მშპ-ს წარმოება ზოგიერთ ქვეყნებში, მლრდ დოლარში

ქვეყნები(სსფ-ს გამოთვლები)	2008 წელი	2009 წელი	2014 წელი (პროგნ.)
სულ მსოფლ.	75,631,746		
ASEAN	2,716,321		
EU	15,593,406		
MERCOSUR	3,191,67		
ჩინეთი		8,511,092	14,437,715
სომხეთი		17,944	23,465
აზერბაიჯანი		77,341	101,180
კანადა		1,281,958	1,557,473
ხორვატია		80,108	98,685
ჩეხეთი		255,342	312,495
ესტონეთი		24,701	30,234
ფინეთი		182,671	213,244
საფრანგეთი		2,086,000	2,421,585
საქართველო		*21,812 მლნ*	*29,103 მლნ*
გერმანია		2,772,927	3,149,214
ჰონგ–კონგი		296,058	379,966
ირლანდია		174,674	196,413
ისრაელი		198,960	252,000
იაპონია		4,122,547	4,906,560
აშშ		14 ტრლ	17 ტრლ

მსოფლიო ბანკის უახლესი პროგნოზის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკა 2009 წლის 2,2%-იანი დაცემის შემდეგ 2010 წელს 2,7%-ით, ხოლო 1011 წელს 3,2%-ით გაიზრდება.

შესაბამისად, ამ ქვეყნებში მაღალია ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორსაც ერთ სულზე წარმოებული მშპ წარმოადგენს (მას გაერო ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებთან ერთად, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა და მოსახლეობის წიგნიერების დონე, იყენებს ინდექსის – ჰუმანური განვითარების ინდექსის გასაანგარიშებლად). კერძოდ, 2007 წელს მშპ ერთ სულზე შეადგენდა: ბელგიაში – 42,6 ათას აშშ დოლარს, კვიპროსში – 27,5, დანიაში – 57, ესტონეთში – 15,8, ფინეთში – 48,3, ირლანდიაში – 59,5, ლიტვაში – 11,3, ლატვიაში – 11,9, მალტაში – 18,2, ჩეხეთში – 16,9 ათას აშშ დოლარს და ა.შ. ამ მხრივ ლიდერობს ლუქსემბურგი - ერთ სულზე 100 ათას დოლარით.

ბოლო წლებში წარმოების ეფექტურობის გაზრდის მიზნით ქვეყანაში დაჩქარებული ტემპებით ხორციელდება პრივატიზების პროცესები. კერძოდ, ბოლო 7 წელიწადში სულ გაიყიდა 4174 ობიექტი, საიდანაც ქვეყნის ბიუჯეტმა 1738 მლნ ლარი მიიღო.

ეს ობიექტები სხვადასხვა გზით იყიდებოდა. კერძოდ, 2007 წელს აუქციონის წესით გაიყიდა 592 ობიექტი, კონკურსის წესით – ერთი ობიექტი, სხვა მეთოდებით – 2 ობიექტი.

ამასთან, ქართველი ექსპერტების დაკვირვებით, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვექტორები მკვეთრადაა ერთმანეთს დაშორებული. კერძოდ, თუ პოლიტიკურად ქვეყანა დასავლეთისაკენ მიისწრაფის, ეკონომიკურად იგი რუსეთისაკენ იხრება, მასზე ყიდის ძირითად სამეურნეო ობიექტებს (მაგალითად, VTB ბანკის თითქმის მთელი სააქციო ფონდი ანალოგიური სახელწოდების რუსეთის სახელმწიფო ბანკის ხელთაა).

2009 წლის I ნახევარში თბილისში ყოფნისას ნობელის პრემიის ლაურეატმა რობერტ მანდელიმ გამოთქვა თავისი აზრი ქართული ინდუსტრიის განვითარების შესახებ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მისი რჩევა არავის მიუღია და ამიტომაა, რომ ეს დარგი დაღმავალ გზაზეა. მან

ხელისუფლებას ურჩია გაეუმჯობესებინა კლიმატი ამ სფეროში, განსაკუთრებით გადასახადების შემცირების გზით. უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება გარკვეულად იზიარებს როგორც მანდელას, ისე სხვა, მათ შორის, ქართველი ეკონომისტების აზრებს, რისი დამადასტურებელია თუნდაც პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც გადასახადებმა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 30% არ უნდა გადააჭარბოს და მისი გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის გზით უნდა მოხდეს. ჯერჯერობით კი ქართული ინდუსტრია დეპრესირებულ მდგომარეობაშია. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ თუ 2003 წელს მრეწველობას ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში ეკავა 18%-მდე, 2004 წელს ეს მაჩვენებელი 16%-მდე შემცირდა, 2005 წელს – 15,7-მდე, 2006 წელს – 14,95-მდე, 2007 წელს – 13,3-მდე, ხოლო 2008 წელს – 13%-მდეა დასული. ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში სათანადოდ არაა გამოყენებული ინდუსტრიის თუნდაც ტრადიციული პოტენციალი, ტექნოლოგიები და სამუშაო ძალა. შესაბამისად, ქვეყნის უმთავრეს საექსპორტო საქონლად შავი თუ ფერადი ლითონების ჯართი იქცა.

ვფიქრობთ პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ინიციატივა, რომელიც ბიუჯეტის ხარჯების მშპ-ს არა უმეტეს 30 პროცენტის დონეზე შენარჩუნებას ითვალისწინებს, სამრეწველო (და არა მხოლოდ მათ) საწარმოებს გაუადვილებთ მუშაობას და როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტულს გახდის მათ პროდუქციას.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მრეწველობას მაღალი ხვედრითი წილი უკავია და მისი წლიური ზრდაც ძალზე შთამბეჭდავია.

კერძოდ, მრეწველობის ყოველწლიური ზრდის მაჩვენებელი 2007 წელს შეადგენდა, %:

გერმანიაში – 6

პოლონეთში – 12,2

ჩეხეთში – 8,2
რუსეთში – 10,5
სლოვაკეთში – 12,8
შვეიცარიაში – 9,5
უკრაინაში – 10,3
უნგრეთში – 8,1% და ა.შ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ბანკის ექსპერთა განცხადებით, მსოფლიო მშპ, რომელიც 2009 წელს 2,2 პროცენტით შემცირდა, მოსალოდნელია, რომ 2010 წელს გაიზარდოს 2,7 პროცენტით, ხოლო 2011 წელს 3,2 პროცენტით.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინა ევროკავშირის ქვეყნებზეც. კერძოდ, 2009 წლის შედეგების მიხედვით გერმანიაში მშპ-ს ტემპი დაეცა 4,8%, დიდ ბრიტანეთში 5,1%-ით, საფრანგეთში 2,4%-ით. ამ წელს ყველაზე მკვეთრად დაეცა მშპ-ს ტემპები ბალტიის ქვეყნებში და განსაკუთრებით ლატვიაში – 18,4%.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის (27 ქვეყანა) პოლონეთია ერთადერთი, რომელმაც შეძლო მეტნაკლები წარმატებით გადაეტანა მსოფლიო კრიზისი და 2009 წელს მშპ-ს 1,7%-იანი ზრდაც დაეფიქსირებინა.

მშპ-ს ამ ცვლილებებს მათივე აზრით, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახე ექნება, ანუ დაახლოებით ისეთი, როგორიც ეს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს:

ცხრილი №7

მშპ-ს ზრდა მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ფაქტიური და პროგნოზი (%)

ქვეყნები	2008წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.
ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის				
ხორვატია	2,4	- 5,9	0,6	2,0
ესტონეთი	- 3,6	- 14,7	1,8	2,7

უნგრეთი	0,6	-6,7	-0,6	2,0
ლატვია	- 4,6	-17,9	-2,0	2,5
ლიტვა	2,8	-15,2	-0,2	2,3
პოლონეთი	5,0	1,4	2,3	3,0
სლოვაკეთი	6,2	-5,3	2,8	3,7
სლოვენია	3,5	-7,5	1,9	2,7
საშუალო	3,5	-3,3	1,4	2,8
აღმოსავლეთ ევროპა და კავკასია				
სომხეთი	6,6	-15,5	2,0	3,5
აზერბაიჯანი	10,9	9,3	9,0	8,0
ბელორუსი	0,0	0,2	3,0	3,9
საქართველო	2,1	-4,5	2,0	4,0
მოლდოვა	7,2	-6,7	4,0	4,0
უკრაინა	2,2	-14,5	3,0	3,0
საშუალო	5,0	-7,8	4,0	4,2
თურქეთი	0,9	-5,6	4,7	4,0
რუსეთი	5,6	-8,7	3,9	4,2
ცენტრალური აზია				
ყაზახეთი	3,2	-1,3	3,5	3,7
ყირგიზეთი	7,6	2,8	4,0	5,2
მონღოლეთი	8,9	0,0	6,4	7,2
ტაჯიკეთი	7,9	3,0	3,5	5,0
თურქმენეთი	10,5	6,0	14,0	13,0
უზბეკეთი	9,0	7,0	7,8	7,0
საშუალო	5,0	0,9	5,8	5,7

გადასახადების შემცირებამ და პარალელურად სოციალური ხარჯების გაზრდამ (რაც გარკვეულწილად კარსმომდგარი აღგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებთან არის დაკავშირებული), ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი გაზრდა გამოიწვია. კერძოდ, თუ ეს მაჩვენებელი 2004 წელს 4,5%-ს შეადგენდა, 2009 წელს იგი 9,5% გახდა.

ძალიან კარგი და აქტუალური ლოზუნგი აქვს მრეწველების პარტიას: „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ოღონდ საჭიროა, რომ მანამდე თავად საქართველომ გადაარჩინოს მრეწველობა და მრეწველები. ეს დარგი, რომელიც სოციალისტური სისტემის პირობაზე შედარებით კარგად განვითარებული იყო, ახლა სულს ღაფავს: ფიზიკურად და მორალურად მოძველდა მატერიალურ ტექნიკური ბაზა, დაიფანტნენ დარგში მომუშავე კადრები, მოხდა მათი დეკვალიფიკაცია, ახალი თაობა ნაკლებად ირჩევს ისეთ სპეციალობებს, რომელიც მათ ამ დარგში სამუშაოდ გამოადგებოდათ. დღეს უმეტესად საბანკო-საფინანსო, მენეჯერულ და ა.შ. სპეციალობებს ეტანება ახალგაზრდობა. უმაღლესი განათლების კი არა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულ ხარატს თუ ზეინკალს ვერ იპოვი უკვე, სანთლითაც რომ ეძებო.

ბიზნესის განვითარებას განსაკუთრებით აფერხებს ბანკების მიერ სესხების გაუცემლობა. ამასთან, მათ გაცემულ სესხებზეც მეტად მაღალი პროცენტი აქვთ დაწესებული. კერძოდ, თუ აშშ და დასავლეთ ევროპაში სესხზე წლიური 3-6%-ია სარგებელი, საქართველოში ეს ციფრი 20-30%-ის ფარგლებში მერყეობს. თუმცა ბანკების მდგომარეობაც გასაგებია: ბოლო მონაცემებით საქართველოს ბანკების მთელი გაცემული სესხების 10%-ზე მეტი უიმედოა. ცხადია, ასეთ დროს ბანკი ფრთხილობს და გაცემულ კრედიტებზე მაღალ სარგებელს აწესებს, რათა ეგების ამ გზით შეძლოს შესაძლო დანაკარგების კონპენსირება.

როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების აზრით, საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის ახალი ინიციატივა (ეს გარკვეულწილად ზევითაც აღვნიშნეთ), რომელიც ძირითადად მიმართულია ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ, ხელს უწყობს ეროვნული მეურნეობის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, ამ ინიციატივის ძირითადი

მოთხოვნებია (რომელიც კანონის სახით შემოვა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში):

1) ბიუჯეტის შემოსავლები არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 30%-ს;
2) ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აჭარბებდეს მშპ-ს 3%-ს;
3) ქვეყნის საგარეო ვალის შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 60%-ს.

ის გარემოება, რომ საქართველო მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ რეიტინგში, რომელიც ბიზნესის სიადვილეს ეხება (Doing Business) მსოფლიოში მე-11-ე ადგილზეა და ამ მხრივ უსწრებს აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს, და რომ იგი ასევე სწრაფად დაწინაურდა კორუფციასთან ბრძოლის ხაზითაც და აგრეთვე, ეკონომიკური თავისუფლების (Economic freedom) ინდექსის მიხედვით 32-ე ადგილი მიენიჭა (ამ მხრივ 1-8 ადგილი შემდეგნაირად ნაწილდება: ჰონგ-კონგი, სინგაპური, ავსტრალია, ირლანდია და ახალი ზელანდია, აშშ, კანადა, დანია, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო), რომელიც ითვალისწინრებს საქმიანობის სიადვილეს, შრომის ბაზრის ელასტიურობას, ვაჭრობის თავისუფლებას, ფისკალურ თავისუფლებას და სახელმწიფოს როლის შესუსტებას ბიზნესში, იმის იმედს იძლევა, რომ პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობებში (ქვეყნის შიგნით და რუსეთთან ურთიერთობაშიც) ჩვენმა ეროვნულმა ეკონომიკამ კარგი შედეგები უნდა აჩვენოს.

ამ დარგს მეტი ყურადღება სჭირდება

„კონკურენციის შეზღუდვა ყოველთვის წინააღმდეგი უნდა იყოს საზოგადოების ინტერესისა და ის იმას შეიძლება ემსახურებოდეს, რომ ვაჭრებმა, მათი მოგების გადიდებით იმაზე მეტად, რაც იგი ბუნებრივად იქნებოდა, თავიანთ დანარჩენ თანამოქალაქეებს მძიმე გადასახადი ახდევინონ თავის სასარგებლოდ".

ადამ სმითი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ", თბ. 1938, ტ.1, გვ. 295.

გადმოცემით, ძველმა ბერძნებმა საქართველოს გეორგია დაარქვეს, რაც მიწის მუშას ნიშნავს. როგორც ჩანს, საუკუნეებმა შეცვალეს ქართველი კაცის ბუნება. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის, რასაც ქვემოთ წავიკითხავთ.

2006-2007 წლებში ქვეყნის მოსახლეობის მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი წინა სამი წლის საშუალოსთან შედარებით 21 პროცენტული პუნქტით შემცირდა და მხოლოდ 29% შეადგინა. ეს იმ პირობებში, როცა მარცვლეულის იმპორტი 2006 წელს ყველაზე მაღალი იყო (859 ათ ტ). მისი წილი იმპორტში მაღალი (14%) იყო 2009 წელსაც (ხორბლის გარდა ამ წელს ძირითადი საიმპორტო პროდუქტები იყო თამბაქო და მისი ნაწარმი, ლერწმისა და შაქრის ჭარხალი, შოკოლადის ნაწარმი, ფრინველის ხორცი, თევზი და ა. შ.)

წარმოებასთან შედარებით სურსათზე მოთხოვნის უფრო სწრაფი ტემპით ზრდის გამო, 2007 წელს ფასებმა 70%-ით მოიმატა. საგულისხმოა, რომ სასურსათო პროდუქტებზე ფასების 1%-იანი მატება მსოფლიოში მოშიმშილე ადამიანების 16 მლნ-ით ზრდას იწვევს. ცხადია, ეს კანონზომიერება საქართველოზეც გავრცელდება.

ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობა მოთხოვნას იკმაყოფილებს საკუთარი წარმოების მხოლოდ სიმინდის მარცვლის, კარტოფილის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ცხვრისა და თხის ხორცით; დანარჩენი პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები 20-85%-ს შორის მერყეობს. მათ შორის მარცვლეულით უზრუნველყოფა 29%-ია, ხორბლით – 9, მცენარეული ცხიმით – 5, ყველა სახეობის ხორცით – 7, რძითა და რძის პროდუქტებით – 84%-ით. ბოლო წლებში საქართველოში შეწყდა მრავალი სახეობის პროდუქტის წარმოება, მათ შორის სასაქონლო დანიშნულების სუფრის ჭარხლის, სტაფილოს, ყვავილოვანი კომბოსტოს, სააღრეო ბოსტნეულის და სხვა. და ეს მაშინ, როდესაც ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს შეუძლია გამოკვებოს არამარტო საკუთარი მოსახლეობა, ანუ 4,6 მლნ ადამიანი, რომელიც ამჟამად ქვეყანაში ცხოვრობს, არამედ სამი და ოთხი ამდენი.

პურისა და პურ-პროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმა წელიწადში 350 გრამია, მაგრამ მისი რეალური მოხმარება 420-450 გრამს შეადგენს. საქართველოში სასურსათო პროდუქტების მოხმარების სტრუქტურული ანალიზიდან ჩანს, რომ კალორიულობის 65%-ზე მეტი მოდის პროდუქტების 4 სახეობაზე: ხორბლის პურზე, მცენარეულ ზეთზე, შაქარზე, რძესა და რძის პროდუქტებზე. მაშინ, როდესაც ფიზიოლოგიური ნორმით მათზე მთლიანი მოხმარების მხოლოდ 47%-მდე უნდა მოდიოდეს.

ასეთ პირობებში დაუშვებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ბოლო ხანებში ერთწლიანი კულტურების ფართობები

მკვეთრად მცირდება. კერძოდ, 1990 წელს მათ ეკავათ 702 ათ ჰა, ხოლო 2007 წელს – 297 ათ ჰა, ანუ შემცირდა – 2,4-ჯერ.

2007 წელს, 1999 წელთან შედარებით ხორბლის ნათესები შემცირდა 2,4-ჯერ, სიმინდის 1,8, მზესუმზირის – 3,2, კარტოფილის – 1,5, ბოსტნეულის 1,4-ჯერ.

მარცვლეულის (განსაკუთრებით, ხორბლის) ფართობების ასეთი შემცირება არაფრით გამართლებული არაა. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი მეცნიერის აზრით, საქართველო მათი წარმოშობის თვითმყოფად კერადაც ითვლება.

კერძოდ, როგორც მეცნიერები აცხადებენ, მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის 22 სახეობიდან საქართველოში აღწერილი და რეგისტრირებულია 14, სადაც გაერთიანებულია რამდენიმე ათეული სახეობა და ჯიში. ამასთან 5 სახეობა ენდემურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ საქართველოში იყო გავრცელებული. ხორბლის ჯიშების ასეთი მრავალფეროვნება სხვაგან არსად გვხვდება. ეს კულტურები უნდა შევინარჩუნოთ და განვავითაროთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებიან, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ როგორც თავის საახალწლო ეპისტოლეში ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ *„საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის დამოკიდებულება, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით რაც შეეხება ხორბალს, მისი ადგილობრივი წარმოება კატასტროფულად არის შემცირებული და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მხოლოდ 9%-ს აკმაყოფილებს. სამწუხაროდ, ამ 9%-შიც არ შედის ადგილობრივი ტრადიციული ჯიშები”.*

ცნობისათვის: მსოფლიოში ხორბლის წარმოება ყოველწლიურად იზრდება. კერძოდ, თუ 2000 წელს იწარმოებოდა 586,1 მლნ ტ, 2007 წელს მისმა წარმოებამ 607,0 მლნ. ტ. შეადგინა.

ხორბლის ყველაზე დიდი მოსავალი მოჰყავთ ჩინეთში (2000 წელს 100,0 მლნ ტ, 2007 წელს – 110,0 მლნ ტ), რომლის წილიც მსოფლიო ხორბლის წარმოებაში თითქმის 15 – 18%-ზე მეტს შეადგენს, ინდოეთში (2000 წელს – 76 მლნ ტ, 2007 წელს – 75 მლნ ტ), მსოფლიოში წილი – 12%-ზე მეტი. შეერთებულ შტატებში (2007 წელს 61 მლნ ტ, 2007 წელს – 54 მლნ ტ), მსოფლიოში მისი წილი შეადგენს 8,8%-ს, რუსეთში (2000 წელს – 34 მლნ ტ, 2007 წელს 33 მლნ ტონა), მსოფლიოში წილი – 5,5%, კანადაში (2000 წ – 27 მლნ ტ, 2007 წ – 21 მლნ ტ). მსოფლიო ხორბლის წარმოებაში კანადის წილი შეადგენს 3,4%-ს.

რაც შეეხება ხორბლის მოსავლიანობას, იგი 2007 წელს ყველაზე მაღალი იყო დიდ ბრიტანეთში – 1 ჰა-ზე 73,4 ცენტნერი, გერმანიაში 71,1, დანიაში 65,6 ც, ეგვიპტეში – 64,8ც, საფრანგეთში – 62,5 ც-ს.

ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ავღანეთი – 17,4 ც. ავსტრალია - 10,6, ბრაზილია - 22 ც. და ა.შ. მსოფლიოში ხორბლის საშუალო მოსავლიანობა 2007 წელს შეადგენდა 27,9 ც-ს.

ახლა საქართველოს შესახებ:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო ზოგიერთი ისტორიკოსის თუ არქეოლოგის მიერ ხორბლის წარმოშობის ქვეყნადაა მიჩნეული. ამიტომ, დიდად სამწუხაროა, რომ ამ ძვირფასი კულტურის ისეთი დამახასიათებელი მაჩვენებლები, როგორიცაა მისი ფართობი, მოსავლიანობა და მოსავალი, ყოველწლიურად მცირდება. კერძოდ, თუ 2006 წელს მიღებული იყო 125,000 ტონა ხორბალი, 2007 წელს 75 ათ. ტ, 2008 წ 54,6 ათ. ტ. 2009 წელს მხოლოდ 80,0 ათ ტ. განსაკუთრებით შემაშფოთებელია მოსავლიანობის დაცემა. შირაქშიც კი (დედოფლისწყაროს რნ-ი), ასეთ ბარაქიან მიწაზე, ანუ იქ, სადაც აღრეულ წლებში იმდენი ხორბლის მოსავალი მოდიოდა, რომ ამ მხარეს საქართველოს ბეღელს უწოდებდნენ, მოსავლიანობამ მხოლოდ 0,5 ტ. შეადგინა ჰა-ზე,

ანუ მრავალჯერ ნაკლები, ვიდრე ეს მაჩვენებელი წარმოადგენს ამ კულტურის დაბალმოსავლიან ქვეყნებშიც კი (ავღანეთი, ბრაზილია და ა.შ.). ასეთ პირობებში ცხადია, ფერმერებს იმდენი შემოსავალიც კი არ აქვთ ხორბლის რეალიზაციიდან, რამდენსაც ისინი მის საწარმოებლად ხარჯავენ.

საქართველო წელიწადში მოიხმარს დაახლოებით 800,000 ტონა ხორბალს, საიდანაც ადგილობრივ იწარმოება მხოლოდ მისი მეათედი. ცხადია, დანარჩენი უცხოეთიდან შემოდის. შესაბამისად, ხორბალი იკავებს ერთ–ერთ ლიდერ ადგილს საიმპორტო პროდუქტებს შორის. საქართველოში მისი ძირითადი იმპორტიორები არიან რუსეთი, ყაზახეთი და უკრაინა (მოსავლიანობა: რუსეთში – 20 ც/ჰა-ზე, ყაზახეთში – 12,8, უკრაინაში 22,9 ც/ჰა-ზე).

2007 წელს დაუთესავი დარჩა 405 ათ ჰა სახნავი, ანუ ამ კატეგორიის მიწების 58%.

ნათესი ფართობების შემცირებასთან ერთად შეინიშნება არამარტო პროდუქციის წარმოების, არამედ მოსავლიანობის მაჩვენებლის შემცირებაც, რაც წარმოების არამდგრადობაზე, მის ექსტენსიურსა და პრიმიტიულ ხასიათზე მიუთითებს.

ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა ასევე მრავალწლიანი კულტურების ფართობები, მთლიანად მოსავალი და მოსავლიანობა. მრავალწლიანი კულტურების საერთო ფართობმა (ჩაის ნარგაობის გარდა) 105 ათ. ჰა შეადგინა: საქართველოში, აფხაზეთის გარდა, შემორჩენილია 25-30 ათ ჰა ჩაის პლანტაცია. ჩაიზე მოთხოვნების ზრდის მსოფლიო ტენდენციის პირობებში მეჩაიეობის 19 ძირითად ქვეყანას შორის საქართველო ერთადერთია, რომელმაც შეამცირა როგორც ჩაის ნარგაობა, ისე ამ პროდუქციის წარმოება (იხ. ცხრილი №8)

ცხრილი №8

ჩაის მოსავალი მსოფლიოში და საქართველოში

ქვეყნები	ათასი ტონა		მოსახლეო -ბის ერთ სულზე		წილი მსოფლიო-ში, 2007წ
	2000 წ	2007 წ	2000 წ	2007 წ	
მსოფლიოში მ.შ.	2964	3871	0,5	0,6	100
არგენტინა	74	72	2,0	1,8	1,9
ბანგლადეში	46	59	0,3	0,4	1,5
ბრაზილია	8	18	0,0	0,1	0,5
ჩინეთი	704	1187	0,6	0,9	30,6
საქართველო	24	24	5,1	5,4	0,6
ინდოეთი	826	949	0,8	0,8	24,5
ინდონეზია	163	192	0,8	0,8	5,0
ირანი	50	60	0,8	0,8	1,5
იაპონია	85	95	0,7	0,7	2,5
კენია	236	315	7,6	8,4	8,1
მალავი	42	39	3,6	2,8	1,0
მაიანმარი	19	27	0,4	0,6	0,7

რუანდა	14	19	1,8	2,0	0,5
შრი-ლანკა	306	305	16,3	16,8	7,9
ტანზანია	24	31	0,7	0,8	0,8
თურქეთი	136	192	2,0	2,6	4,9
უგანდა	29	35	1,2	1,1	0,9
ვიეტნამი	70	153	0,9	1,8	4,0
ზინბაბვე	22	22	1,7	1,7	0,6

როგორც ვხედავთ, მეტად საგულისხმოა ამ ცხრილის მონაცემები. მაშინ, როდესაც ჩაის მსოფლიოში ცნობილმა ყველა მწარმოებელმა-ქვეყანამ გაზარდა ამ პროდუქციის დამზადების მოცულობები, საქართველო თანდათან კარგავს ოდინდელ პოზიციებს, და არა მხოლოდ უცხოურ ბაზრებზე, არამედ ადგილობრივ ბაზრებზეც, რომლებიც წალეკილია საეჭვო წარმომავლობისა და ხარისხის უცხოური ჩაით, რაც დანაშაულად მიგვაჩნია.

ერთ-ერთი დარგი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების I ნახევრიდან მოყოლებული ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, იყო მეცხოველეობა, თუმცა ბოლო წლებში, მის ქვედარგებშიც პირუტყვის სულადობის და პროდუქციის წარმოების შემცირების ტენდენცია ჩამოყალიბდა. ბოლო ხანებში მკვეთრად შემცირდა რძის წარმოებაც.

2007 წელს ხორბლით ქვეყნის მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელმა მხოლოდ 8% შეადგინა. გაუარესდა სიმინდის მარცვლეულით, ბოსტნეულით და კარტოფილით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებიც; არადა, ეს პროდუქტები საქართველოში ყოველთვის თითქმის

საკმარისი რაოდენობით იწარმოებოდა. ამის შემდეგ როგორ არ გაგიკვირდეს ჩინელთა სამეურნეო წარმატებები, როდესაც გაიგებ, რომ 1985 წლიდან ეს ქვეყანა არამხოლოდ საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, არამედ მარცვლეულის ექსპორტს ახორციელებს.

2007 წელს ყველა სახის აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტმა 1 მლრდ 150 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც ჩვენი მთლიანი ექსპორტია (გამოდის, რომ საქართველოს თავისი ექსპორტით მხოლოდ სასურსათო პროდუქციის ყიდვა ხელეწიფება).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელი ამ მხრივ ერთგვარად დადებითი ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, ამ წელს 2008 წელთან შედარებით გაიზარდა აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი (25,4%) და შემცირდა (19 პროცენტით) ამ პროდუქციის იმპორტი.

მიუხედავად სოფლის მეურნეობაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა, ამ დარგის არც ერთი ქვედარგის მიხედვით არ არის შედგენილი განვითარების პროგრამა. უფრო მეტიც: სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შედგენა და მათი თუნდაც ნაწილობრივი დაფინანსება ბიუჯეტიდან, კანონით აკრძალულია.

ქვეყანაში ყველაფერი უნდა გაკეთდეს აგრობიზნესის განვითარებისათვის, რისთვისაც ხელსაყრელი გარემო იქმნება მსოფლიოში სურსათის გაძვირების ტენდენციის ჩამოყალიბების გამო.

„ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, პური იმდენი მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს" – ბრძანებდა დიდი ილია ჭავჭავაძე.

სასურსათო პროდუქციის წარმოების მოცულობების გაზრდის მიზნით ჩვენი ბიუჯეტი კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პროცესებში. მაგალითად, ჩვენი მეზობელი თურქეთი, რომელიც თხილის მსოფლიო ბაზრის 90%-ზე მეტს იკავებს (საქართველო

მხოლოდ 6-7%-ს), ამას იმით აღწევს, რომ სახელმწიფო ამ დარგს სერიოზულ დახმარებას უწევს. ეს დარგი თურქეთში პრიორიტეტულადაა დასახელებული.

აზერბაიჯანში არსებობს მეწარმეობის დახმარების ეროვნული ფონდი, რომელიც ხელსაყრელი კრედიტებით სტიმულს აძლევს სოფლის მეურნეობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროს განვითარებას. ამ ფონდმა ბოლო ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობას გამოუყო 272 მილიონი მანათის შეღავათიანი კრედიტი (1 დოლარი დაახლოებით 0,80 მან.). 2009 წელს ბიუჯეტიდანაც გათვალისწინებული იყო ამ დარგის დასახმარებლად 511 მლნ აშშ დოლარი. ამ სახსრებით რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში აშენდა საკონსერვო ქარხნები, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის ნაწილი საექსპორტოდ არის გათვალისწინებული (იხ. ჟურნ. „ეკონომისტი", 2009 წ.).

მას შემდეგ, რაც აგრარული პროდუქცია არ იბეგრება საბაჟოზე, საქართველოს აგრარული სექტორი დიდი პრობლემების წინაშე დადგა. ადგილობრივი პროდუქცია ვერ უძლებს კონკურენციას. შედეგად, 2008 წელს შემოტანილი იყო 1 მლრდ დოლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო ქვეყნიდან გავიდა 250 მლნ-ს. შესაბამისად, საგადასახდელო ბალანსის ეს ნაწილიც ნეგატიური აღმოჩნდა. ქართული ბოსტნეული ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს 60%, ხილი 75-80%-ით. ქართული ჩაი მხოლოდ 5%-ით, მაშინ როდესაც სსრკ-ის დროს საბჭოთა ხალხის მოთხოვნილების 90%-ზე მეტი ქართული ჩაით კმაყოფილდებოდა.

ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში 20-22 ჯერ შემცირდა ყურძნისა და ხილის წარმოება-დამზადება. თუ ადრე 1980-1990 წლებში ვენახის ფართობებს 145-155 ათ. ჰა ეკავა, ახლა ეს ფართობები 35-37 ათ. ჰა-მდეა შემცირებული. 80-იან წლებში თუ იწარმოებოდა 700-800 ათ. ტ ყურძენი და 800-900

ათ. ტ ხილი, 2007 წელს კი ხილი და ყურძენი ერთად 227,5 ათ. ტონაზე მეტი ვერ ვაწარმოეთ.

2009 წელს შედარებით გაზრდილია ყურძნის მოსავალი. თუ 2008 წელს იწარმოა 103,0 ათ. ტ ყურძენი, 2009 წელს მისი მთლიანი მოსავალი 14,4%-ით გაიზარდა. ცხადია, ქვეყანას აქვს ამ პროდუქციის წარმოების გაზრდის გაცილებით დიდი პოტენციალი, მაგრამ ამჟამად არსებული ფასების პირობებში ამგვარი რამ წარმოუდგენელია. კერძოდ, 2009 წელს 1 კგ რქაწითელის ჯიშის ყურძენი ღირდა 0,45 ლარი, ხოლო საფერავის – 0,65 ლარი.

მართალია, სახელმწიფო ცდილობს გარკვეულად წაახალისოს ყურძნის წარმოების მოცულობები, რისთვისაც გაიღებს სუბსიდიებს (2008 წელს – 8,5 მლნ ლარი, 2009 წელს – 25 მლნ ლ.), მაგრამ მხოლოდ ამ სახის დახმარებით დარგში რადიკალური გარღვევა ვერ მოხდება. ღვინის სარეალიზაციოდ თუ შესანახად, მევენახემ 1 კგ რქაწითელზე მიიღო 0,15 ლარი სუბსიდია, ხოლო საფერავზე – 0,25 ლარი. ყურძნის გრძელი ვადით შესანახად და შემდეგ მის საექსპორტოდ ხელისუფლებამ უფრო ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს.

უცხოურ ბაზრებზე ქართული ღვინის რეალიზაციის მოცულობები განსაკუთრებით შეამცირა 2006 წელს რუსეთის მიერ აღნიშნულ პროდუქციაზე გამოცხადებულმა ემბარგომ. ქართული ღვინის თითქმის 90%-მდე სწორედ აქ იყიდებოდა. მართალია, შემდგომ წლებში ამ ბაზარს გარკვეულად ჩაენაცვლნენ სხვა ქვეყნის ბაზრები (უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსი და ა.შ.), მაგრამ ჯერ ერთი, რუსეთის ბაზრის ადგილს სხვა ბაზრები ასე ადვილად ვერ დაიკავებენ და მეორეც, მსოფლიო საფინანსო კრიზისის შედეგად აქაც ჭირს ქართული ღვინის რეალიზაცია.

ამჟამად სხვადასხვა ქვეყნებში ქართული ღვინის რეალიზაციას შემდეგი სახე აქვს:

ქართული ღვინის იმპორტიორი ქვეყნები (ლიტრებში)

№	ქვეყანა	2009 წ
1	უკრაინა	2,380,557
2	ყაზახეთი	900,460
3	ბელარუსი	619,661
4	ჰოლანდია	446,470
5	ლიტვა	326,406
6	ლატვია	255,614
7	აშშ	231,318
8	ესტონეთი	183,414
9	აზერბაიჯანი	169,848
10	გერმანია	118,120

ეროვნული ეკონომიკის უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს მევენახეობა-მეღვინეობის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება. ამჟამად ქვეყანაში დარეგისტრირებულია 218 ღვინის მწარმოებელი ფირმა. აქედან რეალურად ფუნქციონირებს 160. მომუშავე ღვინის ქარხნიდან 35 ძირითადად ღვინის ექსპორტზე მუშაობს. ჯერჯერობით ქართული ღვინის ხვედრითი წილი მსოფლიო ბაზარზე ძალზე უმნიშვნელოა და 0,3% არ აღემატება. ამ მხრივ ლიდერი ქვეყნები არიან საფრანგეთი (18%), იტალია (17%), ესპანეთი (12%) და აშშ (10%), რომელთა წილადაც მოდის მსოფლიო ღვინის ბაზრის 60 პროცენტზე მეტი.

2009 წლის I კვარტალში საქართველოდან გავიდა 2 მლნ ბოთლი ღვინო, ანუ 1 მლნ-ით ნაკლები, ვიდრე წინა წლის შესაბამის პერიოდში.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ქართული ღვინის ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან უკრაინა, ბელორუსი და ყაზახეთი. საკმაოდ დიდი რაოდენობის ღვინო რეალიზდება ასევე ჰოლანდიაში, ჩინეთში და ა. შ.

ღვინოსთან ერთად საექსპორტოდ გადის ასევე ქართული კონიაკიც. 2009 წელს კონიაკის ექსპორტი განხორციელდა 16 ქვეყანაში, და საექსპორტოდ გავიდა 1,242. მლნ ბოთლი. ისევე როგორც ღვინის, კონიაკის ძირითადი ბაზარია უკრაინა, სადაც იყიდება ჩვენი კონიაკის 90 პროცენტამდე.

ამ მხრივ ბოლო ხანების უდაოდ დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ციტრუსების ექსპორტის ზრდაც. კერძოდ, 2009 წელს ჩვენ ქვეყანაში დაიკრიფა 125 ათ. ტონა ციტრუსი (წინა წელს მხოლოდ 40 ათ. ტონა), საიდანაც საექსპორტოდ გავიდა 85 ათ. ტონა (წინა წელს მხოლოდ 20 ათ. ტონა).

სოფლად აუთვისებელი პოტენციალი

2007 წელს 2001 წელთან შედარებით თითქმის განახევრებულია ნათესი ფართობები 564,5 ათ ჰა-დან 297,2 ათ ჰა-მდე. მათ შორის: მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები 360,1 ათ ჰა-დან 206,0 ათ ჰა-მდე, მათგან ხორბალი 115,8 ათ ჰა-დან 45,4 ათ ჰა-მდე, ქერი – 45,6 ჰა-დან 27,1 ათ ჰა-მდე, სიმინდი 202,4 ათ ჰა-დან 125,5 ათ ჰა-მდე, ლობიო 9,9 ათ ჰა-დან 6,7 ათ ჰა-მდე.

ამავე პერიოდში ასევე განახევრებულია ტექნიკური კულტურებით დაკავებული ფართობები. კერძოდ, თუ 2001 წელს მათი ფართობები შეადგენდა 46,7 ათ ჰა-ს, 2007 წელს მან შეადგინა 22,7 ათ ჰა. მათგან თითქმის აღარ ირგვება თამბაქო, რომლის ფართობიც 2001 წელს შეადგენდა ათას ჰა-ს, მზესუმზირისა შემცირდა 43,7 ათ ჰა-დან 22,3 ათ ჰა-მდე, სოიისა 1,6 ათ ჰა-დან 0,3 ათ ჰა-მდე.

საანალოზო პერიოდში მკვეთრადაა შემცირებული კარტოფილით და ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურებით დაკავებული ნათესი ფართობები. კერძოდ, თუ 2001 წელს მათი ფართობები შეადგენდა 85,9 ათ ჰა-ს, 2007 წელს 58,9 ათ ჰა-მდეა შემცირებული, ბოსტნეული 40,9 ათ ჰა-დან 32 ათ ჰა-მდე, ბაღჩეული 7,6 ათ ჰა-დან 5,3 ათ ჰა-მდე და ა.შ.

კიდევ უფრო საგანგაშო მდგომარეობაა პირუტყვის საკვები პროდუქტების წარმოების სფეროში. თუ ამ კულტურებით დაკავებულ ფართობებს 2001 წელს 51,8 ათ ჰა ეკავათ, 2007 წელს აღნიშნული ფართობები 5,4 ათ ჰა-მდეა შემცირებული.

ამავე პერიოდში მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა.

კერძოდ, თუ 2001 წელს ხორბლის მოსავლიანობა შეადგენდა 26,9 ც ჰა-ზე, ქერის – 22,0-ს, მზესუმზირის – 9,7-ს, კარტოფილის – 115,6-ს, ბოსტნეულის – 102-ს, მრავალწლიანი ბალახების (თივად) – 31,1-ს, ხოლო საკვები ძირხვენების და შაქრის ჭარხლის (პირუტყვის საკვებად) – 210-ს, 2007 წელს ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად იყო: 16,7; 15,0; 7,2; 106,2; 61,3; 27,0 და 20,8.

ცხადია, როდესაც ასე შემცირებულია როგორც აღნიშნული კულტურებით დაკავებული ფართობები, ასევე მოსავლიანობა, მკვეთრად შემცირდებოდა მათი მოსავალიც. ამ მხრივ მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა.

აი, ციფრებიც:

თუ 2001 წელს იწარმოებოდა 306,5 ათ ტონა ხორბალი, 2007 წელს დავიდა 74,9 ათასამდე, ანუ ამ უძვირფასესი პროდუქტის, რომლის ერთ-ერთ აკვნად და სამშობლოდ საქართველო ითვლება, მოსავალი 4-ჯერ და მეტადაა შემცირებული; 2001 წელს ქერი იწარმოებოდა 98,9 ათ ტ, 2007 წელს კი – 40,3 ათ ტ, თამბაქო – 1,8 ათ ტ, 2007 წელს მხოლოდ 100 ტ, მზესუმზირა ამ წლებში იწარმოებოდა: შესაბამისად – 41,8 და 16,1, კარტოფილი 422,2 და 229,2, ბოსტნეული 396 და 190, ბაღჩეული 84 და 74, ერთწლიანი ბალახები თივად 44 და 20,5, მრავალწლიანი ბალახები – 110 და 9.

საანალიზო პერიოდში მკვეთრადაა შემცირებული ასევე პირუტყვის და ფრინველის სულადობა. კერძოდ, თუ 2001 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა შეადგენდა 1180,2 ათ სულს, 2007 წელს მან შეადგინა 1048,5 ათ; განსაკუთრებით შემცირებულია ფურებისა და ფურკამეჩების რიცხვი (ანუ გაუარესებულია ჯოგის სტრუქტურა). თუ 2001 წელს მათი რიცხოვნობა შემცირდა 678,3 ათ, 2007 წელს ის 541 ათ-მდე დაეცა. ამავე პერიოდში 4-ჯერ და მეტჯერ შემცირდა ღორების სულადობა – 445,4 ათ-დან 110 ათ-მდე და ასევე ფრინველის

რაოდენობა, რომელიც თუ 2001 წელს უდრიდა 8,5 მლნ ფრთას, 2007 წელს იგი 6,1 მლნ-მდეა შემცირებული.

ცხადია, პირუტყვის სულადობის შემცირება თავის უარყოფით გავლენას მოახდენდა მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებაზე. ეს ასეც მოხდა. 2007 წელს 2001 წელთან შედარებით შემცირებულია: ხორცი 32%-ით, ხოლო რძე – 14%-ით.

საქართველოში წარმოებული რძის პროდუქტების უმეტესობა იმპორტირებული რძის ფხვნილისაგან მზადდება. ნატურალური რძის წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება, ამიტომ მეწარმე იაფ რძის ფხვნილს ირჩევს. ქვეყანაში, სადაც სასურსათო პროდუქციის კონტროლი იმპორტიორის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მომხმარებელს რძის ფხვილისაგან დამზადებულ პროდუქტს ხშირად როგორც ნატურალურს, ისე აწვდიან. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ხელისუფლების მხრიდან საჭიროა ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც საქართველოში იმპორტული რძის ფხვნილის შემოტანას გარკვეულად შეზღუდავდა. ეს შესაძლებელი იქნება მის იმპორტზე აქციზის შემოღებით, კვოტის დაწესებით, ორივეთი ერთად, ან სხვა გზით, რაც სტიმულს მისცემს ნატურალური რძის წარმოების მოცულობების გაზრდას.

ბუნებრივი, შრომითი, კლიმატური თუ სხვა ფაქტორები, შედარებით დაბალი გადასახადები, იაფი მუშა-ხელი, ჯერ-ჯერობით ასევე იაფი უძრავი ქონება საქართველოს აძლევს იმის საშუალებას, რომ ზოგიერთი სახის პროდუქცია არა თუ უცხოეთიდან შემოიტანოს, არამედ თავად გაიტანოს მეზობელ ქვეყნებში.

სასურსათო პროდუქტების წარმოების შემცირების შედეგად დაირღვა ექსპორტ–იმპორტის ბალანსი. საქართველოს სასურსათო ბაზარზე ჭარბობს იმპორტული პროდუქცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში უხარისხო საქონლითაა წარმოდგენილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ექსპორტ–იმპორტის მაჩვენებლები ბოლო წლების მიხედვით შემცირების ტენდენციით ხასიათდება და იგი საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წელიწდეულის მონაცემების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს.

ცხრილი № 10

საქართველოს ექსპორტ–იმპორტის მაჩვენებლები

(მოქმედ ფასებში, ათასი აშშ დოლარი)

	2004წ.	2005წ.	2006წ.	2007წ.
ექსპორტი სულ	649903	865454	936172	1232371
მ.შ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია	202353	303902	234894	298613
% ექსპორტთან	31,1	35,1	25,1	24,2
ალკოჰოლ., უალკოჰოლ., თამბაქოს პროდ.	143384	204552	151488	196103
% სოფლის მეურნეობის პროდუქტთან	70,9	67,3	64,5	65,7

<u>იმპორტი სულ</u>	1845555	2489953	3677745	5214883
მ.შ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია	390634	437505	605318	832494
% ექსპორტთან	21,2	17,6	16,5	16,0
ალკოჰოლ., უალკოჰოლ., თამბაქოს პროდ.	173164	222421	283112	377721
% სოფლის მეურნეობის პროდუქტთან	44,3	50,8	46,0	45,4

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს მთლიან ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი წლების მანძილზე მცირდება 31,1-დან 24,2%-მდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საექსპორტო აგრარული პროდუქციის წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამასთან, ექსპორტში ძირითადი ნაწილი აგრარული პროდუქტებიდან მოდის ალკოჰოლურ, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე და იგი მერყეობს 64,5-დან 70,9 %-მდე. რაც შეეხება იმპორტს, აქ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი 16,0 და 21,2%-მდე გაიზარდა

და აქაც იმპორტის ძირითადი ნაწილი ალკოჰოლურ, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე მოდის – 46,0 და 50,8 პროცენტი, შესაბამისად.

სასურსათო პროდუქტების წარმოების შემცირებამ გამოიწვია მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონის შემცირება.

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის მნიშვნელოვანი დისბალანსია. უარყოფითი ბალანსი ყველაზე თვალშისაცემია ხორბლის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის. აღსანიშნავია, რომ ისეთი პროდუქტების მიხედვითაც კი, როგორიცაა ბოსტნეული და კარტოფილი, რომელთა წარმოებაც უზრუნველყოფდა მოხმარებას, ბოლო დროს უარყოფითი ბალანსით ხასიათდება.

აღნიშნული ნაკლოვანებების დაძლევის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქონელმწარმოებელს სასურსათო პროდუქტების წარმოების გაზრდის ხელსაყრელი პირობები შეუქმნათ, უპირველეს ყოვლისა, მათი იაფი და ხარისხიანი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, იაფი კრედიტების, ხოლო დამწყები ფერმერებისათვის დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემის, ან პირველ–ორ წელიწადს გადასახადისგან გათავისუფლების და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის გზით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მოცულობების გაზრდაში, ასევე, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლებაში განსაკუთრებით დიდი როლის თამაში შეუძლიათ მცირე ფირმებს. მაგალითად, ცნობილია, რომ აშშ-ში 150 ათასი მცირე ფირმაზე მოდის ქვეყნის ექსპორტის 20%-ზე მეტი.

ცხრილი № 11

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ.)

№	პროდუქციის დასახელება	2000 წ.			2006 წ.			2007 წ.		
		წარმოება	მოხმარება კგ.	თვითუზრუნველყ %	წარმოება	მოხმარება კგ.	თვითუზრუნველყ %	წარმოება	მოხმარება კგ.	თვითუზრუნველყ %
1.	ხორბალ	20	118	10	16	112	9	17	110	9
2.	სიმინდი	67	31	100	49	29	94	68	26	100
3.	კარტოფ.	69	49	102	38	44	88	52	47	81
4.	ბოსტნ.	80	75	100	41	55	79	43	58	75
5.	ყურძენი	48	51	111	37	37	112	52	36	108
6.	ხორცი	25	28	84	18	24	72	16	27	57
7.	რძე	140	214	64	131	161	82	143	155	89
8.	კვერცხი	82	135	55	57	60	85	100	35	100

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება დინამიკაში კლების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ცალკეულ გამონაკლის წელს ერთგვარი მატება შეინიშნება (ცხრილი № 11). 2007 წელს წარმოებული იქნა 1958,5 მილიონი ლარის მთლიანი პროდუქცია, ნაცვლად 2004 წელს წარმოებული 2144,3 მლნ ლარისა (91,3%). ანალოგიურად, საქართველოს რეგიონების მიხედვით კლების ტემპი შეადგენს – იმერეთის რეგიონში – 15,1%-ს, სამეგრელო ზემო სვანეთში – 20,8%, შიდა ქართლში – 10,7% და კახეთში – 25,3%, მთლიანი პროდუქციის

წარმოების ზრდა აღინიშნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 68,7%-ით, ქვემო ქართლში – 13,2%-ით და სამცხე-ჯავახეთში – 32,0%-ით.

თუ განვიხილავთ ს/მ მთლიანი პროდუქციის წარმოებაში მხარეების წილობრივ მონაწილეობას, ამ მხრივ ასეთი მდგომარეობაა. 2007 წლის მონაცემებით მთლიანი პროდუქციის წარმოების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ქვემო ქართლის რეგიონი – 18,2%, შემდეგ მოდის იმერეთის რეგიონი – 15,4%, კახეთის რეგიონი – 13,2%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 11,6% და აჭარა – 10,1%. და ეს მაჩვენებლები წლების მანძილზე გარკვეული სტაბილურობით ხასიათდებიან.

ჩატარებული მოკლე ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ერთ დროს მოწინავე დარგი კრიზისს განიცდის, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა კი, ხელისუფლების მხრიდან ამ დარგის მიმართ სრული უყურადღებობით. ბედის ანაბარადაა მიტოვებული სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელი, არ ხდება მათი ხარისხიანი მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით მომარაგება, თუ ხდება, ისიც კაბალური ფასებით, ხელმიუწვდომელია საბანკო კრედიტები მათი მაღალი საპროცენტო განაკვეთების და სხვა რთული პირობების გამო, არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გამო ვერ ხერხდება დარგის ინვესტირება.

უცხოური საეჭვო წარმომავლობის პროდუქტებით ბაზრის გაჯერება და მათზე დაბალი, ხოლო ზოგჯერ მთლიანად გათავისუფლებული საბაჟო გადასახადის გამო ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია ვერ ხდება, და თუ ხდება, ისიც დაბალ ფასებში, რის გამოც წარმოება ზარალიანია და გლეხი იძულებულია ხელი აიღოს პროდუქციის მოვლა–მოყვანაზე. მიწის პრივატიზაციამ გამოიწვია დამუშავებაში მყოფი მაღალნაყოფიერი

ფართობების დანაწევრება, რის გამოც მთელი ამ ფართობების 10-15% მიჯნების სახით დაუმუშავებელი დარჩა, ამასთან პრაქტიკულად გამოირიცხა მექანიზაციისა და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წვრილი ოჯახური და ფერმერული მეურნეობების კოოპერირება, რაც ხელს შეუწყობს როგორც მართვის ისე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმატებით დანერგვას. საჭიროა მოხდეს წარმოებისა და გადამუშავების ინტეგრირება (ვერტიკალური ინტეგრაცია), სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე მხარის ინტერესები – წარმოების საბოლოო შედეგის – მოგების მიმართ, რაც უზრუნველყოფს როგორც კვლავწარმოების ისე მომუშავეთა მატერიალური სტიმულირების განუხრელ ზრდას.

სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება და, უფრო მეტიც, ვალდებულია ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად დაარეგულიროს ეკონომიკური განვითარება, უფრო მეტიც, ეს მისი პირდაპირი ფუნქციაა.

მხოლოდ საბაჟო გადასახადების გაზრდით როდი შეუძლია სახელმწიფოს გლეხისათვის დახმარების აღმოჩენა. მაგალითად, თურქეთში გლეხი შხამქიმიკატებში, სათესლე მასალებში და სხვ. არაფერს არ იხდის, მას სახელმწიფო აწვდის, ესეც ხომ გლეხისათვის სერიოზული დახმარებაა, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, თურქი გლეხი აჯობებს კონკურენტულ ბრძოლაში ქართველ გლეხს.

მართალია საბაზრო ეკონომიკას ფასების მხრივ თავისი კანონები გააჩნია, მაგრამ სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ისეთი ბერკეტები, რომლებიც გარკვეულწილად დაარეგულირებს ამ დარგში არსებულ მძიმე მდგომარეობას.

სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს მეორადი ნედლეულის გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შემოსავლებს და აამაღლებს დარგის ეფექტიანობას. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია, რომ ფრანგმა ან იტალიელმა დაწვას ვენახის გასხვლის შემდეგ

ზვრებში დარჩენილი დიდი რაოდენობის ლერწი. მისით მაგალითად, იტალიაში დიქტის ფიცრებს ამზადებენ. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს ასევე როგორც კომპონენტი საქონლის საკვების დასამზადებლად. წარმოუდგენელია, რომ ფრანგმა ვერ გამოიყენოს პირუტყვის სასუქი. გამოთვლებით დასტურდება, რომ თუკი სოფლად ოჯახური მეურნეობა არც თუ ისე რთულ დანადგარს შეიძენდა, მას შეეძლო ერთი ძროხიდან მიეღო იმდენი ელექტროენერგია, რომ დაეკმაყოფილებინა მასზე თავისი ოჯახის მოთხოვნილებები. ნარჩენები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა მეორადი გადამუშავებისათვის, სოფლად სხვაც ბევრია. ამ საქმეს სერიოზული შესწავლა და მოგვარება სჭირდება.

ს/ს წარმოების ეფექტურობის გაზრდის საქმეში ღირსშესანიშნავ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შემუშავებული 30 თვიანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქვეყნის აგრარული სექტორის მექანიზაციის დონის მკვეთრი ამაღლება.

კერძოდ, პროგრამის ფარგლებში აშშ მთავრობა დაეხმარება 14 ათას ფერმერს. ამ მიზნით დაიხარჯება 51 მილიონი დოლარი.

პროგრამა შემუშავებულია აშშ USAID-CNEA-ის ხაზით, რომელსაც ფერმერის დახმარება ფერმერს (Farmer to farmer) ეწოდება. იგი ითვალისწინებს იმ ფერმერებისათვის ტრაქტორებით დახმარებას, რომელთაც აუცილებლად ესაჭიროებათ სამუშაოების მექანიზებული წესით შესრულება, მაგრამ არა აქვთ საკმარისი ფინანსები სათანადო ტექნიკის შესაძენად. შრომითი პროცესების მექანიზაცია საშუალებას მისცემს ფერმერს იყიდოს სათანადო ტექნიკა. ეს კი მას შეაძლებინებს მოიყვანოს უფრო მეტი მოსავალი, უკეთ მოამარაგოს ქალაქის ბაზრები ს/ს პროდუქტებით და ასევე გაზარდოს საკუთარი შემოსავლები.

სახელდობრ, ამისათვის ქვეყანაში დაახლოებით 2 წლის განმავლობაში შეიქმნება 30-მდე მექანიზაციის საშუალებებით

მომსახურების სადგური, რომელთა საშუალოდ ხუთი ტრაქტორი ფერმერებისათვის მისაღებ ფასებში მათ მექანიზაციის სამუშაოებს შეუსრულებენ.

მთლიანობაში ქვეყნის აგრარული დარგისათვის შეძენილი იქნება 100-ზე მეტი ტრაქტორი და 400-ზე მეტი შესაბამისი სხვადასხვა სახის ტექნიკა. ამ უკანასკნელის სახეები განისაზღვრება ჩვენი რეგიონების თავისებურებებიდან გამომდინარე.

აღნიშნული პროექტი იმ დახმარების ნაწილია (1 მლრდ დოლარის ოდენობით), რომელიც შეერთებული შტატების მთავრობამ საქართველოს გამოუყო 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ. აღნიშნულ მომსახურების ცენტრებში დასაქმდება 300-ზე მეტი ადამიანი.

„დასავლეთის ქვეყნები აგრარულ სექტორს, როგორც წარმოებას, ისე ექსპორტს, მილიონობით დოლარით ეხმარებიან. ისეთი მთიანი ქვეყნები, როგორიცაა შვეიცარია, ნორვეგია ან ავსტრია, ან კიდევ გეოგრაფიულად არახელსაყრელი განლაგების ქვეყნები: ფინეთი, შვედეთი და სხვები, სოფლის მეურნეობას უფრო მეტ სუბსიდიას უხდიან, ვიდრე ის ქვეყნები, რომელთაც კლიმატურად და გეოგრაფიულად ხელსაყრელი წარმოების პირობები აქვთ, საქართველოს წვრილერთეულიანი სოფლის მეურნეობა ასეთ ვითარებაში, ცხადია, სუბსიდირებულ დასავლურ სოფლის მეურნეობას კონკურენციას ვერ გაუწევს. იგი დასაღუპადაა განწირული. საქართველოს სოფლის მეურნეობა დაცული უნდა იყოს უცხოური სუბსიდირებული აგრარული პროდუქციის კონკურენციისგან, უნდა დაწესდეს დამცავი საბაჟო ბარიერები და შეწყდეს ისეთი პროდუქციის შემოტანა, რომელიც საქართველოში იწარმოება.” ამას ქართველი ეკონომისტი კი არა, გერმანელი, დოქტორი ეკერჰარდ კლემენსი წერს (იხ. ჟ. „კვალი” 1999 წ. №5-6)

სახელმწიფო დახმარება უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის იმ დარგებში, რომელთა პროდუქციის


თვითღირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებს მსოფლიო ფასებს, თუმცა, რომელთაც აქვთ იმის პოტენციალი, რომ მომავალში დააკმაყოფილონ ადგილობრივი მოთხოვნილებები. ევროპის ქვეყნები უკვე დიდი ხანია წარმატებით იყენებენ ძალზე საინტერესო საგარეო – ეკონომიკურ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა ეკონომიკისთვის ზიანის მიუყენებლად, მხარი დაუჭიროს შიდა ბაზარზე მასობრივი მოთხოვნის საქონელზე ფასების მაღალ დონეს, და ამავდროულად, წარმატებით ახორციელებს ამ ჯგუფების საქონლის ექსპორტს.

აღნიშნული მოდელის არსი შემდეგშია: ქვეყნის საზღვარზე ზოგიერთი საქონლის იმპორტის ჯგუფიდან უნდა ამოვიღოთ საკომპენსაციო მოსაკრებლები. იმპორტირებული საქონლის ფასების და საკომპენსაციო მოსაკრებლების ჯამური თანხა უნდა უტოლდებოდეს შიდა ბაზრის ფასს. ამგვარად, საქონლის შემოტანისას მათი ფასები გაიზრდება შიდა ბაზრის ფასებამდე. თუკი ამ დარგების საწარმოები პროდუქციის ექსპორტს მოახდენენ, მაშინ ისინი ამ ფონდიდან მიიღებენ თანხას, რომელიც ტოლი იქნება შიდა ბაზრის ფასსა და მსოფლიო ფასს შორის სხვაობისა.

საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმი თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ რაბის სახით, ოღონდ წყლის მაგივრად აქ აიწ-დაიწევს ფასები. იმპორტის დროს ეს მექანიზმი ზრდის ფასებს მსოფლიოს შიდა ბაზრის ფასებამდე, ხოლო ექსპორტის დროს დაბლა სწევს შიდა ბაზრის ფასიდან.

მაგალითად, დავუშვათ, ხდება მარცვლეულის იმპორტი მსოფლიო ფასით 100 დოლ/ტ, მარცვლეულის ფასი შიდა ბაზარზე შეესაბამება წარმოების მაღალ თვითღირებულებას და ტოლია, ვთქვათ, 200 დოლ/ტ. ეს გადასახდელი გროვდება სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში. თუ ქვეყანაში იწარმოება ხორცი, რომლის შიდა ფასი ტოლია 2000 დოლ/ტ, ხოლო მსოფლიო ფასი 1000 დოლ/ტ, მაშინ ქვეყნის ექსპორტიორები

იღებენ ფონდიდან კომპენსაციას ზომით 1000 დოლ/ტ. ამგვარად ხდება ექსპორტის სტიმულირება.



საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის სქემა

ასეთი მექანიზმის წარმატებით მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ საკომპენსაციო მოსაკრებლების თანხა, მიღებული იმპორტიორებისგან, უტოლდებოდეს ფონდიდან გაცემულ თანხას ექსპორტიორებისთვის. საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის უპირატესობას წარმოადგენს მათი მოქნილობა და ფორმალურად აღიარებული შესაბამისობა მსო-ს პრინციპებთან.

რაც შეეხება აშშ-ს, აქ აქტიურად ფუნქციონირებს ისეთი სახელმწიფო სტრუქტურა, როგორიცაა სასაქონლო-საკრედიტო კორპორაცია, ეს ორგანიზაცია დიდი დეპრესიის წლებში დაარსდა. მისი მუშაობის პრინციპი ასეთია:

კორპორაციას ფერმერებისათვის დაწესებული აქვს საგირავნო ფასი და მათ უპროცენტო სესხს აძლევს მომავალი წლის ანგარიშზე (ვირაოში იღებს მომავალ მოსავალს). იმ შემთხვევაში, თუ მოსავლის აღებისას ბაზარზე რეალური ფასი საგირავნოზე მაღალი იქნება, ფერმერს უფლება აქვს გაყიდოს მოსავალი და ამონაგებიდან სესხი

დააბრუნოს; თუ საბაზრო ფასები ნაკლები იქნება საგირავნო ფასზე, მაშინ ფერმერი მოსავალს აბარებს კორპორაციას (ნატურით). ამ ოპერაციით ბაზარზე პროდუქციის მიწოდება იკლებს და ფასიც შესაბამისად აიწევს.

საქართველოს ეკონომიკაში საერთოდ და კერძოდ, ს|მ-ში, განხორციელებულმა გაუაზრებელმა ლიბერალიზაციამ და დოგმატურმა მიდგომებმა, ჩაკლა ეროვნული ს\ს წარმოება. სამწუხაროდ, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას ჯერჯერობით კარგი პირი არ უჩანს. თუმცა ევროკომისიის, თავმჯდომარე ხოსე ბაროზო წერილში „Europe`s Rising Global Role" (იხ. გაზ. „Georgian Busness Week" 28.12.2009 წ,) აცხადებს, პროტექციონიზმის ცდუნებას არ უნდა ავყვეთო, მაგრამ როდესაც ევროპაცა და მთელი მოწინავე მსოფლიოც მას უკვე დიდი ხანია აყოლილია, რა უნდა გააკეთოს ასეთ სიტუაციაში ჩვენმა ქვეყანამ?

ვფიქრობთ ახალი ცვლილებები, რომლებიც შედის იმპორტული პროდუქციის დაბეგვრის წესში, წაახალისებს ქართული სოფლის განვითარებას. კერძოდ, 2010 წლის 1 იანვრიდან, მრავალი ის უცხოური ს\ს პროდუქტი, რომელიც აქამდე თითქმის არ იბეგრებოდა, ან იბეგრებოდა დაბალი განაკვეთებით, 12%-იანი საბაჟო გადასახადით დაიბეგრება. ეს ის პროდუქტებია, რომლებიც ჩვენთან იწარმოება იმ მოცულობით, რომ დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებები, ან მათი წარმოების გაზრდის პოტენციალი არსებობს; ასეთებია, მაგალითად, კარტოფილი, სტაფილო, მწვანილი, კიტრი და ა.შ.

სამაგიეროდ, ნულოვანი გადასახადი დარჩა გარკვეული სახის ეგზოტიკური პროდუქციის იმპორტზე, კერძოდ, ქოქოსზე, ფინიკზე და ა.შ.

საკრედიტო კავშირები

ბოლო წლებში საქართველოში მიღწეულმა სოციალურ-პოლიტიკურმა და მაკროეკონომიკურმა სტაბილიზაციამ შესაძლებელი გახადა აგრარულ სექტორში რეფორმების პოლიტიკის განხორციელება.

სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაწილის გადაცემამ კერძო საკუთრებაში და პარალელურად განხორციელებულმა აგროკომპლექსის საწარმოთა პრივატიზაციამ სოფლად რეალურად გააჩინა კერძო მესაკუთრეთა ფენა და მოამზადა წინაპირობები ფერმერული და წვრილი გლეხური მეურნეობების შექმნა-განვითარებისათვის, მაგრამ მათ საწყისი კაპიტალი არ გააჩნდათ. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ქვეყანას დეფიციტური ბიუჯეტის გამო ინვესტირების ან თუნდაც საკრედიტო ხაზით ფუნქციონირების საშუალება არ ჰქონდა.

საქართველოში საკრედიტო კავშირები მაშინ დაარსდა, როდესაც გლეხების (ფერმერების) უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა ხვნის, თესვის, სამეურნეო საქმიანობის დაწყების, ტექნიკის შეძენის საშუალება, მკვეთრად იგრძნობოდა საბრუნავი საშუალებების და განსაკუთრებით ფულის დეფიციტი. თუმცა იყო ზოგიერთი ბანკი, რომელიც სესხებს გასცემდა დიდი საპროცენტო განაკვეთით, რაც ფერმერისათვის ხელმიუწვდომელი იყო.

ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური ურთიერთობა. როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, ადგილობრივი დანაზოგების გამოყენება და აგრეთვე დახმარებების მიღება გაცილებით ადვილი და ეფექტიანია,

თუ იგი მიმართულია არა ცალკეული კერძო, არამედ იურიდიული კოლექტიური პირებისაკენ. ასეთ იურიდიულ კოლექტიურ პირად კი მთელს მსოფლიოში სოფლად საკრედიტო კავშირები გვევლინება.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროცესის სწორად წარმართვით საქართველოში აგრარული სექტორის მაჩვენებლები წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და იგი დინამიურ ხასიათს იძენდა. შედეგად აგროსასურსათო სექტორი თანდათანობით იქცა მიმზიდველ საინვესტიციო სფეროდ. აქ შექმნილმა ხელსაყრელმა საინვესტიციო გარემომ ხელი შეუწყო საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების გააქტიურებას, რაც საქართველოსათვის მიზნობრივი საკრედიტო ხაზების გახსნაში გამოიხატა.

როგორც წესი, საკრედიტო პირობები საქართველოსათვის მეტად შეღავათიანია, მაგრამ მათი გამოყენების სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკის რომელიმე ცალკეული სფეროს, მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, არამედ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ეროვნული მეურნეობის, როგორც ერთიანი სისტემის აღორძინებაში, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების განცითარებაში. სამწუხაროდ, მოუხედავად საფინანსო ბაზარზე დონორი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული მნიშვნელოვანი მოცულობის რესურსებისა, მოთხოვნა მათზე მნიშვნელოვნად აჭარბებს რეალურ მოწოდებას, რაც იწვევს საკრედიტო რესურსებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის ჩამოყალიბებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოში საკრედიტო კავშირების შექმნა საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა; 1995 წლიდან საკრედიტო კავშირებმა სამი მოდელით (მსოფლიო ბანკის, TASIS-ის და საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებიდან

ლტოლვილებისათვის) დაიწყეს ფუნქციონირება, რომელთა რიცხვმა 200 მიაღწია. ამ კავშირებში გაწევრიანებული იყო 10850 ფერმერი, მათმა საერთო კაპიტალმა კი 3444420 ლარი შეადგინა.

1997 წელს კრედიტები 100%-ით იქნა დაბრუნებული, ხოლო 1998 წალს არნახული გვალვის გამო შეფერხდა მისი სრულად დაბრუნება. 2003 წლიდან კი სესხის მასიურად დაუბრუნებლობის გამო ჯერ მოხდა საფრანგეთის მთავრობის მიერ სესხების მთლიანად შეწყვეტა, ხოლო შემდეგ კი მსოფლიო ბანკის და TASIS-ის სესხები მაქსიმალურად შემცირდა. სესხის გადაუხდელობასთან ერთად მათი შემცირება იმანაც განაპირობა, რომ აღნიშნული პროექტი 5 წელზე იყო გათვლილი, ამასთან სახელმწიფოსა და საკრედიტო კავშირების ურთიერთობა მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში მიმდინარეობდა; გაუგებარია, რატომ დაწესდა საკრედიტო კავშირების რესურსების ღირებულება წლიური 26%.

მსოფლიო პრაქტიკაში არის ფაქტები, როდესაც სახელმწიფოს ხელშეწყობით ზოჯერ საკრედიტო კავშირები და ასოციაციები მსხვილ საფინანსო ინსტიტუტად ყალიბდება. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს ლიტვამ 2 მლნ ევროს უპროცენტო სესხი ჩადო საკრედიტო კავშირების წარმატებულად განვითარებისათვის.

საქართველოში 2007 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შემდეგი საკრედიტო კავშირები ფუნქციონირებდა, რომელთა მაჩვენებლების შესახებ იხ. ცხრილი:

ცხრილი № 12

საკრედიტო კავშირების მდგომარეობა 2007 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

№	საკრედიტო კავშირები	საფინანსო ორგანიზაციის სესხები	სულ ვალდებულებები	სულ კაპიტალი	სულ ვალდებულებები და კაპიტალი
1	„მერცხალი"	91,097	95,688	13,500	109,188
2	„მეორე სვირი"	11,171	23,956	7,250	31,206
3	„მეჯინის წყალი"		174,714	30,200	204,914
4	„კვალითი"	6,135	9,603	3,150	12,753
5	„ხუცუბანი"	1	413,726	30,150	443,876
6	„მათხოჯის"	6,214	16,354	5,550	21,904
7	„მერიის"		43,020	35,250	78,270
8	შემოქმედის		2,780	2,800	5,580
9	„აგარის"	2,100	9,876	5,550	15,426
10	„ჭოგნარის"	5,724	11,443	6,250	17,693

11	„დედოფლისწყაროს"	41,696	50,345	10,700	61,045
12	„ალვანი"	29,900	42,349	6,800	49,149
13	„ლიხაურის"		10,001	7,700	177,701
14	საქართველოს		232,782	57,400	57,632
15	„მამაონა"		10,073	5,400	15473
16	„ალამბარი"		302	3,300	3,602
17	თანადგომა	8,650	9,516	1,200	10,716
18	„მიჯა"	17,280	17,700	3,600	21,300
19	"საწმისი"		18,370	2,750	21,120
20	„სფინქსი"			2,800	2,800
	სულ	219,968	1,192,498	241,300	1,433,798

როგორც ვხედავთ, 2007 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 20 საკრედიტო კავშირი ფუნქციონირებდა, რომელთა ვალდებულებები შეადგენდა 1,192,498 ლარს, ხოლო კაპიტალი 241,300 ლარს. 12 საკრედიტო კავშირს საფინანსო ორგანიზაციების სესხი აღარ აქვთ და საკუთარი კაპიტალი გააჩნიათ. 2007 წელს 2005 წელთან შედარებით ვალდებულებები შემცირდა 488,433 ლარით, ხოლო კაპიტალი გაიზარდა 9510 ლარით. საკრედიტო კავშირების საქმიანობას დღეისათვის სახელმწიფო უწევს

ზედამხედველობას ეროვნული ბანკის მეშვეობით, რაც საშუალებას აძლევს მოსახლეობას მათი დეპოზიტები მყარად იყოს დაცული. სებ-ი მეთვალყურეობას უწევს, თუ საით მიდის ესა თუ ის რგოლი და გაკოტრების შემთხვევაში ჩაერთვება მის საქმიანობაში, რათა საშიშროება თავიდან იქნეს აცილებული.

იმისათვის, რომ საკრედიტო კავშირების ფუნქციონირება წარმატებული იყოს ქვეყნისათვის, საჭიროა რესურსების მაღალი ღირებულების შემცირება; პროექტის სესხების ვადიანობის გაზრდა; კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით კავშირის ფინანსური მართვა; ბაზრის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის არსებობა; კანონმდებლობით დადგენილი საპაიო შენატანის დაბალი ზღვარი; ახალი წევრების რეგისტრაცია და თანამედროვე დონეზე მოწყობილი ოფისი.

რა ხდება ტყავის ტომარაში

ბიუჯეტი ინგლისურად ტომარას ნიშნავს.
ინგლისის ფინანსთა მინისტრი გამოიტანდა
ლორდთა პალატაში ფულით სავსე ტომარას
და ასე ანაწილებდა მას.

როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II თავის სააღდგომო (2009 წლის) ეპისტოლეში აღნიშნავს, საქართველოში განსაკუთრებით უნდა განვითარდეს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ასევე მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტების წარმოება; ეს სასარგებლო იქნება როგორც ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელი პროდუქტებით გამოსაკვებად, ასევე სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, ოღონდ ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ბიუჯეტური დახმარება სუბსიდიების და გრძელვადიანი კრედიტების სახით.

ბოლო წლებში საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, მისმა შემოსავლებმა 2007 წელს 2003 წელთან შედარებით ოთხნახევარჯერ მოიმატა და ამ წელს 6033 მლნ ლარი შეადგინა. ბიუჯეტის შემოსავლებში განსაკუთრებით დიდი წილითაა წარმოდგენილი დამატებული ღირებულების გადასახადი, ბიუჯეტის შემოსავლების მესამედი, აქციზები – 7%, მოგების – 9% და თითქმის ამდენივე საშემოსავლო გადასახადი.

საქართველოს ეკონომიკური მოდელი თავისი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათით უფრო ლიბერალურია, პროამერიკულია. ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები მშპ-ს მიმართ დაახლოებით 35%-ს შეადგენს. უახლოეს მომავალში კი, თუ პარლამენტი დაამტკიცებს ქვეყნის პრეზიდენტის

ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციისაკენ მიმართულ ინიციატივას, იგი კიდევ უფრო ლიბერალური გახდება და საბიუჯეტო შემოსავლები უკვე კანონით ვერც ერთ შემთხვევაში ვეღარ გადააჭარბებს მშპ-ს 30%-ს.

2007 წელს ბიუჯეტი დამტკიცებული იყო დეფიციტით, რომელიც აბსოლუტურ მაჩვენებლებში შეადგენდა 50 მლნ ლარს, რაც მშპ-ს მიმართ 2,9%-ის ტოლი იყო.

აღნიშნულ წელს ბიუჯეტის ხარჯები შეადგენდნენ 6083,1 მლნ ლარს. ხარჯებში ძირითად მუხლებს წარმოადგენდნენ: თავდაცვის ხარჯები – 24,7%, საზოგადოებრივ წესრიგის დასაცავად გამოყოფილი თანხები – 11,9% და სოციალური მიზნებისათვის გათვალისწინებული ხარჯები – 10,5%.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტი ყოველწლიურად მცირდება. კერძოდ, თუ იგი 2003 წელს შეადგენდა 289 ათ ლარს, 2007 წელს იგი 5-ჯერ და მეტჯერ შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და მ.შ. ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიც, ბიუჯეტი პროფიციტით იყო დაგეგმილი, რაზეც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი № 13

ზოგიერთი ქვეყნის ბიუჯეტის მაჩვენებლები 2007წ.

ქვეყნები და მათი ეროვნული ვალუტა	შემოსავლები, ეროვნული ვალუტა, მლრდ	ხარჯები, ეროვნული ვალუტა, მლრდ	სალდო, ეროვნული ვალუტა, მლრდ	სალდო, მშპ-ს მიმართ %
ავსტრია – ევრო	129,6	132,1	- 2,8	- 0,9
ბელგია – ევრო	154,2	153,7	0,6	0,2
ესტონეთი– კრონა	89,8	75,3	14,5	6,0
ფინეთი – ევრო	94,2	84,4	9,8	5,5
საფრანგეთი- ევრო	910,5	939,3	- 28,8	- 1,6
საბერძნეთი– ევრო	92,1	96,5	- 4,4	- 1,9
ირლანდია – ევრო	64,8	54,8	10	5,7

ლიტვა – ლიტი	27,6	25,7	1,9	2,3
ლატვია – ლატი	5,3	4,9	0,4	2,8
პოლონეთი- ზლოტი	462	461	1	0,1
სლოვაკეთი კრონა	643	697	- 54	- 2,9
აშშ – დოლარი	2697,6	2974,6	- 277	- 2
უნგრეთი - ფორინტი	11323	1569,5	- 1247	- 4,9

როგორც № 13 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ძნელი სათქმელია, რა იწვევს ბიუჯეტის დეფიციტს; ვერ ვიტყვით, რომ თითქოს ქვეყანა ღარიბი იყოს (?!) და მისი შემოსავლები ვერ ფარავენ ხარჯებს. მაგალითად, ძნელია იმის მტკიცება, თითქოს ავსტრია ფინეთზე ღარიბი და განუვითარებელი იყოს (მაგალითად, 2007 წელს ავსტრიის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით მშპ შეადგენდა 44,9 ათას დოლარს, ხოლო ფინეთში – 46,3-ს). ყოველ შემთხვევაში, ავსტრია ესტონეთზე ღარიბი და განუვითარებელი ხომ არაა, რომ ესტონეთი პროფიციტით გეგმავს თავის ბიუჯეტს, ხოლო ავსტრია – დეფიციტით?!

ეს ალბათ უფრო იმით უნდა აიხსნას, თუ როგორი ეკონომიკური განწყობა სუფევს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობაში, ისინი უფრო მემარცხენე ორიენტაციის მომხრეები არიან და უფრო მაღალ დონეზე მოითხოვენ სოციალურ დაცულობას და პირიქით.

2010 წელს ბიუჯეტის შესრულებას ვარაუდობენ სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით, არასაგადასახადო შემოსავლების გაზრდით, გრანტებით და ასევე მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის სესხებით.

2009 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 5,25 მლრდ ლარის ხარჯებით, მაშინ, როდესაც საშემოსავლო ნაწილმა 5,1 მლრდ ლარი შეადგინა.

2010 წელს მშპ იქნება დაახლოებით 18,689 მლრდ (2009 წელს იყო დაახლოებით 19,069 მლრდ ლარი), წლიურ ინფლაციას 6% დონეზე ვარაუდობენ, მშპ-ს სავარაუდო ზრდა კი 2% იქნება.

რაც შეეხება ქვეყნის ბიუჯეტს, 2010 წელს მისი საშემოსავლო ნაწილი დაიგეგმა 5,171 მილიარდი ლარით (2009 წელს 6,46 მლრდ), ხოლო ხარჯვითი ნაწილი 5,459 მლრდ ლარია. შესაბამისად, თუ გასულ წელს ბიუჯეტის დეფიციტი აბსოლუტურ მაჩვენებლებში შეადგენდა 49 მილიონ ლარს, 2010 წელს იგი გაზრდილია და 288 მილიონ ლარს უდრის.

საბანკო სექტორი - ოაზისი სამეურნეო უდაბნოში

ბოლო წლებში ბანკებმა მკვეთრად გააქტიურეს საკრედიტო ოპერაციები. კერძოდ, თუ 2004 წელს ეროვნულ ვალუტაში გაცემული იყო 173,9 მლნ ლარის ოდენობის კრედიტები, ხოლო უცხოურ ვალუტაში (ძირთადად დოლარში) – 922,5 მლნ ლარის, 2008 წელს ლარში გაცემული კრედიტების მოცულობა 11,5-ჯერ, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 4,8-ჯერ გაიზარდა.

ამასთან, მიუხედავად ლარსა და დოლარში გაცემული კრედიტების მოცულობების ზრდის ტემპებში ასეთი განსხვავებულობისა ლარის სასარგებლოდ, დოლარში გაცემული სესხების მოცულობები კვლავაც სერიოზულად აღემატება ლარში გაცემული კრედიტების მოცულობებს (თუმცა სესხი და კრედიტი ერთმანეთისაგან განხვავდება, მაგრამ ახლა მათ ერთი და იგივე მნიშვნელობით ვხმარობთ).

კერძოდ, 2008 წელს ეროვნულ ვალუტაში გაიცა 2014,1 მლნ ლარის ოდენობის კრედიტები, ხოლო უცხოურში – 4402,3 მლნ ლარის.

აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ ბოლო ხანებში (და ეს დღემდე გრძელდება) ლარის კურსისათვის დამახასიათებელი საგრძნობი მერყეობის გამო ბანკის კლიენტები, როგორც ბიზნესმენები, ისე ოჯახური მეურნეობები ამჯობინებენ კრედიტი აიღონ უცხოურ ვალუტაში. ალბათ სწორედაც იქცევიან – ასეთი დიდი უარყოფითი სალდო საგადასახადო ბალანსში, უცხოური ინვესტიციების შემცირება, უცხოეთიდან ჩვენი თანამემამულეების მიერ გადმორიცხული თანხების კლება,

პრივატიზაციის ტემპების შენელება და ა. შ. ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად იძლევა. ქვეყნის ეროვნული ბანკი ყოველ ღონეს ხმარობს ხსენებული მოვლენის წინ აღსადგომად – ყიდის რეზერვებიდან დოლარის მარაგის ნაწილს, რეალიზაციას უკეთებს სახაზინო ვალდებულებებს და სხვა, მაგრამ ლარის კურსის გამყარება მხოლოდ ამ გზით საკმაო საფრთხის შემცველია.

გარდა ამისა, ბანკის კლიენტების დოლარში კრედიტის აღებით დაინტერესებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბოლო წლებში შემცირდა დოლარში აღებული კრედიტის ფასი (იკლო მასზე საპროცენტო განაკვეთმა).

2004-2008 წლებში ბანკების ასეთ გააქტიურებას ხელი შეუწყო ჯერ ერთი, გაცილებით მეტი საკრედიტო ხაზის გახსნამ უცხოური ბანკების მიერ, და მეორეც, დეპოზიტების მატებამ. სახელდობრ, თუ 2004 წელს დეპოზიტების მოცულობამ 905,6 მილ. არი შეადგინა, 2008 წელს აღნიშნულის მოცულობა 3222,6 მილ. ლარამდე, ანუ სამჯერ და მეტად გაიზარდა. თუმცა, ისევე როგორც გაცემული კრედიტების შემთხვევაში, ზრდის ტემპები აქაც განსხვავებული იყო. კერძოდ, თუ ლარში კონცენტრირებული დეპოზიტები გაიზარდა 231,2 მილ. აღნიშნულ პერიოდში ლარიდან 779,9 მილ. ლარამდე, დოლარში აკუმულირებულმა დეპოზიტებმა 674,4 მლნ ლარიდან 2008 წელს 2442,6 მლნ ლარამდე მოიმატა. ანუ აღნიშნულ პერიოდში ლარის დეპოზიტები გაიზარდა 3,3-ჯერ, დოლარის – 3,6ჯერ. კვლავაც მაღალია დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი და ის 75 პროცენტს აღემატება (დოლარიზაცია გაცილებით მაღალია ფიზიკურ პირთა დეპოზიტების მიხედვით და ის 80 პროცენტზე ზევითაა).

ცხადია, ის გარემოება, რომ ფირმები არჩევენ კრედიტები დოლარში აიღონ, გასაგებია – როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს ხდება ლარის კურსის მერყეობის გამო. ამასთან, ეს სხვა საფრთხის შემცველია როგორც თავად ბიზნესმენებისათვის, ისე ბანკებისათვისაც. ლარის კურსის

დევალვაციის შედეგად მათ გაცილებით მეტი ლარის კონვერტირება დასჭირდებათ სესხის დასაბრუნებლად, ვიდრე აღებული სესხით შეეძლოთ ეყიდათ სესხის აღების მომენტში. არადა, მათი მთავარი შემოსავლები სწორედ ლარშია. ამდენად, მათ გაურთულდებათ კრედიტის უკან დაბრუნება ბანკისათვის, რომელსაც ვადაგასული თუ უიმედო სესხების მოცულობები გაეზრდებათ. მნიშვნელოვანწილად ამის გამოა, რომ ქართულ ბანკებს (პირობითად „ქართულ ბანკებს", თორემ, როდესაც ამ ბანკების საწესდებო კაპიტალის 80 პროცენტზე მეტი უცხოურია, ძნელია მათ „ქართული" უწოდო. ალბათ უკეთესია ვიხმაროთ ტერმინი „ საქართველოს საბანკო სისტემა") ასე გაეზარდათ უიმედო სესხები. მაგალითად, ეს მაჩვენებელი TBC ბანკისათვის 10 პროცენტზე მეტია (როგორც ჩანს, მსგავსი გარემოებების გამო სხვა ქვეყნებშიც ექმნებათ ბანკებს მსგავსი პრობლემები. მაგალითად, ვადაგადაცილებული სესხები მთელ სესხებში ბალტიის ქვეყნებში შეადგენს 20 პროცენტს, რუსეთში უახლოვდება 30%, პოლონეთში 10 პროცენტს აჭარბებს და ა. შ).

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რუსეთ-საქართველოს ომმა და ზოგიერთმა სხვა მიზეზმა 2009 წელს მანამდე წარმატებით მომუშავე საქართველოს საბანკო სისტემას გარკვეული ზიანი მიაყენა. კერძოდ, 2009 წელს ბაზარზე მომუშავე 19 ბანკიდან მოგებით მხოლოდ 7 ბანკმა დაასრულა სამეურნეო საქმიანობა („თიბისი", „ქართუ", „კონსტანტა", „რესპუბლიკა", „პროკრედიტი" „ზირაათბანკი", და „კავკასიის განვითარების ბანკი"). მოგების ჯამურმა თანხამ 26,31 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანობაში აღნიშნულ წელიწადს საქართველოს საბანკო სისტემას 65,317 მლნ ლარის ზარალი მიადგა.

ვალი მევალესაო

დღეს მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც მიმდინარე ეკონომიკური რეცესიის დაძლევის მიზნით საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტი უფრო აქტიურად მიეხმაროს რეალურ სექტორს. ასეთ ეკონომიკურ პოლიტიკას მხარს უჭერს შეერთებული შტატები და სხვა განვითარებული ქვეყნებიც. მაგალითად, აშშ-მ ამ მიზნით ქვეყნის ბიუჯეტიდან თითქმის ტრილიონი დოლარის დოტაცია გამოყო. მსგავს პრაქტიკას მისდევენ ევროპის ქვეყნებიც. ჯერჯერობით საქართველოში ასეთი რამ ნაკლებ იგრძნობა. სამაგიეროდ, ჩვენ ბიუჯეტში შემორჩენილია უმიზნო და გაუმჭირვალე ხარჯები, გადატვირთულია კორუფციული რისკის შემცველი პროგრამებით. იგი კვლავაც გაბერილია ხარჯებით არაფინანსურ აქტივებზე, და ეს ხდება მაშინ, როდესაც განვითარებულმა ქვეყნებმა კრიზისის გამო მკვეთრად შეამცირეს მსგავსი ხარჯები. კერძოდ, გერმანიამ – 12%-ით, ლატვიამ 10-ით, რუსეთმა 8%-ით და ა.შ. მათგან ძირითადად შემცირდა მმართველობითი ხარჯები და სამაგიეროდ გაიზარდა რეალური სექტორისადმი მხარდაჭერა.

საყურადღებოა, რომ 2003-2008 წლებში მკვეთრადაა გაზრდილი ქვეყნის საგარეო ვალი. კერძოდ, თუ ეს მაჩვენებელი 2003 წელს 3 მლრდ 40 მლნ დოლარი იყო, 2009 წლის 1 იანვრისათვის 5 მლრდ შეადგინა და წინა წელთან შედარებით 45%-ით გაიზარდა. აქედან ნახევარზე მეტი გვმართებს მრავალმხრივ კრედიტორების (სსფ, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და

ა.შ.). ჩვენი ორმხრივი კრედიტორები არიან – გერმანია, იაპონია, თურქეთი, აშშ და სხვ.

საგარეო ვალი განსაკუთრებით გაიზარდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში სსფ მიერ გამოყოფილი იქნა 250 მლნ დოლარის ოდენობის ტრანში სავალუტო რეზერვების მხარდასაჭერად. აზიის განვითარების ბანკიდან პოსტკონფლიქტური რეგიონის აღდგენისათვის გადაუდებელი დახმარება იქნა მიღებული. 2008 წლის დეკემბერში კი სიღარიბის დაძლევისათვის მსოფლიო ბანკიდან მიღებულ იქნა 38 მლნ დოლარი. აღნიშნულ თანხებს სახელმწიფო კრედიტად იღებს და ბუნებრივია, მისი გადახდა მომავალში უნდა მოხდეს.

ორმხრივი კრედიტორებისაგან საგარეო ვალი 862,960 ლარია. აქედან 264,512 ლარით გერმანია ლიდერობს. მას მოჰყვებიან რუსეთი, იაპონია, თურქეთი, მექსიკა და ა.შ.

2008 წლის აპრილში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანუ ევროობლიგაციების გამოშვების შემდეგ, საგარეო ვალი კიდევ 500 მლნ დოლარით გაიზარდა.

2009 წლის ბიუჯეტიდან საგარეო ვალის დაფარვას 97332 ათ. ლარი მოხმარდება. მ.შ. ორმხრივ კრედიტებს - 41,737 მლნ ლარი, ხოლო მრავალმხრივ კრედიტებს – 53,147 მლნ ლარი. სახელმწიფო გარანტიით არსებული კრედიტების გასტუმრებას 2,447 მლნ ლარი უნდა მოხმარდეს. მთლიანი ვალი კი 17,077 მლნ ლარი, ამ სახის კრედიტები გერმანიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან გვაქვს აღებული.

კრედიტორების პროცენტებისათვის განსაზღვრული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში 116,375 მლნ ლარია. მ.შ. ორმხრივი კრედიტორებისათვის – 36,013 მლნ ლარი, მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 22,833 მლნ ლარი. სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულების მომსახურებას 57,375 მლნ ლარი მოხმარდება.

საგარეო ვალმა მშპ-ს 50% არ უნდა გადააჭარბოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ ქვეყანაში მძიმე კრიზისული მდგომარეობაა. 2010 წელს საგარეო ვალი მშპ-ს მიმართ დაგეგმილია 46,2%-ის დონეზე (2008 წელს საქართველოს მშპ-მ 13,97 მლნ დოლარი შეადგინა). ცნობისათვის: 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი შეადგენდა 8397,38 მლრდ დოლარს. აქედან 30%-მდეა სამთავრობო ვალი, 8,3% – ეროვნული ბანკის, 14,7% – საბანკო სექტორის, ხოლო სხვა სექტორების – 26%-ზე მეტი.

ამ მხრივ სიტუაცია განსაკუთრებით დამძიმდება 2013 წლისათვის. ამ წელს სახელმწიფო შემოსავლების თითქმის მეხუთედი ნაწილი ამ კრედიტების დასაფარავად და მის მომსახურებაზე წავა. 2013 წელს ამ მიზნით საქართველოს მოუწევს 1 მლრდ დოლარზე მეტის გადახდა.

ქვეყნისათვის საგარეო ვალის სიმძიმეს გარდა მშპ-თან მიმართებისა, გამოთვლიან ასევე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებითაც:

ამჟამად საქართველოში 1 სულ მოსახლეზე მოდის დახლოებით 1729 ლარი საგარეო ვალი.

ყურადღებას იქცევს ასევე საგარეო ვალის სტრუქტურაც ვადების ჭრილში, რამეთუ იგი წარმოდგენას გვიქმნის მისი ამღები ხელისუფლების „კეთილსინდისიერებაზე". სხვა სიტყვებით, თუ მთავრობა იღებს ისეთ სესხებს, რომლის დაბრუნებაც მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს უნდა მოხდეს, იგი პატიოსანია, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ იგი სხვა, ანუ შემდგომ ხელისუფლებას უტოვებს „თავში სახლელად" ამ ვალს.

2009 წლის მონაცემებით, ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა შეადგენდა 6,9 მლრდ დოლარს, ხოლო მოკლევადიანი – 1,1 მლრდ-ს. შედეგად გამოდის, რომ 2013 წელს საგარეო ვალის მომსახურებაზე პროცენტულად ბიუჯეტიდან წავა შემოსავლების თითქმის 20 პროცენტი. კომენტარი მკითხველისათვის მიგვინდვია.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საგარეო ვალების პრობლემა უაღრესად აქტუალური გახდა. ამასთან, განვითარებადი ქვეყნებისათვის იგი თანდათანობით უფრო მძიმდება და ძნელად გადასაჭრელი ხდება. საერთაშორისო ვალის პრობლემა განსაკუთრებით მძაფრი ბოლო წლებში გახდა. დღეს განვითარებადი ქვეყნების საერთო დავალიანება დაახლოებით 2 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ბოლო 15 წლის განმავლობაში იგი 2-ჯერ გაიზარდა.

ამ ვალების საშუალო პროცენტი 6-8%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნები ყოველწლიურად უნდა იხდიდნენ არანაკლებ 120 მლრდ დოლარს მხოლოდ პროცენტებისათვის, ძირითადი ვალის შეუმცირებლად. ვინაიდან ეს ხშირად შეუძლებელია, ქვეყანა მოვალე, იმისათვის, რომ გადაიხადოს პროცენტები იძულებულია აიღოს ახალი კრედიტები. მაგალითად, რუსეთმა 90-იან წლებში ვალის დასაფარავად დაახლოებით 80 მლრდ დოლარი გადაიხადა, მაგრამ ამასთან ვალის თანხა მხოლოდ გაიზარდა.

მიჩნეულია, რომ თუ ქვეყანა ვალის მომსახურებაზე, ე.ი. ძირითადი პროცენტების გადახდაზე, წელიწადში არაუმეტეს მშპ-ს 20%-ს ხარჯავს, მაშინ მისი მდგომარეობა არც ისე ცუდია, მაგრამ ბევრი ქვეყნისათვის, და მათ შორის საქართველოსათვის, ვალის მომსახურება ძვირი ჯდება.

ერთი შეხედვით, განვითარებული ქვეყნები და ასევე საერთაშორისო ფინანსო ორგანიზაციები (სსფ, მსოფლიო ბანკი და ა.შ.) განუვითარებელ ქვეყნებს კრედიტებს იმ მიზნით გამოუყოფენ, რომ ისინი ეკონომიკურად წელში გასწორდნენ, მაგრამ გამოდის, რომ ეს ვალები, ხშირ შემთხვევაში განვითარებად ქვეყნებში სამეურნეო მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. მათ ჯერ ერთი, ეს ვალები უნდა გადაიხადონ და ამასთან, თავიანთ ბიუჯეტში მათი მომსახურებისათვის გარკვეული სოლიდური თანხებიც გაითვალისწინონ.

აღნიშნული მდგომარეობის კარგად წარმოსადგენად გავეცნოთ ქვემოთ მოტანილი ცხრილის მასალებს:

ცხრილი № 14

ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის საგარეო ვალი

ქვეყნები	საგარეო ვალი, მლრდ აშშ დოლარი		საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე, ათ. დოლარი	
	2000 წ.	2006 წ.	2000 წ.	2006 წ.
არგენტინა	146,2	122,2	4,0	3,1
ბანგლადეში	15,6	20,5	0,1	0,1
ბრაზილია	238,0	134,2	1,4	1,0
ბულგარეთი	10	20,9	1,3	2,7
ჩილე	37	48	2,4	2,9
ჩინეთი	150	332,8	0,1	0,2
ხორვატია	12	37,5	0,7	8,2
კონგო	12	11	0,2	0,2
ეგვიპტე	29	29	0,4	0,4
ეკვატორი	13	16,5	1,1	1,2
ფილიპინები	50	60	0,7	0,7
ინდოეთი	100	153	0,09	0,1
ინდონეზია	142	131	0,7	0,6
ირანი	8	20	0,1	0.3
ყაზახეთი	6,7	74	0,4	4,8
ლიტვა	4,9	19	1,4	5,6
ლატვია	3,4	22,8	1,4	10
მექსიკა	150	160,7	1,4	1,5
პაკისტანი	32	35,9	0,2	0,2
პერუ	28,6	28	1,1	1,0

პოლონეთი	63,6	125,8	1,7	3,3
რუსეთი	160	140	1,1	1,8
თურქეთი	116	207,9	1,7	2,8
უკრაინა	12,2	49,9	0,2	1,1

როგორც ცხრილიდან ჩანს, XXI საუკუნის 1-6 წელიწადში მრავალი ქვეყნის საგარეო ვალი მკვეთრადაა გაზრდილი. იგი განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევთ არგენტინას, ბრაზილიას, ჩილეს, ეკვადორს, მალაიზიას, თურქეთს და ა.შ. მას შემდეგ, რაც საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადავიდნენ, ვალები დაუგროვდათ ასევე პოსტსოციალისტურ ქვეყნებს – ბულგარეთს, ხორვატიას, ყაზახეთს, საქართველოს, ლიტვას, ლატვიას, უკრაინას და ა.შ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთ სულ მოსახლეზე საგარეო ვალის ოდენობით საქართველო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაზე წინაა. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქე ამ მხრივ უსწრებს ბანგლადეშს, ბრაზილიას, ჩინეთს, კონგოს, ეგვიპტეს, ფილიპინებს, ინდოეთს, ინდონეზიას, ირანს და პაკისტანს.

ახლა რაც შეეხება საგარეო ვალების შეფარდებას ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტთან. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოსათვის ეს მაჩვენებელი 32%-ს აღემატება. სხვა ქვეყნებში ამ მაჩვენებლის თაობაზე წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

ცხრილი № 15

საგარეო ვალების შეფარდება მშპ-სთან 2007 წლისათვის (მლრდ აშშ დოლარი)

ქვეყნები	მშპ	საგარეო ვალი	საგარეო ვალი მშპ-სთან %-ად
არგენტინა	7707,0	122,2	1,59
ბრაზილია	1314,2	194,2	14,8
ბულგარეთი	39,6	20,9	52,8
ჩინეთი	3400,4	322,8	9,5
ინდოეთი	1141,3	153,1	13,4
ლიტვა	38,3	19,0	49,6
ლატვია	27,2	22,8	83,8
მექსიკა	904,9	160,7	17,8
პოლონეთი	424,6	125,8	29,6
რუსეთი	1289,6	251,1	19,5
რუმინეთი	161,3	55,1	34,2
თურქეთი	657,1	207,9	31,6
უკრაინა	141,2	49,9	35,3
უნგრეთი	138,4	107,7	79,4

როგორც ვხედავთ, საქართველოს მსგავსად სხვა მრავალი ქვეყანაა ვალებით დამძიმებული. ეს განსაკუთრებით ითქმის ბულგარეთზე, ლიტვაზე, ლატვიაზე, რუმინეთზე, უკრაინასა და განსაკუთრებით უნგრეთზე. ამ ქვეყნებს წლის მანძილზე წარმოებული მშპ-ს საკმაოდ დიდი წილის გადახდა სჭირდებათ მათ მოსამსახურებლად. მაგალითად, უნგრელებს თითქმის მშპ-ს 80% დასჭირდებათ ვალების გასასტუმრებლად.

ლიტვაში კერძო სექტორის ვალები მშპ-ს მიმართ 2005-2007 წლებში 68%-დან 94%-მდე გაიზარდა, პოლონეთში 29-დან 37%-მდე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საგარეო ვალების პრობლემა ერთ-ერთი სერიოზული და დროზე მისახედი პრობლემაა ჩვენი ქვეყნისათვის და მის დარეგულირებაზე უფრო აქტიურად უნდა მუშაობდეს ქვეყნის ხელისუფლება.

როგორც პოლონელი რეფორმატორი, ცნობილი ეკონომისტი ლეშეკ ბალცეროვიჩი აცხადებს „თუ ნორმალურ დროს მზარდი საგარეო ვალი ქრონიკული დაავადებაა, დღევანდელ პირობებში იგი ჭენებადი დაავაადებაა".

ეროვნული ვალუტის პრობლემები

ბოლო ხანებში საქართველოში კამათის საგანი გახდა ეროვნული ვალუტის მომავალი. ზოგიერთმა მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება ლარის რომელიმე კონვერტირებადი ვალუტით ჩანაცვლების სარგებლიანობის თაობაზე. თეორიულად ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება და ამის პრეცენდენტებიც არსებობს. მაგალითად, არის ქვეყანა, რომელიც არათუ ევროზონაში, ევროკავშირშიც არაა, მაგრამ იქ ევროა ოფიციალურ ვალუტად გამოცხადებული. ასევე არის ქვეყანა, რომელიც აშშ-ის შტატი არაა, მაგრამ იქ დოლარი ბრუნავს. ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, ეს გამართლებულია, მაგრამ მხოლოდ ეფექტიანობის მიღწევა ხომ არ შეიძლება იყო ქვეყნისათვის მთავარი?! ამასთან დაკავშირებით პოეტ გიორგი ლეონიძის ერთი ფრთიანი გამოთქმა გვახსენდება: ისტორიას მხოლოდ ის მეფე შემორჩა, რომელმაც საკუთარი ვალუტა მოჭრა და ის პოეტი, რომელმაც საკუთარი სტილი შეიმუშავაო.

განვითარებადი ქვეყნები საგარეო ვალს ძირითადად ორი მიზნით იღებენ – არ დაუშვან ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაცია და შეძლონ საგადასახდელო ბალანსის სოლიდური დეფიციტის შემცირება. თუმცა, როგორც ციფრობრივი მასალებიდან ჩანს, ისინი ვერც ერთს ახერხებენ და ვერც მეორეს. რომ არა სესხად აღებული ფინანსური სახსრები, მათი ვალუტაც კიდევ უფრო დაკარგავდა კურსს და მათი საგადასახადო ბალანსი კიდევ უფრო დამძიმდებოდა.

ამ ასპექტში საინტერესოა ვნახოთ ბოლო შვიდ წელიწადში როგორ იცვლებოდა ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლარის მიმართ:

განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ვალუტის კურსი (აშშ დოლარი)

ქვეყნები და მათი ეროვნული ვალუტა	2000 წ.	2007 წ.
ავსტრია – ევრო	0,999	3,129
ბელორუსი – რუბლი	1180,000	2150,000
ბრაზილია – რეალი	1,955	1,771
ბულგარეთი – ლევი	2,102	1,331
ჩინეთი – იუანი	8,277	7,305
ესტონეთი– კრონა	16,820	10,638
ინდოეთი – რუპია	46,750	39,415
ლიტვა – ლიტი	4,000	2,357
ლატვია – ლატი	0,613	0,484
მექსიკა – პესო	9,574	120,866
პოლონეთი- მლოტი	4,143	2,435
ჩეხეთი – ახალი ლეი	37,813	18,078
რუსეთი – რუბლი	28,160	24,546
რუმინეთი – ახალი ლეი	2,593	2,456
სლოვაკეთი – კრონა	47,389	22,870
სლოვენია – ტოლარი	227,380	–
თურქეთი – ახალი ლირა	0,673	1,162
უკრაინა – გრივნა	5,435	5,050

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში დიდი მოცულობის სესხები აიღეს, დაეცა.

რაც შეეხება საქართველოს, ბოლო 2004 - 2007 წლებში, ლარის კურსი, მიუხედავად გარკვეული სეზონური რყევებისა,

განმტკიცების ტენდენციას ინარჩუნებს. კერძოდ, თუ 2004 წელს ერთი ამერიკული დოლარი უდრიდა 1,9170 ლარს, 2007 წელს მან 1,6219 ლარი შეადგინა. რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდს, ეს ტენდენცია უფრო თვალსაჩინოა, რადგან 2000 წელს, ერთი ამერიკული დოლარი 1,9755 ლარს უდრიდა.

2010 წლის დასაწყისი ლარის კურსის დაცემის ტენდენციით აღინიშნა. კერძოდ, თუ მთელი 2009 წლის განმავლობაში 1 დოლარი 1,66-168 ლარის ფარგლებში მერყეობდა, 2010 წლის იანვარ-თებერვალში მისმა ფასმა 1,70 ლარს გადააჭარბა, ანუ დაახლოებით 1,1 პროცენტით გაუფასურდა (დევალვაცია ბოლო ხანებში, მრავალი ქვეყნისათვის გახდა დამახასიათებელი. მაგალითად, მხოლოდ 2009 წელს უკრაინული გრივნა 50 პროცენტით გაუფასურდა.

ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის ასეთი სერიოზული დევალვირების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი იყო ის, რომ მისი უცხოეთიდან სავალუტო შემოსავლების 40%-ზე მეტი მოდიოდა ფოლადის ექსპორტზე. შესაბამისად, მსოფლიო კრიზისის გამო ფოლადზე და მ.შ. უკრაინულ ფოლადზე მოთხოვნილება მთელ მსოფლიოში მკვეთრად დაეცა. მან კი მეტად დრამატული გავლენა მოახდინა საერთოდ ამ ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაზე).

ლარის დევალვაცია ადამიანებს ნდობას უკარგავს როგორც მის, ისე საბანკო სისტემის მიმართ, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, ვისაც დანაზოგი ლარში აქვთ. გარდა ამისა, როდესაც ქვეყანა თავის მოთხოვნილებებს იმპორტით იკმაყოფილებს, ასეთ შემთხვევაში ფასების ზრდას აქვს ადგილი. ასეთ სიტუაციაში ეროვნული ბანკი დგას ალტერნატივის წინაშე – მყარად დაიკაოს ლარის კურსი და ამისათვის გახარჯოს რეზერვები თუ შეინარჩუნოს ისინი და მიუშვას ფასები, რომელთა სტაბილიზაცია სწორედ მისი კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი ფუნქციაა?! ორივე ამ მიზნის მიღწევა ეკონომისტების, და მათ შორის, ნობელის

პრემიის ლაურეატის რობერტ მანდელის აზრით, შეუძლებელია.

ექსპერტების აზრით, სებ-ს აქვს საშუალება, რომ წინ აღუდგეს ფასების ზრდის არასასურველ პროცესებს. 2010 წლის იანვარში მისმა საერთაშორისო სავალუტო რეზერვებმა პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში თავის მაქსიმუმს მიაღწია და 2109,0 მილიონ დოლარს გადააჭარბა. რა თქმა უნდა, სებ-მა ყოველ ღონეს უნდა მიმართოს, რათა არ დაუშვას ფასების სწრაფი ზრდა, მაგრამ ისიც საკითხავია, ლარის კურსის დაახლოებით 1 პროცენტიან დაცემას შეეძლო ფასების ასეთი ზრდა (განსაკუთრებით იმპორტულ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, ნავთობპროდუქტებზე, შაქარზე და ა. შ.), როგორც ამას 2010 წლის დასაწყისში ჰქონდა ადგილი? ფასების ასეთ ზრდაში ამ სფეროში დასაქმებული კომპანიების მონოპოლიური მდგომარეობის დაკავება ხომ არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს?! ყოველ შემთხვევაში მრავალი ეკონომისტი სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებს. როგორც ჩანს, მათი ოპონირება ამ ბოლო დროს ხელისუფლებამაც სწორედ მიიჩნია და შედეგად კვლავ აღდგა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც მცდარად იქნა გაუქმებული ექვსი წლის წინათ.

საგადასახდელო ბალანსი

მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებით, ეკონომიკური კრიზისის შედეგად, მსოფლიო ვაჭრობის მოცულობები 2009 წელს 14,4 პროცენტით შემცირდა. მათივე აზრით, მომავალ წლებში საერთაშორისო ვაჭრობა შედარებით გამოცოცხლდება და 2010 წელს იგი გაიზრდება 4,3 პროცენტით, ხოლო 2011 წელს – 6,2 პროცენტით.

საერთაშორისო ვაჭრობის 80 პროცენტზე მეტი მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, რომლებიც ქვეყნების საერთო რაოდენობის 20 პროცენტსაც კი არ შეადგენენ. განვითარებად ქვეყნებს განსაკუთრებით გაურთულდათ კრიზისის შედეგად მდგომარეობა. მათ, და მათ შორის, საქართველოსაც, ვერც დიდი რაოდენობის საგარეო სესხები წააღგათ საგადასახდელო ბალანსის დარეგულირებაში. მათი ამ სახის ბალანსების უარყოფითი სალდო წლითიწლობით მატულობს. სალდოს განსაკუთრებით აღრმავებს საქონლის და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტის მოცულობებს შორის განსხვავებულობის ყოველწლიური მატება.

განვითარებადი ქვეყნების ამგვარი ჩამორჩენილი მდგომარეობა განსაკუთრებით განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: ფასთა პარიტეტით განვითარებული ქვეყნების მიერ გასაყიდ ძვირ ტექნოლოგიებს, მაღალტექნოლოგიურ პროდუქციასა და განვითარებადი ქვეყნების იაფ სანედლეულო და დაბალტექნოლოგიურ პროდუქციას შორის, პრაქტიკულად ყველა საიფორმაციო და ფინანსური რესურსის კონცენტრაციით განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებად ქვეყნებში თანამედროვე

განითარებისათვის აუცილებელი ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსების უქონლობით და ა.შ.

იმის შესახებ, თუ ყოველივე ამის გამო რა მდგომარეობაშია განვითარებად ქვეყნების საგადასახდელო ბალანსები, წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

ცხრილი № 17

განვითარებადი ქვეყნების საგადასახდელო ბალანსი
(მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნები	წლები	სალდო	მ.შ. საქონლის მომსახურებიდან
არგენტინა	2000	– 8981	– 1832
	2007	7210	12479
ბელარუსი	2000	– 338	– 446
	2006	– 1542	– 1586
ბრაზილია	2000	– 24225	– 7860
	2007	1460	2673
ბულგარეთი	2000	– 704	– 670
	2007	– 8592	– 8631
ჩინეთი	2000	20518	28874
	2006	249866	208921
ესტონეთი	2000	– 299	– 182
	2007	– 3684	– 2289
ინდოეთი	2000	– 3684	– 9238
	2006	– 697	– 31261
ირლანდია	2000	– 9415	12276
	2007	– 12695	25814
ლიტვა	2000	– 675	– 724
	2006	– 3218	– 3126

ლატვია	2000	– 371	– 583
	2007	– 6232	– 5672
მექსიკა	2000	– 18707	– 11942
	2006	– 2008	– 12574
ახალი ზელანდია	2000	– 2683	522
	2007	– 10233	– 1484
პოლონეთი	2000	– 10343	– 10904
	2007	– 20100	– 12339
ჩეხეთი	2000	– 2690	– 1692
	2006	– 4586	4510
რუსეთი	2000	46839	53526
	2007	78309	112209
რუმინეთი	2000	– 1355	– 1930
	2007	– 23136	– 24064
სლოვენია	2000	– 548	– 689
	2007	– 2293	– 891
თურქეთი	2000	– 9824	– 10584
	2006	– 32774	– 27877
უკრაინა	2000	1481	1575
	2007	– 5927	– 7875
უნგრეთი	2000	– 4004	– 7875
	2006	– 7421	– 1787

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის მონაცემები ბოლო წლებში საგრძნობლადაა გაუარესებული. ამ ქვეყნებიდან მხოლოდ მათ აქვთ დადებითი საგადასახდელო სალდო, რომელთაც შეუძლიათ ბუნებრივი რესურსების (ნავთობი, გაზი და სხვ.) საზღვარგარეთ გაყიდვა. ასეთი ქვეყნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთი, თურქმენეთი, ზოგიერთი არაბული ქვეყანა და ა.შ. დანარჩენი

ქვეყნების საგადასახდელო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია. ეს არც არის გასაკვირი – ამ ქვეყნების (განსაკუთრებით ყოფილი სოციალისტური ქვეყნების) საწარმოებს ხომ მთელი ათწლეულების განმავლობაში გეგმიური (არაკონკურენციული) ეკონომიკის პირობებში უხდებოდათ საქმიანობა, რის გამოც მათთვის ძალზე რთულია მაღალხარისხიანი საქონლის წარმოება, მათთვის ძალზე გაძნელებულია საერთაშორისო არენაზე სხვა ქვეყნებისათვის სათანადო მომსახურების გაწევა (მაგალითად, სატრანსპორტო, საფინანსო და ა. შ. მომსახურება). ამიტომაა, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა იმპორტულს იძენს უბრალო საქონელსაც კი. აქედანაა ასეთი დიდი უფსკრული მათ ექსპორტსა და იმპორტს შორის. ბოლო ხანებში ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ ჩეხეთი, რომელმაც 2006 წელს გამოასწორა მდგომარეობა, უნგრეთი, არგენტინა და ბრაზილია. რაც შეეხება ჩინეთს, მას ბოლო წლებში აშკარად გამოკვეთილი აქტიური სავაჭრო და შესაბამისად, საგადასახდელო ბალანსი აქვს.

სხვათაშორის, პირველად ისტორიაში, ჩინეთი 2009 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, გახდა მსოფლიო ლიდერი-ექსპორტიორი და ამ ასპარეზზე გადაასწრო გერმანიასაც, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ექსპორტის მხრივ პირველ ადგილს არავის არ უთმობდა.

კერძოდ, ამ პერიოდში ჩინეთმა საექსპორტოდ გაიტანა 140 მლრდ დოლარის პროდუქცია, მაშინ, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი გერმანიისათვის შეადგენდა 134 მლრდ დოლარს.

ახლა საქართველოს შესახებ.

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მონაცემები ყოველწლიურად უარესდება. კერძოდ, თუ 2005 წელს მიმდინარე ანგარიშების უარყოფითმა სალდომ – 709,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2007 წლისათვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესდა და 2 მლრდ-ს გადააჭარბა ანუ 3-ჯერ გაიზარდა. ამ მხრივ ვითარება კიდევ უფრო გართულდა ბოლო წლებში.

იშვიათია ქვეყანა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აფრიკის და აზიის ზოგიერთ უაღრესად ჩამორჩენილს, რომელსაც ასეთი მძიმე მდგომარეობა ჰქონდეს საგარეო ვაჭრობის სფეროში, რომ აღარაფერი ვთქვათ განვითარებულ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე (ე.წ. „აზიური ვეფხვები"), საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც კი მკვეთრად ჩამორჩება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორსაც მთლიან ვაჭრობაში ექსპორტის წილი შეადგენს.

ამის საილუსტრაციოდ ვნახოთ ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი № 18

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი და საგარეო ვაჭრობის ბალანსი (1995-2008 წ.წ.)
მლნ აშშ დოლარი

წელი	მთლიანი ვაჭრობა	იმპორტი	%	ექსპორტი	%	უარყ. სავაჭრო ბალანსი
1995	894	603	67	291	33	312
2000	995	668	67	327	33	341
2004	2495	1848	74	647	26	1201
2005	3357	2491	74	866	26	625
2006	4613	3677	80	936	20	2741
2007	6448	5215	81	1233	19	3982
2008	7555	6058	80	1497	19	4561

2008 წელს 1995 წელთან შედარებით უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 312 მლნ აშშ დოლარიდან 4561 მლნ აშშ

დოლარამდე, ანუ 14,6-ჯერ გაიზარდა, რაც შედეგია ექსპორტთან შედარებით იმპორტის მაღალი ტემპებით ზრდისა.

საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპორტში გამოკვეთილია სანედლეულო უპირატესობა, ხოლო იმპორტში კი სამომხმარებლო საქონლის, რაც დამახასიათებელია დაბალი განვითარების მქონე ქვეყნებისათვის.

ცხრილი № 19

საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (2007 წელი) მლნ დოლარი

ფეროშენადნობები	159,6
შავი ლითონის ჯართი და ნარჩენები	96,8
სპილენძის მადანი	79,2
ავტომობილები	70,1
დაუმუშავებელი ოქრო	69,4
კაკალი	65,1
ცემენტი	64,0
ეთილის სპირტი	57,4
მინერალური სასუქები	57,4
სპილენძის ჯართი და ნარჩენები	37,0

საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 47% მოდის დსთ-ს ქვეყნებზე, ხოლო 20%-მდე კი ევროკავშირის ქვეყნებზე. ცხადია, ესეც ქართული პროდუქციის დაბალ ხარისხზე მიანიშნებს.

ცხრილი №20

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მაჩვენებლები (მლნ აშშ დოლარი)

	2003 წ	2005 წ	2007 წ	2007წ 2003 წ მიმართ (ჯერ)
ექსპორტი	461,4	865,5	1232,4	2,7
იმპორტი	1141,2	2489,9	5214,9	4,6
სალდო	– 679,8	– 1624,5	– 3982,5	–8,3
ბრუნვა	1602,6	3355,4	6447,3	4,1

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები (ეს კი საქართველოს საგადასახდელო ბალანსის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია), ყოველწლიურად უარესდება.

კერძოდ, თუ 2003-2007 წლებში საექსპორტო პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 2,7– ჯერ, იმპორტმა 4,6-ჯერ მოიმატა და შესაბამისად, საგადასახადო ბალანსის უარყოფითი სალდო 8,3-ჯერ გაიზარდა.

ეს ტენდენცია გაგრძელდა 2009 წლის I კვარტალშიც. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის მოცულობები და შესაბამისად, საექსპორტო შემოსულობებიც, მატების ნაცვლად - კლებულობს.

კერძოდ, 2009 წლის I კვარტალში ექსპორტი, წინა წლის IV კვარტალთან შედარებით, შემცირდა 15,4%-ით, ხოლო წინა წლის I კვარტალთან შედარებით – 33%-ით.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2009 წლის იანვარში 341,5 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის იანვრის მაჩვენებელს 31,7%-ით ჩამორჩება.

აღნიშნულ პერიოდში შემცირებულია ექსპორტის მაჩვენებელი 35%-ით და მან 62,1 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა 279,4 მლნ დოლარი ანუ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35,8%-ით ნაკლები. ამ წლის I თვეში საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 217,3 მლნ დოლარი შეადგინა.

ამ პერიოდში საქართველოს 229,3 მლნ დოლარი (29,1%-ით ნაკლები) უარყოფითი სავაჭრო დეფიციტი 75 ქვეყანასთან აქვს. დადებითი 12 ქვეყანასთან და იგი 12,1 მლნ დოლარს შეადგენს, მაშინ, როდესაც 2008 წლის იანვრის მონაცემებით ქვეყანას 22,5 მლნ დოლარი დადებითი სავაჭრო ბალანსი 17 ქვეყანასთან ჰქონდა. საქართველოს 2009 წლის იანვარში მლნ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი მხოლოდ 3 ქვეყანასთან აქვს: კანადა (6,3 მლნ დოლარი), სომხეთი (3,3 მლნ დოლარი) და ერაყი (1 მლნ დოლარი).

2008 წელს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა 4,56 მლრდ დოლარი, მაშინ, როცა 2007 წელს იგი 3,98 მლრდ იყო.

პერსპექტივაში სერიოზულ საექსპორტო შემოსავლებს შეიძლება ველოდეთ ენერგეტიკის სფეროდან. 2007 წელს საქართველომ გაიტანა 634 მლნ კვ/სთ ელექტროენერგია, ხოლო იმავე პერიოდში შემოიტანა 434 მლნ კვ/სთ. არც თუ ისეთ შორეულ მომავალში ქვეყნის ჰიდროპოტენციალი საშუალებას მოგვცემს 1 მლრდ დოლარის ელექტროენერგიის ექსპორტი განვახორციელოთ.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან იანვარში 78,4 მლნ დოლარია, რაც 47,9%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ევროკავშირის ქვეყნებთან მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვიდან ექსპორტზე 15,1 მლნ დოლარი (62,1%-ით ნაკლები) მოდის, ხოლო იმპორტზე – 63,4 მლნ დოლარი (42,8%-ით ნაკლები). ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 23% მ.შ. ექსპორტის

24,2% და იმპორტის 22,7%. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სავაჭრო დეფიციტის 22,2% სწორედ ამ ქვეყნებთან გვაქვს.

რაც შეეხება დსთ-ის ქვეყნებს, მათთან საგარეო სავაჭრო ბრუნვიდან ექსპორტმა 20 მლნ დოლარი (23,5%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტმა – 89,5 მლნ დოლარი (37,3%-ით ნაკლები) შეადგინა. ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 32,1%, მ.შ. ექსპორტის 32,2% და იმპორტის 32,1%. საგარეო დეფიციტის 32%.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები მხოლოდ 19-20%-ით ფარავს იმპორტისათვის აუცილებელ თანხას, რაც ნამდვილად საგანგაშო მდგომარეობაზე მიუთითებს. და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება. ეს ქვეყნის ხელისუფლებისგან ნამდვილად მოითხოვს დაუყოვნებლივ საგანგებო ღონისძიებების გატარებას, როგორც იმპორტშემცვლელი საქონლის წარმოების მოცულობების გასაზრდელად, ასევე ექსპორტის მასშტაბების გასაფართოებლად.

აღსანიშნავია, რომ (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი), მაგალითად, იაპონია, რომლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაც დაახლოებით ისეთია, როგორიც საქართველოში, ადგილობრივი მოსახლეობის სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნილების დაახლოებით 80%-აკმაყოფილებს, და ეს მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი საქართველოში 9-10%-ს არ აღემატება.

როგორ აღწევს ამას იაპონია? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მისი ს\ს წარმოება გამოირჩევა მაღალი ინტენსივობითა და მოსავლიანობით. მაღალ დონეზეა განვითარებული სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და ავტომატიზაცია. ამასთან, ამ ქვეყნის ხელისუფლებას, შეგნებული აქვს რა, რომ იაპონიის მწირი მიწების პირობებში წარმოება არ შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე, სახელმწიფო იცავს სამამულო

მეწარმეს, როდესაც მიჯნავს მას მსოფლიო ბაზრისაგან მაღალი იმპორტული ბაჟებით.

კერძოდ, იაპონიაში ბრინჯი ღირს 7-ჯერ მეტი, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე. იმისათვის, რომ თავი აარიდოს ვმო-თან (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) კონფლიქტს, იაპონიამ განაცხადა, რომ ბრინჯის წარმოება აუცილებელია ეროვნული ტრადიციების შესანარჩუნებლად და ამას ყველა დაეთანხმა, ისევე, როგორც საკონპენსაციო ბაჟებს ევროკავშირში.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესო აზრს გამოთქვამს აკადემიკოსი ლეო ჩიქავა წერილში „თავისუფალი ვაჭრობა თუ ეკონომიკური პროტექციონიზმი (ჟურ. „ახალი ეკონომისტი", 2009წ №4). „საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მისი ყველა მონაწილისათვის პოზიტიურ შედეგებს იძლევა არა ყველგან და ყოველთვის, არამედ ეკონომიკური განვითარების დახლოებით თანაბარი დონის მქონე ქვეყნების თანამშრომლობისას თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ და არა სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, რამდენადაც ეს უკანასკნელნი დაბალ კონკურენტუნარიანნი არიან მსოფლიო ბაზარზე და ადვილად თმობენ პოზიციებს ეკონომიკურ პროტექციონიზმზე მსჯელობისას მხედველობაში მაქვს იმპორტულ საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესებით, იმპორტის კვოტის განსაზღვრითა და პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების მონიტორინგის მოწყობით გარკვეული ბარიერების აღმართვა დემპინგური ფასებით შემოსატან და ფალსიფიცირებულ, აგრეთვე, მდარე ხარისხის, მაგრამ ლამაზად გაფორმებულ იმპორტულ ნაწარმზე"

ცხადია, ჩვენი ხელისუფლებაც ასე მოქნილად უნდა მოიქცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდხანს გვექნება ის მდგომარეობა, როგორიც დღესაა სამამულო ბაზარზე, მით უმეტეს, აღგილობრივ სასურსათო ბაზარზე, სადაც, როგორც ამას წინათ ამერიკის კომერციული საბჭოს პრეზიდენტმა

(Prezident American Chamber of Commerce), მაგთიკომის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ დავით ლიმ განაცხადა: „We are importing products from Turkey, when we could be producing then here" (ჩვენ თურქეთიდან შემოგვაქვს პროდუქცია, რომლის წარმოებაც ადგილზე შეგვიძლია (Financial, 2009 წლის 2 ნოემბერი).

სათანადო გაანგარიშებების საფუძველზე, ვნახავთ, რომ ქვეყნის ერთ მოსახლეზე მოდის 274 დოლარის ღირებულების ექსპორტი. ეს კი ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია დღევანდელ მსოფლიოში. აღნიშნულში ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, თუ ქვემოთ მოტანილ ცხრილსაც გავეცნობით:

ცხრილი №21

ზოგიერთი ქვეყნის ექსპორტი აბსოლუტურ მაჩვენებლებსა და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 2007 წელს

ქვეყნები	ექსპორტი მლრდ აშშ დოლ.	1 სულზე, ათასი დოლარი	ხვედრითი წილი მსოფლიოს ექსპორტში, %	ექსპორტის შეფარდება მშპ-თან
არგენტინა	56,6	1,4	0,4	27,4
ავსტრია	154,2	18,5	1,2	59,6
ბელორუსი	24,3	2,5	0,2	61,7
ბრაზილია	160,6	0,848	1,1	13,8
ბულგარეთი	18,5	2,4	0,1	63,4
ჩინეთი	1217,8	0,924	9,4	41,3
ესტონეთი	10,9	8,2	0,1	72,8
საბერძნეთი	23,5	2,1	0,2	22,2
საფრანგეთი	540,9	8,8	4,2	26,5

ირლანდია	122,6	28,9	0,9	81,1
იაპონია	709,7	5,6	5,5	17,6
ლიტვა	17,2	5,1	0,1	55,4
ლატვია	7,8	3,4	0,1	44,4
ინდოეთი	145,4	0,1	1,1	22,4
გერმანია	1329,1	16,2	10,3	46,7
პოლონეთი	138,8	3,6	1,1	40,8
ჩეხეთი	122,1	11,9	0,9	79,8
რუსეთი	351,0	2,5	2,7	30
რუმინეთი	40,0	1,9	0,3	3
სლოვაკეთი	57,8	10,7	0,4	30,4
სლოვენია	26,5	13,2	0,2	86,4
აშშ	1163,0	3,8	9,0	71,4
თურქეთი	116,9	1,4	0,8	11,9
უკრაინა	49,2	1,1	0,4	21,9
უნგრეთი	93,4	9,3	0,7	79,9
გაერთ. სამეფო	432,3	7,1	3,3	26,1
იტალია	500,0	8,5	3,9	29,2

წინამდებარე ცხრილიდან ჩანს ასევე, თუ რა პროპორციითაა წარმოდგენილი ექსპორტი ქვეყნის მშპ-ში. თუ ქვეყანა განვითარებულია, ანდა აქვს მდიდარი წიაღისეული, მაშინ ეს მაჩვენებელი მაღალი იქნება, როგორც ამ შემთხვევაში ბელგიაში, ირლანდიაში და ა.შ. სხვაგვარად, ისევე როგორც საქართველოს, მას ეს მაჩვენებელი ექნება დაბალი. კერძოდ, საქართველოს შემთხვევაში იგი შეადგენს დაახლოებით 12-13%-ს.

ამ თემის დასასრულს შეიძლება ითქვას შემდეგი: მრავალი ბუნებრივი, კლიმატური, შრომითი თუ სხვა სახის ფაქტორი, შედარებით დაბალი გადასახადები, იაფი მუშა-ხელი, ჯერ-ჯერობით ასევე იაფი უძრავი ქონება და ა.შ. საქართველოს აძლევს იმის საშუალებას, რომ არა თუ შემოიტანოს, არამედ თავად გაიტანოს, ყოველ შემთხვევაში

მეზობელ ქვეყნებში მაინც, მრავალი სახის პროდუქცია. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს აგრარული და მათი გადამუშავებით მიღებული სამრეწველო პროდუქცია, კერამიკული პროდუქცია, ფარმაცევტული საქონელი, ელექტროენერგია და სხვ. ასევე დიდი საექსპორტო შემოსავლები მიიღოს ტურისტული, ფინანსური, სატრანსპორტო და ა. შ. მომსახურებით.

როდესაც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და სამამულო პროდუქციით ადგილობრივი ბაზრის გაჯერებაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიზრუნოთ მათი ხარისხის გაუმჯობესებაზეც. თუ ნაწარმი ვერ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, რომელთაც მათ ევროკავშირი და საერთოდ, ცივილიზებული სამყარო უყენებთ, ისინი საერთაშორისო ბაზრებზე თავის ადგილს ვერ იპოვიან.

კანონი პროდუქციის ხარისხის და უსაფრთხოების თაობაზე 2006 წელს დამუშავდა, მაგრამ იგი დღემდე არაა მიღებული. მას ჰყავს როგორც მხარდამჭერები, ისე მოწინააღმდეგეები. როგორც რძის პროდუქტების პროდუქტების კომპანიის დამფუძნებელი და ყოფილი პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილი აცხადებს, „ამ კანონის მიღებას მხარს უჭერს ქართული კომპანიების 50%-ზე მეტი. ეს ციფრი ჩვენთვის ცოტა საეჭვოა. ამ კანონის მიღება მრავალ კომპანიას, რომლებიც დაბალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებენ და ჯერ კიდევ ასაღებენ ადგილობრივ ბაზარზე, ნამდვილად ხელს შეუშლის საქმიანობის გაგრძელებაში, ასეთები კი საფიქრებელია, რომ 50%-ზე ბევრად მეტია. ამ კანონის მოქმედებაში შესვლის შემდეგ ბევრი მათგანი გაკოტრდება კიდეც. როგორც ლატვიის მაგალითი გვიჩვენებს, ამ კანონის შემოღების შემდეგ აქტიური კომპანიების 80%-ზე მეტი გაკოტრდა. ცხადია, მსგავსი ბედი ეწევა ქართული კომპანიების უმრავლესობასაც".

თუმცა, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. ამ კანონის შემოღებისათვის რეალური მომზადება უკვე უნდა

დაიწყოს. მით უმეტეს, ამჟამინდელ სიტუაციაში, როდესაც ქვეყანა ცდილობს, განსაკუთრებით 2006 წელს შემოღებული რუსული ემბარგოს შემდეგ, პროდუქციის დიდი ნაწილი გაიტანოს ევროპაში. უკვე დღეისათვის ევროკავშირის ბაზარი დსთ-ს შემდგომ II ადგილს იკავებს საქართველოს ექსპორტში.

ცნობილია, რომ თავად აშშ-ში ეკონომიკურ აღმავლობასა და თავისუფალი კონკურენციის განვითარებას ხელი შეუწყო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამუშავებამ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლების ინიციატივით შემუშავებული კანონი (მიიღეს II მსოფლიო ომის შემდეგ) მონოპოლიების აკრძალვის შესახებ, იაპონიაში ეკონომიკის სწრაფი განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად იქცა.

საქართველოში ანტიმონოპოლიური სამხახურის გაუქმებამ დიდი ზიანი მიაყენა კონკურენციის განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის მომძლავრებას, გააუარესა ქვეყნის საგადასახადო ბალანსი და ა.შ.

2010 წლის თებერვალში ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობამ" შეისწავლა ქართულ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის არსებული მდგომარეობა. მისი დასკვნების თანახმად, განსაკუთრებით მონოპოლიზირებულია ქვეყნის საავიაციო ბაზარი, ფარმაციის სეგმენტი, სამომხმარებლო ბაზრის დიდი ნაწილი და ა.შ. მაღალი მონოპოლიზირებით გამოირჩევა საიმპორტო საქონლის ბაზარიც.

ვერ გავიზიარებთ ნავთობმპორტიორების ოპონირებას ამ დასკვნის მიმართ. კერძოდ, მათი განცხადებით, ის გარემოება, რომ ამ ბაზარზე 4 მთავარი ოპერატორი საქმიანობს, გამორიცხავს ამ სფეროში მონოპოლიის არსებობას. „საერთაშორისო გამჭირვალობის" დასკვნის სისწორეს ადასტურებს თუნდაც ჩვენი ქვეყნის ნავთობის ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასების არაადექვატურობა მსოფლიო ფასებთან.

საერთაშორისო რეზერვები

ნებისმიერ ქვეყანაში და მ.შ. საქართველოში შექმნილია საერთაშორისო სავალუტო რეზერვები. მათ ძირითადად შემდეგი დანიშნულება აქვთ: იყვნენ ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარის გარანტია და საჭიროების შემთხვევაში, ისინი გამოიყენონ (ფორსმაჟორულ სიტუაციებში) იმპორტული პროდუქციის შესაძენად, საგარეო ვალის დასაფარად და ა.შ.

ამიტომ მცდარია ზოგიერთი ექსპერტის (ძირითადად, პოლიტიკოსების) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კარგი იქნებოდა, თუკი აღნიშნულ თანხას მთავრობა მიმართავდა ისეთი ღონისძიებების განსახორციელებლად, როგორიცაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის შეღავათიანი კრედიტების გამოყოფა და ა.შ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 2010 წლისათვის რეკორდულად გაიზარდა და 2 მლრდ დოლარს გადააჭარბა. ჩვენს ქვეყანას, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებს, სავალუტო რეზერვები განთავსებული აქვთ კონვენტირებად ვალუტებში – დოლარში, თითქმის 3/4, ხოლო დანარჩენი ევროში და გირვანქა სტერლინგში. რეზერვებს განაგებს ეროვნული ბანკი. მათი საშუალებით, ბანკი ყიდულობს მსოფლიოში ცნობილი საფინანსო დაწესებულებების აქტივებს და ამრიგად, რეზერვებს ქვეყნისათვის მოაქვთ გარკვეული მოგება, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული ოდენობის საერთაშორისო რეზერვები გააჩნია, რის შესახებაც წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

ცხრილი №22

ზოგიერთი ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვი (მლრდ აშშ დოლარი)

ქვეყნები	1995 წელი	2006 წელი
დსთ-ს ქვეყნები		
აზერბაიჯანი	0,1	2,5
ბელორუსი	0,4	1,1
მოლდოვა	0,3	0,8
რუსეთი	14,4	295,6
საქართველო	0,2	0,9
სომხეთი	0,1	1,1
უკრაინა	1,1	21,8
ყაზახეთი	1,1	17,8
სხვა ქვეყნები		
აშშ	74,8	54,9
ბულგარეთი	1,0	16,5
გაერთიანებული სამეფო	4,2	40,1
გერმანია	85,0	41,7
ესტონეთი	0,6	2,8
თურქეთი	12,4	61,1
იაპონია	183,0	880,0
პოლონეთი	14,8	46,4
ჩინეთი	75,0	1069,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის ყველა ქვეყანამ (გამონაკლისს აშშ, გერმანია და გაერთიანებული სამეფო წარმოადგენენ) გაზარდა საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობები.

ამ ბოლო დროს ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ მისმა ქვეყანამ შესაძლოა სარეზერვო ფული, - დოლარი შეცვალოს სხვა კონვერტირებადი ვალუტით. თუმცა, როგორც ჩანს, თუ განვითარებადი ქვეყნები ემხრობიან საერთაშორისო სავალუტო რეზერვების დოლარის სხვა ვალუტის ჩანაცვლების იდეას, განვითარებულ ქვეყნებს ეს სრულიად არ აწყობთ.

კერძოდ, ამას წინათ იაპონიის საგარეო სამინისტროს ეკონომიკურ საქმეთა ბიუროს დირექტორმა იოხი სუზუკიმ განუცხადა, რომ „იაპონიის პოზიციაა, რომ ძირითადმა ქვეყნებმა მხარი უნდა დაუჭირონ დოლარს ვფიქრობ, არც ერთი ქვეყნისათვის არ იქნება სასარგებლო დოლარის ახალი ძირითადი ვალუტით ჩანაცვლება რეზერვებში, რაც დოლარს ნამდვილად დაასუსტებდა". მისივე განცხადებით, იაპონია მყარი, სტაბილური დოლარით არის დაინტერესებული, რომელსაც ის გამოიყენებდა სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში.

ამასთან აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: ჩინეთის (ანუ იმ ქვეყნის, რომელსაც ყველაზე დიდი მოცულობის რეზერვები გააჩნია. მისმა რეზერვებმა უკვე 2 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა) ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ჩინეთმა რეზერვები სდრ-ში გადაიყვანოსო. ამას ჩინელები იმით ხსნიან, რომ ბოლო ხანებში დოლარის კურსი მკვეთრად ირყევა, რაც ამ ქვეყანას, რომლის რეზერვებიც ასე დიდია, სერიოზულ საფრთხეს უქმნის. რაც შეეხება სდრ-ს {რომელიც გამოითქმის როგორც ნასესხობის სპეციალური უფლება და რომელიც უფრო საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) საანგარიშსწორებო ფულის ერთეულია (Special Draving Right), ვიდრე რეალური ფული, 1 SDR უდრის დაახლოებით დოლარნახევარს} იგი ისეთი მყარი ვალუტების კალათას ეფუძნება, როგორიცაა აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი და იენი. ამდენად მას ნამდვილად გაცილებით მეტი სიმყარე გააჩნია.

ჩინეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობის ამ განცხადებას უკვე გამოუჩნდნენ სერიოზული ოპონენტები.

მაგალითად, კალიფორნიის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი ბარი ეიხენგრიინი აკრიტიკებს რა ჩინეთის სახალხო ბანკის (იგივე ცენტრალური ბანკი) განცხადებას რეზერვების სდრ-ში გადაყვანის თაობაზე, წერს შემდეგს:

სდრ-ი ხომ ფულის ნიშანი არაა. ამ ვირტუალურ ფულში სსფ თავის წევრებს გამოუყოფს სესხებს, რომელიც შემდგომ დოლარში ან სხვა სახის ეროვნულ ვალუტაში უნდა გადახურდავდეს. ამის გარეშე ხომ მათი გამოყენება ფულადი ოპერაციების განსახორციელებლად შეუძლებელია. სდრ-ს ასეთი კონვენტირება კი ადვილი როდი იქნება. სდრ-ს კი არა, ევროსაც კი გაუჭირდება საერთაშორისო სავალურო რეზერვების როლის შესრულება – წერს ეიხენგრინი, – ეს რომ შესაძლებელი გახდეს, მაშინ სსფ უნდა მიჰყოს ხელი სდრ-ების გადახურდავებას კონვერტირებად ვალუტაში, ისე, როგორც ამის კეთება დაიწყო 1920 წლიდან ამერიკის ფედერალურმა რეზერვებმა (ცენტრალური ბანკი). მას შემდეგ, რაც დოლარი იქცა საერთაშორისო ანგარიშსწორების და ფედი ახდენდა როგორც მის გაყიდვას, ასევე ყიდვას. ეს კი, სხვა სიძნელეებთან ერთად, საკმაოდ ხარჯიანი ოპერაციები იქნება.

მართლაც, თუ ჩინელებმა დაიწყეს აქტიური სვლების გაკეთება ამ მიმართულებით – ანუ სარეზერვო დოლარების სხვა ვალუტათა კალათაზე გადასვლა, ეს დოლარის კურსს კიდევ უფრო არამყარს გახდის. დღეს სახელმწიფოების სავალუტო რეზერვების 70%-ზე მეტს დოლარი შეადგენს და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა მოხდება, თუკი ყველა სახელმწიფო დაიწყებს ამ რეზერვების გადაყვანას სხვა მყარ ვალუტაში.

უმთავრესი მიზეზი, რაც ჩინეთის ხელისუფლებას აიძულებს უარი თქვას დოლარზე და რეზერვებში მის ნაცვლად სხვა ვალუტა (ან ვალუტათა კალათა) ჩაანაცვლოს, არის ის,

რომ დოლარის კურსი დამოკიდებულია მისი ემიტეტი ქვეყნის – აშშ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე და მის საგადასახადო ბალანსზე. განსაკუთრებით ამერიკის საგარეო ვალებზე, რომლებიც ბოლო 20 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. მას შემდეგ, რაც დოლარი მყარად არაა მიბმული ოქროზე (დოლარი/ოქროს პარიტეტი გაუქმდა 1971 წელს, როდესაც ამერიკამ უარი თქვა დოლარის სავალდებულო გაცვლაზე ამ ძვირფას მეტალზე), დოლარის კურსი საგრძნობლად მერყეობს.

სხვათაშორის, სარეზერვო ვალუტის (დოლარის) სხვა ვალუტით შეცვლის ჩინურ ინიციატივას საკმაოდ ავტორიტეტული მომხრეები გაუჩნდნენ. მაგალითად, ნობელიანტი ეკონომიკის დარგში იოსებ სტიგლიცის განცხადებით, ეს ცუდი იდეა როდია. მისი აზრით, თუ ჩინეთის რეზერვებში დოლარის ადგილს ევრო და იენი დაიკავებენ, ამით ამ ქვეყანას კურსთან დაკავშირებული რისკები მკვეთრად შეუმცირდებოდა. ნობელიანტს დასაშვებად მიაჩნია ასევე რეზერვებში დოლარის ნაცვლად სდრ-ის გამოჩენაც, რაც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქვეყანას სსფ-ს სესხების აღების შანსს გაუზრდიდა. ერთი რომელიმე ვალუტის კურსის მერყეობა გავლენას ვერ უნდა ახდენდეს გლობალურ კონიუნქტურაზე – აცხადებს მეცნიერი.

დასასრულს, გვინდა ვთქვათ შემდეგი:

დოლარის მოსალოდნელი გაუარესების პერსპექტივა განსაკუთრებით არაბ და ჩინელ მილიონერებს აშინებთ. არაბი ინვესტორები, რომლებიც ყოველდღიურად ყიდიან ნავთობს და საბანკო ანგარიშებზე უდიდესი რაოდენობის დოლარები უგროვდებათ, დიდი რაოდენობის აქტივებს ყიდულობენ დასავლეთში, განსაკუთრებით ინგლისში. მაგალითად, ამ მცირე ხნის წინათ არაბმა შეიხებმა შეიძინეს ინგლისური Manchester City, Portsmouth და ახლა სახელგანთქმული ლივერპულის ყიდვა აქვთ განზრახული. მათ ასევე სურთ თავიანთი სავალუტო რისკები ევროზონაში და

განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში გადაიტანონ. ეს გასაგებიც არის: ნავთობიდან შემოსავლების ინფლაციით დასუსტებულ ვალუტაში გაჩერება მათ პორტფელებს ხომ თანდათან უფრო მეტ საშიშროებას უქადის.

სხვათაშორის, როდესაც 2009 წლის ოქტომბრის დასაწყისში გაზეთმა „The Independent"-მა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, თითქოს არაბულ ქვეყნებს, ჩინეთს, რუსეთსა და საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვთ დოლარი სხვა ვალუტით, კერძოდ კი კალათით, რომელიც შედგენილი იქნებოდა ევროთი, ჩინური იუანით და ოქროთი, ჩაანაცვლონ, ნავთობის ბაზარზე ინვესტორებმა არ დააყოვნეს და სწრაფად იწყეს დოლარის ოქროზე გადაცვლა. შედეგად, ამ ძვირფასი ლითონის 1 უნციის ფასი 1050 დოლარამდე გაიზარდა.

ძნელი ხარ სიღარიბეო . . .

ძნელი ხარ სიღარიბეო,
გამაბეჩავე ტიალო,
მეორ, მესამე წელია
ერთ ახალუხი მცმიაო
ხალხური

საქართველოსათვის, ისევე როგორც განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობისათვის, რომლებმაც სოციალიზმის ნაცვლად კაპიტალიზმის მშენებლობა დაიწყეს, სიღარიბის დაძლევა ერთ-ერთი ურთულესი აღმოჩნდა.

ჩვენ აღვნიშნეთ „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობისათვის" იმიტომ, რომ იმ 25-26 ქვეყნის შორის, რომლებიც ასეთად მოიაზრება, ზოგიერთმა უკვე გაართვა თავი ამ პრობლემას. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებმა, პოლონეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკიამ და განსაკუთრებით სლოვენიამ, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე კარგა ხანია, რაც უკვე 10 ათას დოლარს აღემატება წელიწადში.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

ძალიან მძიმე. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ, როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს სირაქლემის პოზიციაში ყოფნას და ამ საკითხისათვის თავის არიდებას.

ამ პოზიციაში ჩადგომის მცდელობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი, რის შედეგადაც, თუ ადრე ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 25%-მდე დავიდა.

კერძოდ, ამჟამად საარსებო მინიმუმად ერთ კაცზე აღებულია 132 ლარი, ხოლო 4 კაციან ოჯახზე – 230 ლარი. ისე, საინტერესო იქნებოდა, ამ ციფრების დამდგენი „სპეციალისტები" იმასაც თუ გვეტყოდნენ, თუ რანაირად შეიძლება იცხოვროს, თუნდაც იარსებოს, დღევანდელი ფასებით 132 ლარად ადამიანმა?! ან ოჯახმა 230 ლარად?! ექსპერტების გაანგარიშებით, მათ შესაბამისად, მინიმუმ 200 და 700-800 ლარი მაინც უნდა ჰქონდეთ საშუალო თვიური შემოსავალი. საყურადღებოა, რომ წინა წლებში იგი გაცილებით ნაკლები იყო და საარსებო მინიმუმი 2004 წელს შეადგენდა 84 ლარს, 2005 წელს – 95,8 ლარს, 2006 წელს – 106,5 ლარს, ხოლო 2007 წელს – 118,6 ლარს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მოსახლეობის მდგომარეობა ამ მხრივ ასეთი საგანგაშო არ იქნებოდა, შემოსავლები მეტ-ნაკლებად თანაბრად მაინც რომ ნაწილდებოდეს, ამ ასპექტში, სხვათაშორის, უნდა გავიხსენოთ 2005 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ამარტია სენი, რომელმაც პრემია და ჯილდო იმაში მიიღო, რომ დაასაბუთა: მსოფლიოში შიმშილის მიზეზი სურსათის ნაკლები რაოდენობის წარმოება კი არაა, არამედ – მისი არასწორი განაწილებაო. კერძოდ, თუ გავეცნობით ჩვენი ქვეყნისათვის გაანგარიშებულ ჯინის კოეფიციენტს (ჯინის კოეფიციენტი – შემოსავლების კონცენტრაციის მაჩვენებელი გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. თანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი ნულის ტოლია, აბსოლუტური უთანაბრობისას – ერთის). ეს მაჩვენებელი დაახლოებით ისეთია, როგორიც აზია-აფრიკის ან ლათინურ განუვითარებელ ქვეყნებში და თან, არც გაუმჯობესებისა ეტყობა რამე. კერძოდ, 2004 წელს, ფულადი შემოსავლების მიხედვით იგი უდრიდა 0,53 და ზუსტად ამდენივე იყო 2007 წელსაც.

ამას წინათ ჟურნალ „INVESTOR.GE"-ში კავკასიის კვლევის ცენტრმა მეტად საინტერესო სოციოლოგიური

კვლევის მასალები, სათაურით „INSIGHT TO GEORGIAN HOUSEHOLDS" გამოაქვეყნა. აღნიშნული კვლევა განხორციელდა სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკაში.

კვლევიდან გვებულობთ, რომ ბოლო ხანებში საქართველოში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არც თუ ისე მნიშვნელოვნად გამოსწორებულა. კერძოდ, გამოკითხულთა 40% განცხადებით, 2008 წელს მათი შემოსავლები დაახლოებით იგივეა, რაც იყო 2007 წელს, მხოლოდ 14% ამბობს, რომ 2008 წელს 2007 წელთან შედარებით, გაზრდილია. დაახლოებით ამდენივე აცხადებს, რომ მათი შემოსავლები ამ წელს უფრო შემცირდა.

ამ მხრივ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა აზერბაიჯანში. გამოკითხულ აზერბაიჯანელთა 33% აცხადებს, რომ 2008 წელს მათი შემოსავლები გაზრდილია 2007 წელთან შედარებით. მხოლოდ 11% საუბრობს შემოსავლების შემცირების თაობაზე.

როგორც გამოკითხვებიდან ირკვევა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. გამოკითხულთა 38% ყოველთვიურად იღებს 51-250 დოლარამდე, მოსახლეობის მეოთხედს საერთოდ არ გააჩნია რეგულარული თვიური შემოსავალი. ისინი ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და სეზონურ შემოსავლებზე არიან დამოკიდებული. 1 პროცენტი აცხადებს, რომ მათი თვიური შემოსვალი 1200 დოლარს აღემატება (მაქსიმალური თანხა, რომელიც გამოკითხულთა შორის დაფიქსირდა). მხოლოდ გამოკითხულთა 6% განაცხადა, რომ კომფორტულად ცხოვრობს და მომავლისათვის შემოსავლის გადანახვასაც ახერხებს.

მოსახლეობის უმრავლესობა მთელ თავის შემოსავალს საკვებსა და ყოველდღიური მოხმარების საგნებში ხარჯავს. უფრო მეტიც: ხშირად სესხის აღებაც სჭირდება ამის შესაძენად. მაგ., 2008 წელს გამოკითხულთა ნახევარს სესხი ჰქონდა

აღებული. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის სწორედ სესხი წარმოადგენს ფულადი შემოსავლების უმთავრეს წყაროს. 2007-2008 წლებში საქართველოში გამოკითხული მოსახლეობის 23% (ანუ თითქმის ყოველი 4 ადამიანი) 100 დოლარზე მეტი სესხი ან კრედიტი ჰქონდა აღებული. ამ მიზნებისათვის მათ ნახევარს პროცენტიანი სესხი ჰქონდა ბანკიდან ან სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან. უპროცენტო სესხი კერძო პირებიდან წარმოადგენს II ძალზე პოპულარულ წყაროს სესხისას, საქართველოში და სომხეთში. ამ მხრივ სიტუაცია განსხვავებულია აზერბაიჯანში. აქ გამოკითხულთა 58%-ს სესხი უპროცენტოდ აქვთ აღებული კერძო პირებიდან და მხოლოდ 275-ს აქვს პროცენტიანი სესხი ბანკებიდან და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებიდან.

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის სხვა მხრივაც შეინიშნება განსხვავება: კერძოდ, თუ საქართველოში სესხებს უფრო პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად იღებენ, სომხეთსა და აზერბაიჯანში მათ უფრო ბიზნესის წამოსაწყებად იყენებენ.

როგორც ამავე გამოკვლევებიდან ჩანს, საქართველო ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთების მოხმარებით, როგორიცაა ფერადი ტელევიზორი, მაცივარი, ავტომატური სარეცხი მანქანა, ავტომანქანა, პერსონალური კომპიუტერი და ჰაერის კონდენციონერი ჩამორჩება არა მხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ჩვენს უშუალო მეზობლებსაც – აზერბაიჯანს და სომხეთს.

აღნიშნულის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

ცხრილი №23

საყოფაცხოვრებო ნივთების მოხმარების მაჩვენებლები, (% –ად)

ქვეყნები	ტელე-ვიზორ	მაცივრ	ავტომატ სარეცხი მანქანა	ავტო-მობილ	პერ კომპ	ჰაერის კონდენც
საქართველო	73	62	27	21	15	5
სასომხეთი	94	74	33	25	16	4
აზერბაიჯანი	95	88	37	23	12	25

მხოლოდ ტელეფონების რაოდენობით გამოიყურება საქართველო უკეთ, გამოკითხულთა 84%. ესეც ძირითადად ქალაქის მოსახლეობაზე მოდის, ვინაიდან სოფლად მცხოვრებთ დაბალი შემოსავლების გამო უჭირთ კავშირგაბმულობის ქსელში ჩართვა.

მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის კომპიუტერიზაციას და მათ ინტერნეტში ჩართვას. ამ საკითხის გადაჭრას იმიტომ უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება, რომ როგორც გამოცდილება გვიჩვენებს სწორედ აღნიშნულ მაჩვენებელზეა თანამედროვე მსოფლიოში დიდწილად დამოკიდებული შრომის მწარმოებლურობის ზრდა.

ეს რომ ნამდვილად ასეა, კარგად ჩანს ისეთი ქვეყნის მაგალითიდან, როგორიც აშშ-ია. აღნიშნულის შესახებ ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილიც:

ცხრილი №24

შრომის მწარმოებლურობის საშუალო წლიური ზრდა აშშ-ში (%–ად)

ეკონომიკის სექტორები	1958 - 1973	1973 - 1979	1979 – 1990	1990 – 1998
რომლებიც არ იყენებენ კომპიუტერს	3,1	1,6	1,6	2,6
რომლებიც იყენებენ კომპიუტერს	2,6	1,1	3,2	5,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-ს ეროვნული მეურნეობის დარგებმა, რომლებიც წარმოების პროცესებში კომპიუტერებს იყენებენ, შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებლის მიხედვით მკვეთრად გაასწრეს იმ დარგებს, რომლებიც უგულებელყოფენ ბოლო დროის ამ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მიღწევის შრომით პროცესებში აქტიურ გამოყენებას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება ასევე ირლანდიის მაგალითიც. ქვეყანა, რომელიც მოსახლეობითა თუ ტერიტორიით დაახლოებით საქართველოს ხელაა, სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენებით გახდა ერთ-ერთი მოწინავე. კერძოდ, ბოლო ათწლეულში ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით, ირლანდია მსოფლიოში ლიდერია. იგი ასევე III–IV ადგილს იკავებს ისეთი მნიშვნელოვანი სოციალურ ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვითაც, როგორიცაა მშპ ერთ სულზე და ის სწორედ მაღალი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვის მიხედვით გამოირჩევა მრავალი სხვა ქვეყნისაგან.

როგორც ჩანს, თანამედროვე პირობებში საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები იქცნენ

საზოგადოების საქმიანი ურთიერთობების ახალ ენად, ბიზნეს წრეების უმთავრეს საფუძვლად. მათ არა მხოლოდ მკვეთრად გაზარდეს შრომის მწარმოებლურობა, არამედ სახე უცვალეს მსოფლიო ეკონომიკურ წყობას, შექმნეს მენეჯმენტისა და მარკეტინგის ახალი საფუძვლები, დააჩქარეს საქონლისა და მომსახურების განახლება, სტიმული მისცეს გლობალური პროცესების განვითარებას და სხვადასხვა ქვეყნის სამეურნეო ურთიერთდაახლოებას.

ამას წინათ, საერთაშორისო რეიტინგულმა კომპანიამ „Interna Lional Living"-მა მსოფლიოს 194 ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, შეისწავლა ადამიანთა ცხოვრების პირობები და მის საფუძველზე, ამ ქვეყნებს თავისი რეიტინგი მიანიჭა. კომპანია სწავლობდა ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა: ცხოვრებისათვის საჭირო ხარჯები, თავისუფალი დრო და კულტურა, ეკონომიკა, გარემოს დაცვა, სიტყვის თავისუფლება, ჯანმრთელობის დაცვა, ინფრასტრუქტურა, რისკი და უსაფრთხოება, კლიმატი. შეფასება ხდებოდა 100 ქულიანი სისტემით. აღნიშნული პარამეტრების მიხედვით, საქართველოს მიენიჭა შესაბამისად შემდეგი ქულები: 56; 38; 40; 80; 50; 62; 48; 57; 79.

რეიტინგის მიხედვით საქართველოს ჩინეთთან, განასთან და სომხეთთან ერთად საშუალო 56 ქულა მიენიჭა. ჩვენს ქვეყანაზე ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდნენ რუსეთი და ბელორუსი (54 ქულა). ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან შედარებით უკეთ გამოიყურებოდა მოლდავა და უკრაინა (62 ქულა) უფრო მეტი ქულა მიიღო ლიტვამ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა – 62. რაც შეეხება რეიტინგის ლიდერებს პირველ ადგილზეა საფრანგეთი, მას მისდევენ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, აშშ და კანადა (იხ. გაზ. „Financial" 2010 წლის 11 იანვარი, სტატია „It is Better to Live in Georgia then in Russia", international living Study.

სიღარიბის მასშტაბები სხვა ქვეყნებშიც იზრდება

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სიღარიბის გავრცელების არეალის გაზრდა მთელ მსოფლიოში შეინიშნება. უკანასკნელი მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანების რაოდენობამ უკვე 1 მლრდ-ს გადააჭარბა (1020 მლნ ადამიანი). ეს მაჩვენებელი 100 მლნ-ით აღემატება 2008 წელს არსებულ მაჩვენებელს. გამოდის, რომ მსოფლიოში ყოველი მეექვსე ადამიანი შიმშილობს (ამჟამად დედამიწაზე ცხოვრობს 6350 მლნ კაცი)[4].

მსოფლიოში დღეს მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა და გააუარესა ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობა. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო 2006-2008 წლებში სასურსათო პროდუქციაზე ფასების მკვეთრმა ზრდამ. ღარიბი ქვეყნების სამეურნეო მდგომარეობა გაართულა ასევე ამ ქვეყნებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შედინების შემცირებამ. ექსპერტების მიერ დადგენილია, რომ 2009 წელს ამ ქვეყნებში 32-35%-ით შემცირდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რამაც გამოიწვია ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობების კლება და მეორე მხრივ, ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება.

აღსანაშნავია, რომ ამ ქვეყნებში იკლო იმიგრანტების მიერ გადარიცხული თანხების მოცულობებმაც. თუ 5-6 წლის

---

[4] იხ. FAO-ს (The food and Agzicuiture Organization of the United Nation); გაზეთში The Georgian Times, 2009 წლის 06.2007, წერილში: „More People than Ever Are Victims of Hunger".

წინათ აღნიშნული შეადგენდა ამ ქვეყნებში წარმოებული მშპ-ს დაახლოებით 20%-ს, ამჟამად ეს მაჩვენებელი 6-8%-მდეა შემცირებული.

მსოფლიო კრიზისის შედეგად მკვეთრადაა ასევე შემცირებული ამ ქვეყნებისათვის საგარეო სესხების გამოყოფის მაჩვენებელი (განვითარებული ქვეყნებიდან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და ა.შ.), რამაც ასევე გამოიწვია ღარიბ ქვეყნებში ფინანსური რესურსების კლება და როგორც მისი პირდაპირი შედეგი – წარმოების დაცემა.

კრიზისის გამო განუვითარებული ქვეყნები ძველებურად ვეღარ ვაჭრობენ მსოფლიო ბაზრებზე (ძირითადად აგრარული პროდუქციით). აღნიშნული მაჩვენებელი 2008 წელს შემცირდა 5%-დან (საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით) – 9%-მდე (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეფასებით).

ამჟამად მსოფლიოში ყველაზე ღარიბი ადამიანები ძირითადად ცხოვრობენ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში – 642 მლნ (მსოფლიოში მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის 63%), აფრიკაში – 265 მლნ (მსოფლიოში მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის 26%), ლათინურ ამერიკაში და ა.შ.

გაეროს მიერ შესრულებული რეიტინგის მიხედვით, რომელიც ქვეყნებს იმის მიხედვით აჯგუფებს, თუ სად უკეთესია ცხოვრება, საქართველო 89 ადგილზე იმყოფება. ამ მხრივ გვისწრებენ სომხეთი (84 ადგილი), უკრაინა (84 ადგილი), აზერბაიჯანი (86 ადგილი), ირანი (88 ადგილი). აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნების ხუთეულში, სადაც ცხოვრების უკეთესი პირობებია მოხვდნენ: ნორვეგია, ავსტრალია, ისლანდია, კანადა და ირლანდია.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გააღრმავა უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ამ მოვლენის შედეგად აღნიშნული ორგანიზაციის გაანგარიშებით, სიღატაკეში მცხოვრებთა რაოდენობას 64 მილიონი დაემატა (სიღატაკე – როდესაც ადამიანს დღეში 1,25 დოლარზე ნაკლები

აქვს). თუმცა ღარიბებისათვის ნუგეშად შეიძლება გამოდგეს ის, რომ კრიზისის შედეგად შემცირდა სურსათსა და საწვავზე ფასების ზრდა, რომელიც 2009 წელს დიდი პრობლემა იყო. მის შედეგად დაბალშემოსავლიან ქვეყნებში საშუალო ინფლაცია დაეცა 2008 წლის შუა ხანების 15%-დან 2009 წლის ბოლოს 1,2%-მდე.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში 40 მლნ ადამიანი ცხოვრობს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ, 120 მლნ მის საზღვრებთან. 2010 წელს ღარიბთა მდგომარეობა გამოსწორების ნაცვლად გაუარესდება და მათი რიცხვით გაიზრდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა მოლდოვა, უკრაინა, ბელორუსი თუ საქართველო ღარიბთა შემოსავლების 70-80% სწორედ სურსათის შეძენაზე მოდის.

ამ ქვეყნებში სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებს მისი მოსახლეობის მიერ აღებული კრედიტები, რომლებიც ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2008 წელს კრედიტებით ყველაზე მეტად დამძიმებული იყო ესტონეთი, სადაც საოჯახო მეურნეობების 50%-ზე მეტს კრედიტი ჰქონდა აღებული. ამ მხრივ შემდგომ ადგილებზე იყვნენ ხორვატია და ლატვია (შინამეურნეობის 40%-ზე მეტს კრედიტები აქვთ აღებული, პოლონეთი 25% და ა.შ.). რა თქმა უნდა, თუ აღებულ კრედიტს ადამიანი ბიზნესში ჩადებდა და ეფექტიანად მოიხმარდა, მას შეეძლო დიდი სარგებელი მოეტანა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეკონომიკური კრიზისისა და განსაკუთრებით უმუშევრობის გამო ამ ქვეყნებში ვალებით დატვირთული ადამიანების 20%-ზე მეტი სესხს უკან ვერ დააბრუნებს.

ღარიბი ადამიანის მდგომარეობას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი უაღრესად განვითარებულ ქვეყანაშიც კი გააუარესებს. მაგ., ცნობილია, რომ იაპონია მესამე ეკონომიკაა აშშ-ს და ევროკავშირის შემდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანაში ყოველი მეექვსე ადამიანი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

„სამოთხიდან ჯოჯოხეთამდე" არც ისე შორი ყოფილა

ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, თუ საქართველოს მოქალაქეების მიერ რა ოდენობის თანხებია გატანილი „საგადასახადო სამოთხეებში" ანუ ოფშორებში, ანდა იქიდან შემოსული თანხის რა წილი ეკუთვნით ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, მაგრამ ასეთ ფინანსურ ცენტრებთან ჩვენს მოქალაქეებს კავშირი რომ აქვთ, ვფიქრობთ, ეს უდაო ფაქტია.

ვვარაუდობთ, რომ ბოლო წლებში ოფშორებიდან გადმორიცხული ფულის ნაწილი, რომელიც ქვეყანაში შემოდის პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, თუ სხვა მიზნებისათვის, სწორედ ჩვენი მოქალაქეების კუთვნილი ფული უნდა იყოს.

კერძოდ, გასულ წელს და 2009 წლის I კვარტალში საქართველოში ვირჯინიის კუნძულებიდან გადმორიცხულია 166,8 მლნ დოლარი; ამავე პერიოდში კვიპროსიდან 30 მლნ-მდე, მარშალის კუნძულებიდან – 2008 წელს გადმორიცხულია 2,7 მლნ, ხოლო სეიშელის კუნძულებიდან ამავე წელს – 4,4 მლნ დოლარი.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა, თუ მოკლე წარმოდგენას შევიქმნით იმის შესახებ, თუ სად მდებარეობენ ეს „სამოთხეები", რას წარმოადგენენ ისინი, რა გზებით და ხერხებით ახერხებენ ბიზნესმენები თუ პოლიტიკოსები იქ ფირმების დარეგისტრირებასა და ფულის გადანახვას.

ქართული მასმედიიდან ხშირად შეიტყობთ, რომ საპრივატიზაციოდ გატანილი ესა თუ ის ობიექტი შეიძინა ფირმამ, რომელიც ისეთ ქვეყნებშია რეგისტრირებული, სადაც გარკვეული შეღავათები არსებობს. ისინი შეიძლება იყოს როგორც ქართველი ბიზნესმენების მიერ დაფუძნებული, ასევე სხვა რომელიმე ქვეყნის, გამორიცხული არაა, ჩვენდამი

მტრულად განწყობილი ქვეყნის მოქალაქეების მიერ დარეგისტრირებული. ამ ადგილებს სხვაგვარად „ოფშორულ ზონებსაც" უწოდებენ. აქ დარეგისტრირებული აქვთ ფირმები როგორც ბიზნესმენებს, ასევე პოლიტიკოსებს, მსახიობებს, სპორტსმენებს და ა.შ. ოფშორული ზონები პრობლემებს მხოლოდ პატარა ქვეყნებს როდი უქმნის, ისინი სიძნელეების წინაშე აყენებენ განვითარებულ ქვეყნებსაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ 2009 წლის აპრილში 20 განვითარებული ქვეყნის ხელმძღვანელობა ამასთან დაკავშირებით შეიკრიბა და იმსჯელეს იმის შესახებ, თუ როგორ მოეხდინათ ზემოქმედება „შავ სიაში" მოხვედრილი ქვეყნებისა თუ ზონებისათვის. თუმცა ჯერჯერობით საქმე საუბარს დიდად არ გასცდენია.

„სამოთხეების" მოკლე ისტორია

საგადასასახადო სამოთხეების ისტორია შვეიცარიიდან იწყება. ამ ქვეყნის ბანკები II მსოფლიო ომამდეც სთავაზობდნენ კლიენტებს საიდუმლო საბანკო ანგარიშებს. მაგრამ, ასეთი სამოთხეების მიმართ მოთხოვნილება განსაკუთრებით ომის შემდგომ გაიზარდა. ეს განსაკუთრებით იმით იყო გამოწვეული, რომ მთელ მსოფლიოში მკვეთრად ამაღლდა საგადასახადო განაკვეთები. შეერთებულ შტატებშიც კი, რომელიც პოლიტიკური და სამეურნეო თავისუფლების აკვნადაა მიჩნეული, საშემოსავლო გადასახადი 70% იქნა მომატებული. სწორედ ამ პერიოდში უკვე არსებულ საგადასახადო სამოთხეებს – შვეიცარიისა და ლიხტენშტეინის სახით, შეემატა ახალი ზონები – კაიმანის კუნძულები, ბერმუდისა და ანტალიის კუნძულები, ბაჰამის კუნძული. ევროპაში ასეთ სამოთხეებად იქცნენ გიბრალტარი, კვიპროსი, ასევე ბრიტანეთის პატარ-პატარა კუნძულები ლა მანშის სრუტეში და ა.შ.

მაგრამ სამოთხეების ბუმი განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო. ამ ზონებით სარგებლობდნენ

კორპორაციები, საინვესტიციო ბანკები და ასევე მდიდარი ამერიკელები. გადასახადებისაგან თავის არიდება ამ პერიოდში მოდად იქცა. 90-იან წლებში კი ამ ზონებმა, საფინანსო ბაზრებთან ერთად უკვე გლობალური ხასიათი მიიღეს. ამერიკულმა კომპანიებმა თითქმის ყველა „საგადასახადო სამოთხეში" ათასობით ფირმა დაარეგისტრირეს. კერძოდ, ამერიკული General Acccounting office-ის, რომელიც ჩვენი სახელმწიფო კონტროლის შესაბამისი ორგანიზაციაა, განცხადებით, Citegroup-ს ასეთ შეღავათიან ზონებში 427 ფირმა აქვს დარეგისტრირებული, Morgan stanley-ის – 273, Bank of Amerika - 115, PersiCo – 70 და ა.შ. ამ ზონებიდან განსაკუთრებით პოპულარულია კაიმანი და ქალწულის კუნძული. ამ ზონებში „ოფისი" აქვთ თითქმის ნახევარ მილიონ ფირმას.

ცნობისათვის: კაიმანის კუნძულზე ცხოვრობს 50 ათასი, ხოლო ქალწულის – 22 ათასი ადამიანი.

ამ ბოლო წლებში „საგადასახადო სამოთხეებს" განსაკუთრებით ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან მოაწყდნენ ახალი რუსები, ახალი უკრაინელები, ახალი ქართველები და ა.შ. რუს და უკრაინელ მაფიოზებს განსაკუთრებით „ევასებათ" კვიპროსი, რომელიც ფულის გათეთრების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრად იქცა.

რა ღირს „სამოთხეში" მოხვედრა

ნებისმიერ ადამიანს ინტერნეტში დიდი წვალების გარეშე შეუძლია იპოვოს ის ადგილობრივი თუ საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმა, რომელიც დაგეხმარებათ „სამოთხეში" ფულის გადატანასა და იქ ფირმის დარეგისტრირებაში.

მთავარი „სამოთხეების" ადგილმდებარეობები: ბერმურდი, კაიმანი, გრენადა, ლიბერიის რესპუბლიკა, მავრიტანია, სეიშელის რესპუბლიკა, ანდორა, გიბრალტარი,

ჯერსის კუნძული, შვეიცარია, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, მონაკო, ბაჰრეინი, მარშალის კუნძული, სამოა, ჰონგ-კონგი, ანტიგუა და ბარბუდა, ბელიზი და სხვ.

– ოფშორში ფირმის დარეგისტრირების ღირებულებაა 650 ევროდან (სეიშელზე), 2500 ევრომდე (კვიპროსზე);

– ყოველწლიურად მოგიწევთ გადაიხადოთ 300-დან 1000 ევრომდე;

– ფირმის დირექტორის დაქირავება დაგიჯდებათ წელიწადში 400 ევრო;

– აქციონერის დაქირავება (ოფშორის ერთ-ერთი მოთხოვნაა) - 300 ევრო;

– ვირტუალური ოფისის დაფუძნება 650 ევროა წლიურად. ასეთი ოფისი წარმოადგენს მისამართს, რომელზედაც მიდის ფირმის მესაკუთრისათვის განკუთვნილი ფოსტა. ამ მისამართიდან შეიძლება ასევე კორესპონდენციის გაგზავნა. ყოველივე ეს სერიოზულ ხასიათს სძენს ფირმის საქმიანობას. ფირმაში უნდა იყოს ასევე ავტომატური ტელემოპასუხე, რომელიც მიიღებდა ფაქსსაც.

მოკლედ, ყოველივე ამისათვის ფირმის მესაკუთრეს სჭირდება რამდენიმე ათასი ევრო. ამასთან, ექსპერტების განცხადებით, ეს ხარჯები რომ აანაზღაუროს, ანუ უღირდეს ოფშორში ფირმის დარეგისტრირება, ფირმას უნდა ჰქონდეს სულ მცირე 200-300 ათასი ევროს წლიური შემოსავალი. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო სამოთხე მესაკუთრეს გადასახადების ხაზით 40-50 ათასი ევროს შეღავათს მისცემს.

„სამოთხეებთან" ბრძოლა მწვავდება

„სამოთხეების" გაკონტროლებას სერიოზულად მიჰყვეს ხელი 90-იანი წლებიდან. ბრძოლის ინიციატორებს აფიქრებდათ არა მხოლოდ ის, რომ აქ ფირმების დამფუძნებებლები თავს არიდებდნენ გადასახადების გადახდას, არამედ უფრო ის, რომ ამ ზონებში ხდებოდა კოლოსალური

მოცულობის „შავი" ფულის გათეთრება. ამ მიზნით „სამოთხეებს" მაფია მიმართავდა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), რომელშიც მსოფლიოს 30 განვითარებული ქვეყანაა გაერთიანებული, შეიმუშავა სტანდარტები, რომელთაც უნდა შეეზღუდათ ინვენსტორთა ცხოვრება „სამოთხეებში", მაგრამ, როგორც ცნობილია, მათ პირველ რიგში, დიდი სახელმწიფოები არ იცავენ.

მაგალითად, მართალია საფრანგეთმა აიძულა მონაკო, რომ ხელი შეეშალა ფრანგი მოქალაქეებისათვის ამ ქალაქ-სახელმწიფოში ფულის დაბანდებისათვის, მაგრამ სამაგიეროდ, ეს შეზღუდვები გერმანელებსა და შვედებზე არ გავრცელებულა; ბრიტანეთის მოქალაქეები, ვისაც კუნძულ ჯერსიზე აქვთ ფირმა რეგისტრირებული, მართალია გადასახადს უხდიან ბრიტანეთის ბიუჯეტს, მაგრამ, სამაგიეროდ, გადასახადს არ იხდიან ამავე კუნძულზე დარეგისტრირებული ფრანგული და გერმანული ფირმები. ფორმულა I-ის ცნობილი სპორტსმენი მიხეილ შუმახერი შვეიცარიაში საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს, სამაგიეროდ, შვეიცარიელი მილიონერები თავიანთ ფირმებს მონოკოში არეგისტრირებენ.

„სამოთხეებთან" ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტების მიერ ნიუ-იორკში. NTC შენობების დანგრევის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ ალ-ქაიდა თავის საქმიანობაში იყენებდა ოფშერულ ცენტრებს. ამერიკელებმა თხოვნითა და მუქარით აიძულეს ასეთი ცენტრები გაეხსნათ საეჭვო ანგარიშები. ლიხშტენშტეინიც კი დათანხმდა ასეთი ინფორმაცია გამოეაშკარავებინა.

„სამოთხეებს" მორიგი დარტყმა ენერგეტიკული გიგანტის ენრონის გაკოტრებამ მიაყენა. აღმოჩნდა, რომ ეს ფირმა მალავდა ხარჯებს და ხელოვნურად ბერავდა შემოსავლებს ოფშორებში დარეგისტრირებული 700-ზე მეტი ფირმის დახმარებით. ამას შედეგად ამერიკის ისტორიაში

ყველაზე დიდი სკანდალი მოჰყვა. ენრონის შეფი, კენეტ ლაი 2006 წელს დამნაშავედ ცნეს და სიცოცხლის ბოლომდე ციხეში ჯდომა მიუსაჯეს (მან ამას დიდხანს ვერ გაუძლო და გულის შეტევით გარდაიცვალა). ამის შემდეგ შტატებში ინტენსიურად იწყეს საუბარი „სამოთხეებში" წესრიგის დამყარების შესახებ.

ამერიკელებმა აიძულეს შვეიცარული ბანკი UBS გამოეაშკარავებინა იმ მილიონერთა გვარები, რომლებმაც ბიუჯეტს შემოსავლები დაუმალეს. ბანკი აიძულეს ასევე ჯარიმის სახით 780 მლნ დოლარი გადაეხადა.

ყველაზე დიდი სკანდალი გერმანიაში მოხდა 2008 წელს. გერმანიის დაზვერვამ 4,5 მლნ ევროდ შეისყიდა დისკი, მასზე ჩაწერილი 1,5 ათასი ადამიანის გვარით, რომლებიც ლიხტენშტეინის ბანკ LGT–ში შემოსავლებს მალავდნენ. მათ შორის იყო დოიჩე პოსტ ბანკის თავჯდომარეც. ამ უკანასკნელს სიკვდილამდე ციხეში ჯდომა მიესაჯა. ევროპის ქვეყნების მეთაურებმა აიძულეს ლიხტენშტეინის თავადი, ალოის ლიხტენშტეინი დაეცვა ECD-ს სტანდარტები.

ჯერჯერობით „სამოთხეებთან" ბრძოლის ავანგარდში გერმანელები არიან. ეს არცაა გასაკვირი. ამ ქვეყნიდან ყოველწლიურად გააქვთ 100 მლრდ ევროზე მეტი ბიუჯეტისათვის გადაუხდელი ფული. ლიხტენშტეინზე გამარჯვების შემდეგ გერმანიამ ახლა შვეიცარიაზე მიიტანა იერიში.

„სამოთხეების" წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურა ობამას ადმინისტრაციამ. მან უკვე გამოაქვეყნა სამოქმედო გეგმა. ამის პასუხად ბიზნესმა განაცხადა, რომ, თუ ხელისუფლების მცდელობა წარმატებით დასრულდებოდა, შტატები ვეღარ იქნებოდა კონკურენტუნარიანი. ამ ქვეყანაში ხომ ფირმების გადასახადი 35%-ს აღწევს და მაღალია, ვიდრე ევროპაში.

თუ არის იმის შესაძლებლობა, რომ უახლოეს პერიოდში დასრულდეს „სამოთხეების" ეპოქა?

ბევრი ექსპერტი ამას გამორიცხავს. ისინი აცხადებენ, რომ საგადასახადო შეღავათების ზონები ეკუთვნიან

გლობალურ თუ რეგიონალურ ხელისუფლებებს – კაიმანი და ბერმუდი დიდ ბრიტანეთზეა დამოკიდებული, ანტილის კუნძულები ჰოლანდიაზე და ა.შ. მსოფლიოში სადამდეც იქნება ფულის არალეგალური ბრუნვა, ეს ქვეყნები ვერ გაუძლებენ ცდუნებას მიიზიდონ ადვილი ფული და ინვესტიცია.

და ბოლოს, ცნობილი ადამიანები, ვინ არიან ისინი, ვინც მოხვდა „სამოთხეში", სარგებლობს მისი სიკეთით?!

მათგან უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ჩილეს ყოფილი დოქტორი აუგუსტო პინოჩეტი, რომელსაც 80-იან წლებში მილიონები ბაჰამის ბანკში გადაუნახავს. ამ საქმის სინათლეზე გამოტანიდან გენერალს ბევრი აღარ უცოცხლია.

„სამოთხეებში" აქვს ფირმები დარეგისტრირებული ცნობილ შვედ ბიზნესმენს ინგვარ კამჰტადს. იგი შვედეთიდან გაიქცა მონაკოში, სადაც გადასახადებს საერთოდ არ იხდის.

ფორმულა I-ის ცნობილ გერმანელ სპორტსმენს მიხეილ შუმახერს თავისი მილიონები შვეიცარიაში აქვს გადანახული. მას რომ თავის მონაგარი სამშობლოში დაეტოვებინა, 45%-იანი გადასახადის გადახდა მოუწევდა.

შვეიცარიაში აქვს ფული გადანახული ასევე გამოჩენილ ინგლისელ მომღერალს პილო კოლინზს, მას რომ ამ ხერხისათვის არ მიემართა, დიდ ბრიტანეთში 40%-იანი გადასახადი უნდა გადაეხადა.

გადასახადებს და პაპარაცებს გაექცნენ ბერმურდის კუნძულზე მაიკლ დუგლასი და კეთრინ ზეტა ჯოსი. აქ ისინი თავიანთ შემოსავლებზე 13,5%-ს იხდიან, მაშინ, როდესაც შტატებში 40%-ზე მეტის გადახდა მოუწევთ.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი

ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო. სრულყოფილი სადაზღვევო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის ერთ-ერთი მახასიათებელია. ამ სფეროს ნორმალური ფუნქციონირება ეკონომიკის აღორძინების, კაპიტალდაბანდებების ზრდის (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების ხარჯზე) საშუალებას იძლევა.

საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა არსებობს. სავალდებულო დაზღვევა, როგორც წესი, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, სადაც პირდაპირაა განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის ოდენობა. ნებაყოფლობითი დაზღვევის პირობებში მითითებულია სადაზღვევო ხელშეკრულებში, რომელიც ფორმდება მზღვეველსა და დაზღვეულს შორის. სადაზღვევო კომპანიების საქმიანობას არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომლის მიზნებია:

– სადაზღვევო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

– სადაზღვევო საქმიანობის კოორდინაცია;

– სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

– სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობა.

სადაზღვევო სისტემის ფორმირების საწყის ეტაპზე სადაზღვევო მომსახურების ასორტიმენტი 15 სახეობას არ აღემატებოდა. ამასთან, ადგილი ჰქონდა სადაზღვევო სისტემის

არაპროპორციულ განვითარებას, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ქვეყნის ამ ბაზრის უდიდესი ნაწილი (85%-მდე), ოთხ სადაზღვევო კომპანიაზე მოდიოდა. კერძოდ, „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა"-ზე ბაზრის – 34%, „კრწანისზე" – 22%, „ალდაგზე" – 15%, „ქართულ დაზღვევა"-ზე 13% და დანარჩენ ყველა კომპანიაზე ნაწილდებოდა ბაზრის 16%.

2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 16 სადაზღვევო კომპანია, მათ მიერ მოზიდული ჯამური სადაზღვევო პრემიის მოცულობა 119292771 ლარს შეადგენს.

2003 წელს მოქმედებდა 25 სადაზღვევო კომპანია, ხოლო 2004 წელს – 17, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარეობს სტაბილიზაციის და გამსხვილების პროცესი. კომპანიები ერთიანდებიან და დახურვის შემთხვევაშიც ისინი ვალდებულნი არიან დაზღვეულის წინაშე მანამ, სანამ პოლისებს ვადა არ გაუვა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ბოლო 3-4 წლის მანძილზე დინამიურად, 35-40%-ით იზრდება. მან 2007 წელს 119,292 მლნ ლარის სადაზღვევო პრემიის მოზიდვა მოახერხა.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დაზღვევის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანიებმა 2007 წელს 39,52 მლნ ლარის ზარალი აანაზღაურეს; 2006 წელს ამ მაჩვენებელმა 23,1 მლნ ლარი შეადგინა, ანუ 2007 წელს კომპანიებმა 71%-ით მეტი ზარალი აანაზღაურეს.

მსოფლიოში არსებული უდიდესი სადაზღვევო ორგანიზაციები – SWISS RE, MUNICHRE, LLOYOSOFLONDON და სხვა აქტიურად თანამშრომლობენ ქართულ სადაზღვევო კომპანიებთან. საქართველოში თითქმის ყველა მაღალრისკიანი სადაზღვევო პაკეტი გადაზღვევას ექვემდებარება. ეს ხდება კომპანიის გადახდისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, რადგან კანონმდებლობის თანახმად, არებული ვალდებულებების შენარჩუნების შემთხვევაში, კომპანიას უჩერდება ლიცენზია, ხოლო მისი შეჩერებიდან 3

თვის თავზე იგი ჩამოერთმევა კიდეც და კომპანია სადაზღვევო ბაზარს ეთიშება. ბაზრის განვითარებასთან ერთად მცირდება გადაზღვევის საჭიროება კომპანიების ფინანსური შესაძლებლობებისა და საწესდებო კაპიტალის მატებიდან გამომდინარე, მაგრამ გადაზღვევაზე სრული უარის თქმა დაუშვებელია.

2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველაზე მაღალი წილი – 37,35% დაზღვევის სახეებს შორის სამედიცინო დაზღვევას უჭირავს, მეორე ადგილზეა ქონების დაზღვევა – 17,05%, შემდეგ მოდის სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა – 14,36% და ა.შ.

აგრარული სექტორის დაზღვევის დროს აუცილებლად დგება გადაზღვევის საკითხი, სადაზღვევო კომპანიები კი მასზე იმ შემთხვევაში თანხმდებიან, თუ დიდია დაზღვევის ფასეულობები, როგორიცაა მევენახეობა, მეღვინეობა. რისკის ფაქტორს კი აბალანსებენ, მაგრამ რეალურად ამ დარგის დაზღვევა დაკავშირებულია საერთაშორისო ბაზარზე რისკის დაბალანსებასთან, იმასთან, თუ როგორ აიღებენ ამ რისკს თავზე სადაზღვევო კომპანიები. აგრარული სექტორი საქართველოში მაღალი რისკიანობით გამოირჩევა (გვალვა, სეტყვა და სხვ.) თუმცა მათგან დაცვის მექანიზმებიც არსებობს. ამჟამად ერთადერთი სფერო დაზღვევაში არის ნებაყოფლობითი დაზღვევა, რომელიც წმინდა ბაზრის პრინციპით მოქმედებს და ისიც სუსტად ვითარდება.

უკანასკნელ ოთხ წელიწადში ლიდერის როლს ინარჩუნებს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი" – 411843576 ლარით, რომლის მთავარი ამოცანაა საქართველოს საფინანსო ბაზარზე მაღალი სტანდარტების მქონე სადაზღვევო პროდუქტის შემოტანა და ქვეყანაში ძლიერი სადაზღვევო ინფრასტრუქტურის შექმნა. იგი ერთადერთი კომპანიაა, რომელიც სავალდებულო დაზღვევის მთელ ბაზარს აკონტროლებს. ის ასევე პირველ ადგილზეა მთლიანი ანაზღაურებული ზარალის მოცულობის მიხედვითაც.

სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების შემოსვლაც, რაც საქართველოში სადაზღვევო ბაზრის სტაბილური განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. ჩვენს ქვეყანაში არსებულ ინვესტიციებს თან ახლავს უცხოელი ინვესტორების სავსებით დასაბუთებული სადაზღვევო მოთხოვნა.

დაზღვევა არის ბიზნესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც საკმაოდ იაფი ბერკეტია მომავალში შესაძლო ზარალის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოში დაზღვევის განვითარებას და სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებას, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ბანკების მხრიდან კრედიტების გაცემის დროს გირაოს და იპოთეკის დაზღვევის მოთხოვნამაც.

სადაზღვეო ინდუსტრიის განვითარებისათვის აუცილებლად გასატარებელია ღონისძიებები, რომელთაგან აღსანიშნავია:

– მოქმედი სავალდებულო დაზღვევის ტარიფების ოდენობის გადამოწმება და მათი შემცირება;

– სადაზღვევო კომპანიების ფინანსური კაპიტალის ინვესტირებაზე გემოქმედება მისი ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით;

– სავალდებულო დაზღვევის ფონდის საქმიანობის გამოკვეთა და მისი ვალდებულებების გაცნობა საზოგადოებისათვის;

– სიცოცხლის დაზღვევის განვითარება.

უცხოური ინვესტიციები და ძირითადი ინვესტორები

საქართველოს ეროვნული მეურნეობის განვითარებისათვის უმთავრესი პრობლემა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მათი ეროვნული მეურნეობის სფეროებში გამოყენება წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის კომპლექსურ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. თუმცა საქართველო, ისევე როგორც ყველა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, მწვავედ განიცდიან უცხოური ინვესტიციების სიმცირეს. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დინამიკა 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაახლოებით 2002 წლამდე არცთუ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდამდე შეინიშნება ზრდის ტენდენცია. კერძოდ, 1995 წ. - 33,25 მლნ. აშშ. დოლარი, 1996 წ. - 68,46 მლნ. 1997 წ. - 138,6 მლნ. 1998 წ. - 288,04 მლნ. 1999 წ. - 83,65 მლნ. ხოლო 2000 წ - სულ 60,14 მლნ. აშშ. დოლარი.

2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 133,8 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, რაც 1,5-ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში უცხოურმა ინვესტიციებმა გარკვეულწილად იმატა, „ლომის წილი" მაინც ორ ძალზე სერიოზულ ინვესტიციაზე, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანსა" და სამხრეთ კავკასიის გაზსადენზე მოდის, რომელთაც ეკონომიკურე უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათი აქვთ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამების შედეგად მოხერხდა ფინანსური სტაბილიზაცია. ამან, ცხადია, გაზარდა უცხოელი ინვესტორების დაინტერესება ქვეყანაში არსებული შესაძლებლობებით, რასაც თან დაერთო ისეთი მნიშვნელოვანი, სტრატეგიული საინვესტიციო პროექტების განხორციელება, როგორებიც იყო ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალის მშენებლობა. მაგრამ მომდევნო ორი წლის განმავლობაში რთული საგარეო ეკონომიკური ფონის პირობებში განვითარებულმა საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისმა, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრმა მერყეობამ და ინფლაციური მოვლენების გაძლიერებამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების პროცესს, მეტად დაძაბა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია სახელმწიფოში. ასეთ პირობებში პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდას, ცხადია, თან მოჰყვა არსებული საინვესტიციო პირობების გაუარესება და, როგორც ამის ლოგიკური შედეგი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება.

მდგომარეობა არც 2002 წელს არ გაუმჯობესებულა. ამ წელს, საბაზრო ურთიერთობების პირობების გათვალისწინებით, ინვესტიციები საერთო დანახარჯებში იყო ყველაზე ცვალებადი კომპონენტი, რომლის გააქტიურებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეროვნული ვალუტის ინფლაცია, ქვეყანაში არსებული განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ჩამოუყალიბებელი და ცივილიზებული ქვეყნისათვის არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, ძალზე მოუწესრიგებელი საგადასახადო სისტემა და ფრიად მაღალი გადასახადები, მოსახლეობის უაღრესად დაბალი შემოსავლიანობა, ზედა და საშუალო რგოლის მენეჯერების არასაკმარისი პროფესიონალიზმი და სხვა ხელის შემშლელი

პირობების სიმრავლე. აქედან გამომდინარე, 2002 წელს საქართველოს ეკონომიკაში, მის ცალკეულ სექტორებში დაბანდდა მცირე მოცულობის უცხოური ინვესტიციები. ამ პერიოდისათვის მხოლოდ ხუთ საწარმოში მიიღეს მონაწილეობა უცხოელმა ინვესტორებმა. მათ შორის აღსანიშნავია ორი შედარებით მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხანა, რომლებშიც უცხოელებმა შეიძინეს აქციათა გარკვეული პაკეტი. ესენია: ს.ს „ხაშურის საკისრების ქარხანა" და თბილისის ტელევიზორების ქარხანა ს.ს „ეკრანი".

2004 წელს ექსპერტები საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად ასახელებდნენ ტურიზმს, ტრანსპორტს, კავების მრეწველობასა და კომუნიკაციებს. თუმცა, ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტულ ბიზნესში ჯერჯერობით ინვესტიციები ნაკლებად ხორციელდება – საერთო მოცულობის 2%-მდე ასევე საკმაოდ მცირე კაპიტალდაბანდებები იყო ტრანსპორტში 1,86%. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ პერსპექტიული დარგები საჭიროებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას, რაც, პირველყოვლისა, უნდა გამოვლინდეს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაში უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მიზნით. სახელმწიფოს როლი საინვესტიციო გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, ის იცავს უფლებებს საკუთრებაზე, ახორციელებს სამართლებრივ რეგულირებას და ბიზნეს დაბეგვრას, ქმნის ფინანსური ბაზრისა და შრომის ბაზრის ფუნქციონირების პირობებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას. სახელმწიფოს როლი ასევე მნიშვნელოვანია ისეთი საერთო პრობლემების გადაწყვეტისას, როგორიცაა კორუფცია, დამნაშავეობა, პოლიტიკური არასტაბილურობა. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება უნდა იყოს ნებისმიერი სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანა.

2006 წელს საქართველოში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების მიხედვრით, ყველაზე მაღალი ხვედრითი

წონითაა წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთი, რომლის წილიც ქვეყანაში დაბანდებულ მთელ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენდა 17,7%. ამ მხრივ მეორე ადგილი დაიკავა აშშ-მ, რომლის წილადაც მოდიოდა უცხოური ინვესტიციების 16%-ზე მეტი, მესამე ადგილზე იყო რუსეთი – 15,5%-ით და ა.შ. თუმცა ბოლო სამი წლის შემაჯამებელი მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობდა აშშ – 259612 ათ აშშ. დოლარით, მეორე ადგილზე იყო დიდი ბრიტანეთი – 145413 ათ. აშშ. დოლარით, ხოლო მესამეზე – რუსეთი 106875 ათ. აშშ. დოლარით. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში აშშ-ს ასეთი დიდი კაპიტალდაბანდება არ გაუღია არცერთი ქვეყნისათვის, გარდა ისრაელისა.

ინვესტორებიდან ასევე გამოირჩევიან ეგვიპტე და არაბთა გაერთიანებული ემირატები. ეგვიპტის ფირმამ Fresh Electric-მა ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში 115 მლნ დოლარი დააბანდა. ეს ფირმა აპირებს საქართველოში დააბანდოს თითქმის ნახევარი მლრდ დოლარი.

ცხრილი №25

საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაბანდება
(მლნ აშშ. დოლარი)

ქვეყნები	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.
აშშ.	28748	95682	81182
ავსტრია	15785	18222	22160
აზერბაიჯანი	19282	29884	69099
დიდი ბრიტანეთი	17632	37906	87875
გერმანია	4252	4171	4590

იტალია	9921	15995	30074
იაპონია	7528	8672	11416
კორეა	5238	8370	9210
ნორვეგია	3011	11333	36080
რუსეთი	7855	19856	77165
საბერძნეთი	19210	1980	2178
საფრანგეთი	6224	6324	21921
ვირჯინიის კუნძ.	5228	6265	6894
ჩინეთი	4897	6265	6894
თურქეთი	8899	17383	29907
ს უ ლ	167362	339393	497827

ცხრილიდან ჩანს, რომ 2005 წ. და 2006 წ. უცხოური ინვესტიციების გარკვეულ ზრდას ჰქონდა ადგილი, კერძოდ 2005 წ. წინა წელთან შედარებით უცხოურ ინვესტიციათა მოცულობები გაიზარდა 2-ჯერ და მეტად, ხოლო 2006 წელს 2005 წელთან შედარებით მისი ზრდა შეადგენდა 46.7%-ს, რაც შეეხება 2006 წელს 2004 წელთან შედარებით, იგი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა.

ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების უფრო მაღალი ტემპებით ზრდის შემაფერხებელ მიზეზად ექსპერტები სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის გაუარესებას ასახელებენ, ასევე იმას, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის არ არსებობს შეღავათები და სხვ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ინვესტიციების მოზიდვის დამატებით ღონისძიებად შეიძლება გამოდგეს ასევე ქვეყანაში თავისუფალი ზონების შექმნა.

საქართველოში ბოლო ხანების ერთ-ერთ სერიოზულ უცხოურ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთ კორეის სახელმწიფო Electrik Power Corp (KEPCO)-ის მიერ საქართველოს მთავრობასთან დამტკიცებული ხელშეკრულება, რომელსაც 2009 წლის 8 დეკემბერს მოეწერა ხელი. იგი რიონზე ნამახვანის (ცაგერის რაიონი) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს. ჰესი თავისი სიმძლავრის მიხედვით II იქნება ენგურის (1300 მგ. ვატი) შემდეგ, მასში დაბანდდება 1 მლრდ აშშ დოლარი.

პროექტის მიხედვით, სადგურის მშენებლობა უნდა დაიწყოს 2011 წელს და დამთავრდეს 6 წლის შემდგომ. მისი სიმძლავრე იქნება წელიწადში 450 მგ.ვატი ელექტროენერგია.

საქართველის პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა პროექტს „ისტორიული" უწოდა. ასევე აღნიშნა, რომ იგი ქვეყანაში განხორციელებულ ყველა სხვა პროექტს აღემატება, მ.შ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კანონპროექტსაც. მისი განცხადებით, ჰესის მშენებლობაზე 20000-ზე მეტი კაცი დასაქმდება (თუმცა ენერგეტიკის მინისტრის აზრით, კი იქ დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 4000 კაცი იქნება).

სამცხე-ჯავახეთში ფარავანჰესის ასაშენებლად 100 მლნ დოლარის ინვესტიციას მოეწერა ხელი თურქეთის კომპანიასთან.

სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკის ამ სფეროში ჩადებული ინვესტიციები ბევრად გაუსწრებს სხვა სფეროებში განხორციელებულ დაბანდებებს. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ როგორც სპეციალისტები ითვლიან, ქვეყანაში არსებობს 40 მლრდ კვტ/სთ პოტენციალის ელექტროენერგია. ჯერჯერობით ამ მარაგის მხოლოდ 18-20%-ის გამოყენება ხდება და ეს მაშინ, როდესაც ევროპამ თითქმის უკვე ამოწურა ამ სახის რესურსების გამოყენების პოტენციალი. მომავალში აღნიშნულის განხორციელება ალბათ არ გართულდება, რადგან უცხოელი ინვესტორები ძალიან ინტერესდებიან ამ სფეროთი.

პერსპექტივაში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებსაც ექნებათ საშუალება საგრძნობლად გაზარდონ ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელი. ამჟამად საქართველოს ერთი მკვიდრი საშუალოდ წელიწადში მოიხმარს 1500-1600 კვტ/სთ ელექტროენერგიას, მაშინ, როდესაც ევროპაში ეს მაჩვენებელი შეადგენს 8-9 ათას, ხოლო აშშ-ში 14 ათასზე მეტს.

როდესაც ქვეყანაში ელექტროენერგიის გამოყენების მაჩვენებლის ზრდაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას ამ პროდუქციაზე, მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდას (გაფხულის პერიოდში ელექტროენერგიის ექსპორტი უკვე ამჟამადაც ხორციელდება), არამედ ეკონომიკის სხვა დარგების უკეთ განვითარებასაც, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეროვნული მეურნეობა აღარ არსებობს ელექტროენერგიის გამოყენების გარეშე. კერძოდ, როგორც არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, 1 კვტ/სთ ელექტროენერგიამ ექსპორტიდან შეიძლება მოგვიტანოს 4 ცენტი, მაშინ, როდესაც ეროვნულ ეკონომიკაში გამოყენებული იგივე 1 კვტ/სთ-ს 2 ცენტის მოცემა შეუძლია.

რაც შეეხება დარგობრივ ჭრილს, უცხოური ინვესტიციები ყველაზე დიდი რაოდენობით დაბანდდა მომსახურების დარგებში და მან მთელი 86.5% შეადგინა, შემდეგ მოდის მრეწველობა და, ბოლოს, სოფლის მეურნეობა.

ცხრილი №26

უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის ცალკეული დარგებში
(ათ. აშშ დოლარი)

დ ა რ გ ე ბ ი	2004წ.	2005წ.	2006წ.
სოფლის მეურნეობა	890.2	784.4	964.8
მრეწველობა	29523.4	49204.2	66013.3
მომსახურება	136948.8	289404.4	430848.4
ს უ ლ	167362.5	339393.0	497826.5

ბოლო ხანებში ინვესტიციების განაწილებამ ეკონომიკის დარგების მიხედვით გარკვეულად შეიცვალა სახე. კერძოდ, 2009 წლის III კვარტალში შედარებით მეტი თანხები დაბანდდა მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში, მშენებლობაში და ა.შ.

ამის შედეგად ინვესტიციების დარგობრივმა ჭრილმა შემდეგი სახე მიიღო:

ცხრილი №27

უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის ცალკეული დარგების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

დ ა რ გ ე ბ ი	2009 წ. III კვარტალი
სოფლის მეურნეობა	1,8
მრეწველობა	81,0
მომსახურება	2,3
ტრანსპორტი კომუნიკაციები	64,0
მშენებლობა	57,7
უძრავი ქონება	22,2
ენერგეტიკა	5,4
ბანკები	–11,5
სულ	223,6

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში უცხოელმა ინვესტორებმა ყველაზე მცირე ინვესტიცია დააბანდეს სოფლის მეურნეობაში. ეს გასაგებიცაა, ჯერ ერთი ამ დარგში

დაბანდებული კაპიტალი გვიან იძლევა უკუგებას, და მეორეც, იგი მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით უფრო სარისკოა. აღნიშნულით იყო გამოწვეული ის, რომ ამ დარგში 2008 წელსაც მცირე ინვესტიციები იყო – 7,8 დოლარი, რაც ქვეყანაში ამ პერიოდში დაბანდებული მთელი ინვესტიციების 0,5%-ს შეადგენს, დარგში ოდნავ მეტი ინვესტიცია დაბანდდა 2009 წელს – 50 მლნ დოლარზე მეტი. საგულისხმოა ისიც, რომ როგორც ცხრილიდან ჩანს, საბანკო სექტორიდან უცხოური კაპიტალის გასვლას ჰქონდა ადგილი, თუმცა შემდეგ კვარტალში მდგომარეობა გამოსწორდა და ამ სფეროში 24,6 მლნ დოლარის ინვესტიცია დაბანდდა.

ქართულ საბანკო სექტორში განსაკუთრებით აქტიურობენ ისეთი უცხოური ინვესტორები (კერძო პირები თუ ფინანსური დაწესებულებები), როგორებიც არიან საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (Internacional Finanse Corporation - IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელთაც მკვეთრად გაზარდეს თავიანთი წილი საქართველოს ბანკებში და ასევე ფლობენ სოლიდურ წილს TBC ბანკში GP margan da DEG Ashmor-თან ერთად. ფრანგულმა სოციეტე ჟენერალემ (societe Generale) რესპუბლიკა ბანკში თავისი წილი 80%-მდე გაზარდა, ასევე რუსულმა ბანკმა VTB-მ 81%-ით თავისი წილი საქართველოში; უკრაინულმა პრივატ ბანკმა (Privat Bank) სრულიად შეისყიდა ტაოპრივატბანკის აქციები. ბრიტანული კომპანია ტრენდფორი (Trendfor) გახდა ინვესტბანკის მნიშვნელოვანი მეწილე. ეს უკანასკნელი KSN Foundattion-თან ერთად ფლობს ინვესტბანკის აქციების საკონტროლო პაკეტს.

როგორც ჩანს, უცხოელ ინვესტორთა შემოსვლა ქართულ სავანკო სექტორში კვლავაც გაგრძელდება. კერძოდ, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ჯერჯერობით ქართუ ბანკის ერთპიროვნული მესაკუთრეა, გეგმავს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მიყიდოს თავისი ბანკის აქციების 25%.

გამორიცხული არ არის, რომ 2010 წელს ქართულ საბანკო სექტორში ვიხილოთ ასევე იტალიური ბანკი intesa sanpaulo, რომელიც წილის შესყიდვის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს პროგრეს ბანკის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ კი მის მთავარ დამფუძნებელ კახა კალაძესთან. თუ ეს პროექტი განხორციელდა, ქვეყანაში შემოვა ძალზე სერიოზული ინვესტორი, ბანკი, რომელიც 10 საუკეთესო ევროპულ ბანკს შორის მოიხსენიება და რომელიც 20 მლნ-მდე კლიენტს უწევს მომსახურებას.

ტაოპრივატბანკი არის უკრაინული პრივატჯგუფის. ამ ჯგუფს, მის გარდა შეძენილი აქვს ზესტაფონის „ფერო", „ჭიათურმანგანუმი" რუსთავის ავტობაზარი და აგრეთვე 2010 წლის იანვარში გუდაურის სასტუმრო „მარკო პოლო"-ს 85% 14,5 მლნ დოლარად. ეს არის ამ წლის ყველაზე მსხვილი პრივატიზაცია.

ქვეყნის საბანკო სფერო განსაკუთრებით მიმზიდველია უცხოური კაპიტალისათვის. ეს გასაგებიცაა: უცხოელი ინვესტორები ჯერჯერობით ფრთხილობენ კაპიტალის დაბანდებას ისეთ სექტორში, რომლებიც საბოლოო ფინანსურ შედეგს შედარებით ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ იძლევიან. 2004 წელს კომერციულ ბანკებში დაბანდებულ უცხოურ კაპიტალს მთელს საბანკო კაპიტალში 30.4% ეკავა, ხოლო 2005 წელს 47.4%. ბოლო წლებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 85%-ს გადააჭარბა.

ინვესტიციების სტიმულირების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უცხოელ ინვესტორთათვის გარანტიების უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ეს გარანტიები, როგორც წესი, ასახულია რეციპიენტი ქვეყნის ნორმატიულ აქტებში. უცხოელი ინვესტორების სახელმწიფო გარანტიის სისტემის ცენტრალურ კომპონენტად შეიძლება ჩაითვალოს მათი დაცვა ქონების შესაძლო ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციისაგან. უცხოელ

ინვესტორთავის გარანტიების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მოგებისა და სხვა შემოსავლების საზღვარგარეთ შეუფერხებელი გადაგზავნა, თუმცა საგანგებო სიტუაციებში, როგორიცაა საგადამხდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ დროებით შეზღუდონ უცხოელთა შემოსავლების გადაგზავნა დონორ ქვეყნებში. ამგვარი სიტუაცია რეგულირდება უცხოური ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირების პროცესში, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა რომელიმე მასტიმულირებელ ფორმას, არამედ ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას, რომელიც მრავალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სოციოკულტურულ ფაქტორზეა დამოკიდებული.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რამაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ქვეყნის შემოსავლის ზრდა, რისთვისაც საჭიროა ქვეყანამ ინვესტიციების სფეროში გონივრული და მოზომილი პოლიტიკა განახორციელოს. უცხოური ინვესტიციების გარეშე ქვეყანა ვერ მოახერხებს ეროვნული მეურნეობის დარგების სათანადო ტემპით განვითარებას.

აგვისტოს ომმა და მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა მკვეთრად შეამცირა ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება. შედეგად, მართალია 2009 წელს ქვეყანაში დაიგეგმა 1,7 მლრდ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია (რაც გაცილებით ნაკლებია 2007 წლის ფაქტიურად დაბანდებულ ინვესტიციებზე – 2,1 მლრდ დოლარი. ამ წელს

ინვესტიციები შეადგენდა მშპ-ს 17%-ზე მეტს.), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მაჩვენებელიც არ შესრულდება და მთავრობამ შესაძლო ინვესტიციები 1,1 მლრდ-მდე გაითვალისწინა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავს სიტუაციას ჰქონდა ადგილი გასულ 2008 წელსაც, როდესაც მთავრობის მიერ დაგეგმილი იყო 2 მლრდ-მდე უცხოური ინვესტიცია, მაგრამ, ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო იგი მილიარდნახევრამდე დაეცა, ანუ თითქმის 25%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით.

2009 წლის I კვარტალში შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 124,7 მლნ დოლარი, ნაცვლად 537,6 მლნ-სა 2008 წელს, ანუ შემცირებულია 4-ჯერ და მეტად.

სსფ-ს პროგნოზით, 2010 წელს საქართველოში შემოვა 1,2 მლრდ დოლარის მოცულობის ინვესტიცია. ქვეყნის პრეზიდენტი მ. სააკაშვილი აცხადებს, რომ ეს ციფრი 2 მლრდ მიაღწევს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ჩვენს ქვეყანაში ერთი სამუშაო ადგილის შექმნას დაახლოებით 30 ათასი დოლარის დაბანდება სჭირდება. თუ ზემოთ მოტანილი პროგნოზები გამართლდა, მოსალოდნელია, რომ 2010 წელს ქვეყანაში 40 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, დიდად იქნება დამოკიდებული იმაზეც, თუ რომელი დარგებისაკენ წავა ეს ინვესტიციები.

ამ მცირე ხნის წინ საქართველოში გამომავალი გაზეთის „FINANCIAL"-ს ინტერვიუებში ცნობილმა ქართველმა ექსპერტებმა ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლის შემაფერხებელ გარემოებად პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა და ასევე კანონების ხშირი ცვლილებები დაასახელეს. გარდა ამისა, შეიძლება მოვიტანოთ სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც უცხოელი თავს შეიკავებდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალის დაბანდებისაგან. ასეთებს მიეკუთვნება მაგალითად, საგარეო ვალის სწრაფი ზრდა, ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა და ა.შ. ასევე შეიძლება

დასახელდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული კადრების სიმცირე და სხვ.

ცხადია, ის გარემოება, რომ ბიზნესის წამოწყების სიადვილის მიხედვით საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (სსფ) და მსოფლიო ბანკის (მბ) მიერ ჩატარებული რეიტინგების მიხედვით საქართველომ დაიკავა 11 ადგილი, კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ჩვენს ქვეყანას, როგორც უცხოელი კაპიტალისტებისათვის, ისე ადგილობრივი მეწარმეებისათვის.

მაგალითად, თუ 2005 წელს ქვეყანაში ბიზნესის წამოსაწყებად (ანუ მის დასარეგისტრირებლად) საჭირო იყო საშუალოდ 21 დღე და ამისათვის აუცილებელი საბუთების გასაფორმებლად ადამიანს უნდა დაეხარჯა საშუალოდ წლიური შემოსავლის 47%, ამჟამად ბიზნესის წამოსაწყებად საჭიროა 3 დღე, ხოლო ამისათვის აუცილებელი ხარჯი შეადგენს საშუალო წლიური შემოსავლის 3,7%-ს. ამჟამად ექსპორტის განსახორციელებლად საჭიროა 10 დღე, ნაცვლად ადრინდელი 44 დღისა, ხოლო იმპორტისათვის 13 დღე, ნაცვლად უწინდელი 39 დღისა.

საქართველოს სტრატეგიული პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანასა და მის ირგვლივ პოლიტიკური სტაბილურობის შემთხვევაში, იძლევა იმის საშუალებას, რომ აქ დიდი მოცულობის უცხოური ინვესტიციები იყოს მოზიდული. გარკვეული მასშტაბით ეს ხორციელდება კიდეც. მაგალითად, ბოლო წლებში მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობაში 1 მლრდ დოლარზე მეტი ჩაიდო.

ეროვნული მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგიც არანაკლებ მომზადებულია უცხოელი ინვესტორებისათვის.

ხელისუფლებამ გაყიდა ფოთის აეროპორტის მმართველობის უფლება. იგი 1 მლრდ აშშ დოლარად არაბეთის გაერთიანებული ემირატების ინვესტორებმა შეიძინეს.

კერძოდ კი, Ras Al Khaimau Investment Authority Georgia -მ (Rakeen) აეროპორტის აქციების 98,2% შეიძინა. როგორც ცნობილია, ეს კომპანია ფლობს ასევე ფოთის პორტის მართვის უფლებასაც 49 წლის განმავლობაში და აქ იგი აშენებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას.

რაც შეეხება ქვეყნებს, ბოლო ოთხ წელიწადში საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია განახორციელა გაერთიანებულმა სამეფომ – 626,1 მლნ; მას მისდევენ შეერთებული შტატები და ნიდერლანდები. – 493 მლნ და 437 მლნ დოლარი შესაბამისად.

მსოფლიო ბანკის განცხადებით, 2009 წელს მთელ მსოფლიოში ინვესტიციის მოცულობები დაეცა 10%-ით, 2010 წელს გაიზრდება 5%-ით.

საქართველოში შემოსვლის შემდეგ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 663 მლნ დოლარზე მეტი დააბანდა და ეს კაპიტალი ჩადო 120-ზე მეტი პროექტის განხორციელებაში საფინანსო, ენერგეტიკულ, ინფრასტრუქტურულ და სხვა სფეროებში.

ა. გზები და ნავთობსადენები

ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის მთლიანი სიგრძე 1768 კმ შეადგენს, საიდანაც 249 კმ ანუ 14%–ზე მეტი საქართველოზე მოდის. ამ გაბსადენის მშენებლობა 2006 წელს დასრულდა და მისი მშენებლობის მთლიანმა ღირებულებამ 3,9 მლრდ შეადგინა. მილსადენი ეკუთვნის: ბრიტიშ პეტროლიუმს (30,1%), აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (25%), შევრონს (8,9%), სტატოილჰიდროს (8,71%), თურქეთის petrolium anonim ortakdiks (6,53%), eni_agifs (5%), totalos (5%), itorus (3,4%), იმპექსს (2,5%), კონოკოფილიპს (2,5%) და ჰესკორპორაციას (2,36%).

მეორე სტრატეგიული ენერგო (გაზის) გამტარია ბაქო–თბილისი–ერზრუმი, რომელსაც მეორენაირად სამხრეთ

კავკასიის მილსადენს უწოდებენ. ამ გაზსადენის საერთო სიგრძეა 692 კმ, საიდანაც 248 კმ საქართველოზე გადის. ამ გაზსადენის აქციების 25,5% ეკუთვნის ბრიტიშ პეტროლიუმს და ამდენივე სტატოილჰიდროს.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს მნიშვნელობა, როგორც გაზის გამტარი ქვეყნისა, კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 2009 წლის 2 ოქტომბერს ბაქოში ყაზახეთის ყაზმუნაი გაზის სახელმწიფო კომპანიასა და აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (SOCAR) შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ყაზახეთი აზერბაიჯანს მიაწვდის გაზს, ნავთობს და ასევე დაეხმარება ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. ცხადია, ამ ღირებულებების გატარების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც კიდევ ეფექტური გახდება.

საბღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდება ნაბუკოს (NABUCO) მწყობრში ჩადგომის შემდეგ. როგორც ამ პროექტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა რიჩარდ მიცჰეკმა ამასწინათ (2009 წლის ოქტომბრის დასაწყისში) გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ პროექტის მშენებლობა დაიწყება 1010 წელს და დასრულდება 1015 წლისათვის. ექსპლუატაციაში შესვლის პირველსავე წელს მილსადენში გაივლის 8 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი ერაყის ქურთისტანიდან და აზერბაიჯანიდან.

საქართველოზე გადის ასევე ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, რომლის სიგრძე 830 კმ. ეს ნავთობსადენი ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში არსებობდა, მაგრამ იგი გარემონტდა 1998 წელს. მისი სარემონტო სამუშაოები დაჯდა 53 მლ დოლარი.

ბ. საზღვაო ტრანსპორტი

არაბეთის გაერთიანებული საამიროების კორპორაცია *GRAK* ინვესმენტმა ფოთის პორტის აქციების 51% შეიძინა. ესაა საქართველოს უდიდესი პორტი, რომელმაც მხოლოდ 2007 წელს გაატარა 7,7 მლნ ტონაზე მეტი ნედლი ნავთობი. იგივე კორპორაცია ფლობს ყაზმუნაიგაზის აქციებსაც, სადაც მან 80 მლნ-ზე მეტი დააბანდა.

რაც შეეხება ბათუმის პორტს, მასში უმთავრესი წილი აქვთ ყაზახეთის ნავთობსა და გაზის კომპანია გრინოაქ (Greenoak) ჰოლდინგს, რომლებმაც ეს პორტი სახელმწიფოსგან 1999 წელს შეისყიდეს.

გ. ტელეკომუნიკაციები

ქვეყნის სატელეკონუნიკაციო ბაზარზე აქტიურად მოქმედებს ტელეასონერა (Teleasonera), რომელმაც ამ ბოლო ხანებში თავისი წილი ჯეოსელში 83%-დან 98%-მდე გაზარდა. ეს შესყიდვა განხორციელდა კონცერნ ფინტურის (Fintur) საშუალებით, რომლის აქციების 74% ტელიასონერა ფლობს.

ამ სფეროში 33 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადებული აქვს ერთ-ერთ ლიდერ რუსულ კომპანია ვილპელკომს. იგი ფლობს ქართული მობიტელის (Mobitel) ნაწილს, რის საფასურადაც მან 2006 წელს გადაიხადა 12,6 მლნ დოლარი. დღემდე ვილპელკომს საქართველოში დაბანდებული აქვს 78 მლნ-მდე დოლარი და ემსახურება 60,0 ათასზე მეტ აბონემენტს.

რაც შეეხება გაერთიანებულ ტელეკომს, ქვეყნის ყველაზე დიდ სატელეკომუნიკაციო მომსახურების კომპანიას, მისი პრივატიზაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2006 წელს მოახდინა. იგი

შეისყიდა ყაზახურმა კომპანიამ, Central Asia Logistics-მა, რომელმაც აუქციონზე მასში 90 მლნ დოლარი გადაიხადა.

დ. ფინანსური მომსახურება

2006 წელს ფრანგულმა ფინანსურმა ჯგუფმა Societe Generale-მ შეიძინა ქართული ბანკის, ბანკი რესპუბლიკა-ს აქციების საკონტროლო პაკეტი, ანუ ბანკის მთელი აქციების 60%. შედეგად ბანკის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 68 მლნ დოლარამდე, ხოლო მისი აქტივების ღირებულებამ 416 მლნ დოლარს გადააჭარბა.

2007 წელს SBC-მ შეიძინა ქართულ ბაზარზე საქმიანობის ლიცენზია. ამჟამად მისი აქტივების ღირებულება შეადგენს 32 მლნ დოლარს, ხოლო სააქციო კაპიტალი 11 მლნ დოლარს. საქართველოს საფინანსო ბაზარზე შემოვიდა ასევე VTB, ერთ-ერთი უდიდესი ბანკი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ). მან შეიძინა საქართველოში სიდიდით მესამე ბანკის – გაერთიანებული ქართული ბანკის აქციების 51%.

ამჟამად ამ ბანკს უკავია მესამე ადგილი ქვეყანაში საბანკო აქტივების მაჩვენებლის მიხედვით, რომლის მოცულობაც შეადგენს 272 მლნ დოლარს. სხვა ორ უდიდეს ბანკს დსთ-დან, Privatbank-სა და Kazakh BTA ბანკს შეძენილი აქვს საკონტროლო პაკეტები ქართულ ბანკებში – ტაოპრივატბანკსა და BTA bank საქართველოში. 2007 წელს ეროვნული ბანკიდან ლიცენზია აიღო და ქართულ საბანკო ბაზარზე შემოვიდა კიდევ ერთი ყაზახური ბანკი, ხალიკბანკი.

საკონტროლო პაკეტი არა აქვს, მაგრამ ქართულ ბაზარზე საქმიანობენ შემდეგი ევროპული ბანკები – კომერცბანკი (Comerrbank), KBW, ავსტრიის ბანკი (Bank Austria) და ა.შ. ყოველივე ამის შედეგად, 2009 წლის III კვარტლის შედეგების მიხედვით, საქართველოს ბანკების საწესდებო კაპიტალის 82%-ზე მეტს უკვე უცხოურ კაპიტალს

წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი კაპიტალი შეადგენს 957 მილიონ დოლარს, რომელშიც უცხოური კაპიტალის წილია 791 მილიონი.

ჯერჯერობით მხოლოდ ორი ბანკია საქართველოში წმინდად ქართული – ქართუ (ბიძინა ივანიშვილის) და პროგრესი (კახა კალაძის).

კარგია თუ არა ეროვნული ეკონომიკის და საერთოდ, ეროვნული სახელმწიფოსათვის უცხოელ კაპიტალისტთა ასეთი აქტიური მონაწილეობა საბანკო სექტორში, მაშინ, როდესაც სხვა სფეროებში მათი მონაწილეობა შედარებით მოკრძალებულია. პასუხად შეგვიძლია შემდეგი განვაცხადოთ:

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა უცხოური კაპიტალი ასე უხვად ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებშიც რომ შემოდიოდეს. მაგრამ უცხოელი ინვესტორები თავს იკავებენ კაპიტალის ისეთ სფეროებში ჩადებისაგან, საიდანაც მოგების ამოღებას შედარებით დიდი დრო დასჭირდებოდა (მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში და ა.შ). ისინი ამჯობინებენ ფინანსები დააბანდონ იქ და იმდენი ხნით, სადაც კაპიტალის დაბანდება გაცილებით ნაკლებრისკიანი იქნებოდა და საიდანაც მცირე პოლიტიკური თუ სხვა სახის დესტაბილიცაციის დროს შესაძლებლობა ექნებოდათ კაპიტალი უმალ გაეტანათ უკან. ასეთ სფეროებს კი ჩვენ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით საბანკო სფერო წარმოადგენს.

ახლა ისმის კითხვა:

რამდენად სასარგებლოა ქვეყნისათვის საბანკო სფეროს თითქმის მთლიანად უცხოელთათვის გადაცემა?

როგორც მედალს აქვს ორი მხარე, ასევე ორმხრივად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ეს პრობლემაც.

კერძოდ, ქვეყანაში, რომელსაც არ გააჩნია დიდი მოცულობის ფინანსური სახსრები, შედარებით დაბალ დონეზეა ქართველ ბანკირთა დონე, ტექნოლოგიები და სხვ. ამ მხრივ ცხადია, ასეთი კაპიტალი ქვეყნისათვის სასარგებლოა.

მაგრამ ამასთან, სახელმწიფომ კონტროლი უნდა გაუწიოს იმას, რომ ქვეყანაში არ მოხდეს რომელიმე ერთი ქვეყნის კაპიტალის კონცენტრაცია, მით უმეტეს, თუ ეს ქვეყანა ჩვენდამი მტრულად განწყობილია.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ინიციატივის თანახმად, თუკი მას პარლამენტი დაამტკიცებს, სახელმწიფოს აეკრძალება ბანკების კაპიტალში წილის ქონა.

საბანკო სექტორის გარდა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შემოსულია ასევე ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე. კერძოდ, Vienna Insurance Group-ს აქვს I ჰოლდინგის, ქვეყნის სიდიდით მეორე სადაზღვევო კომპანიის აქციების 50%, ხოლო 90% სადაზღვევო კომპანია ირაოში (თავისი სიდიდით მესამე სადაზღვევო კომპანიაში). ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე საქმიანობს ასევე ევროპული სადაზღვევო კომპანია AIG Europe.

ე. ენერგეტიკა

ყაზახურმა ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანიამ შეიძინა გაზის გამანაწილებელი კომპანია – თბილგაზი. ეს უკანასკნელი დედაქალაქის მოსახლეობას ამარაგებს გაზით. მასში ყაზახურმა კომპანიამ გადაიხადა 12,5 მლნ დოლარი და გეგმავს საქართველოში დააბანდოს 100 მლნ დოლარზე მეტი.

აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიამ, – SOCAR-მა, რომელიც ფლობს ყულევის ტერმინალს შავ ზღვაზე, უკვე დააბანდა 380 მლნ დოლარზე მეტი ამ ტერმინალის რეკონსტრუქციაში. სოკარი გეგმავს ასევე 100 მლნ დოლარზე მეტის დაბანდებას ნავთობის საცავის მშენებლობაში და ასევე 15 გაზის გასამართი სადგურის მოწყობაში.

გერმანულმა კონცერნმა ჰეიდელბერგცემენტმა შეიძინა ქართული ცემენტის აქციების 51%, რის შედეგადაც იგი გახდა პირველი გერმანული ცემენტის მწარმოებელი ქარხანა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონში. ამავე კომპანიას აქვს ასევე აქციების 75% სხვა ქართული ცემენტის მწარმოებელი ქარხნისა – საქცემენტის. კომპანიას საქართველოში უკვე დაბანდებული აქვს 150 მლნ ევროზე მეტი და გეგმავს უახლოეს პერიოდში კიდევ დააბანდოს 40 მლნ ევრომდე.

ლუდის მწარმოებელმა EFES Breweries Iuternational-მა შეიძინა ლუდსახდელი ნატახტარის, ჩვენი ქვეყნის ამ ტიპის ყველაზე დიდი ქარხნის, აქციების 100%. შედეგად, FES აკონტროლებს საქართველოს ლუდის ბაზრის 40%-ზე მეტს. თურქეთის მინის მწარმოებელმა კონცერმა 1997 წელს შეიძინა საქართველოს JSC მინის აქციების 81%. განვლილ 12 წელიწადში ამ თურქულმა კომპანიამ საქართველოში დააბანდა 40 მლნ დოლარზე მეტი. 2007 წელს აღნიშნულმა ქარხანამ აწარმოა 223 მლნ ბოთლზე მეტი, რის შედეგადაც ამჟამად ფლობს ადგილობრივი მინის ბოთლის ბაზრის 60%-ზე მეტს.

იტალიის საკონდიტრო კონცერმა ფერერომ დასავლეთ საქართველოში შეიძინა 1,235 ჰა მიწა, სადაც იგი თხილის მოშენაბასა და წარმოებას აპირებს. კომპანიამ 2008 წელს ქვეყანაში დააბანდა 20 მლნ ევრო და ააშენა თხილის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელსაც შეუძლია წელიწადში 4000 ტონა თხილის გადამუშავება. ყოველივე ამის შედეგად საქართველო შეძლებს დაიკავოს თხილის მსოფლიო ბაზრის 10%, ნაცვლად ამჟამინდელი 5-7%-ისა.

2006 წელს საქართველოს სამშენებლო ბაზარზე შემოვიდა რაკიინი (Rakeen) – არაბთა გაერთიანებული ემირატების დეველოპერული კომპანია. მან განაცხადა თავისი ამბიციური გეგმების შესახებ – აეშენებინა მაღალი კლასის სავაჭრო ობიექტები, ბიზნეს–ცენტრები და საოფისე შენობები. უკვე განხორციელებულ პროექტებში მას დაბანდებული აქვს 170 მლნ დოლარი.

ეს არის იმ თანხის ნაწილი, რომლის დაბანდებაც ამ კომპანიას განზრახული აქვს საქართველოში უახლოეს ხუთ წელიწადში და რომელიც შეადგენს 1,5 - 2,0 მლრდ დოლარს. საქართველოში საქმიანობს ასევე GRDC, მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი მსხვილი დეველოპერული კომპანია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მსხვილი სამშენებლო კომპანიების განხორციელებას შეუდგა. კერძოდ, მან თბილისის სარკინიგზო სადგურის რეკონსტრუქციაში ჩადო 105 მლნ დოლარი. ეს კომპანია აშენებს ასევე საოფისე, სავაჭრო ფართებს და ა.შ.

დასაფიქრებელია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიწყებს შემოსვლას ის თანხები, რომელიც საქართველოს ფინანსური მხარდაჭერის მიზნით უკვე გამოყვეს განვითარებულმა ქვეყნებმა (4,55 მლრდ დოლარი), უცხოური კერძო ინვესტორები კიდევ უფრო გაბედულად შემოვლენ ჩვენს ქვეყანაში და შედეგად გაცილებით გაიზრდება იმ სამეურნეო ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ბაზარზე იქმნება.

რაც შეეხება ქართული კაპიტალის დაბანდებას საზღვარგარეთ, ჯერჯერობით თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველ ექსპორტიორებს, მხოლოდ ორად-ორი ქართული კომპანიაა, რომელიც საზღვარგარეთ ბიზნესს ახორციელებს მოგების მიღების მიზნით. კერძოდ, საქართველოს ბანკი და TBC ბანკი. ამჟამად საქართველოს ბანკი ოპერაციებს ახორციელებს უკრაინასა და ბელორუსში,

როგორც მისი მმართველი ირაკლი გილაური აცხადებს, როდესაც ბანკის ხელმძღვანელობა საბოლოოდ დარწმუნდება უცხოეთში საქმიანობის სარგებლობაში, ისინი სხვა ქვეყნებშიც აიღებენ ლიცენზიას საბანკო ოპერაციებისათვის (იხ. „FINANCIAL" 2009 წლის 21 დეკემბერი).

რაც შეეხება TBC ბანკს, მას თავისი ფილიალი აქვს აზერბაიჯანში. ამჟამად ბანკის ხელმძღვანელობა გეგმავს საქმიანობის დაწყებას ბელორუსსა და უკრაინაშიც. ბანკი აქამდეც ცდილობდა ამ ქვეყნების ბაზრებზე შესვლას, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ შედგა. მისი გენერალური დირექტორის ირაკლი ბუცხრიკიძის განცხადებით, ეს კარგიცაა (როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო), რომ წინა წლებში აღნიშნული ვერ მოხერხდა, ვინაიდან, გლობალურ ეკონომიკაში ჩართულმა ბელორუსმა და უკრაინამაც, განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა, დიდი დარტყმა იგემეს მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო და თუ ბანკს იქ თავისი ფილიალები ექნებოდა, ცხადია, ზარალს ისიც ვერ ასცდებოდა.

თ. ტურიზმი და სასტუმროები

ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმი და სასტუმროების ბიზნესი უნდა იქცეს. შესაბამისად, ამ დარგის როლიც როგორც მშპ-ს შექმნაში, ისე მოსახლეობის დასაქმებაში, გაიზრდება.

2007 წელს საქართველოში 340 სასტუმრო იყო 495 ათასი მეტრ კვ. საერთო ფართობით. ამ სასტუმროების 90%-ზე მეტი კერძო საკუთრებაშია.

ბოლო წლებში მკვეთრადაა გაზრდილი როგორც სასტუმროების რიცხვი, ისე მათში მიღებული სტუმრების რაოდენობა.

კერძოდ, თუ 2003 წელს ქვეყანაში იყო 226 სასტუმრო, 2007 წელს მათმა რიცხვმა 340 გადააჭარბა. კიდევ უფრო

მაღალი ტემპებით იზრდებოდა მათში მიღებული სტუმრების რაოდენობა. კერძოდ, თუ 2003 წელს ქვეყნის სასტუმროებს სტუმრობდა 82,6 ათასი კაცი, 2007 წელს მათმა რიცხვმა 282 ათასს გადააჭარბა. ცხადია, შესაბამისად იზრდებოდა სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობაც. კერძოდ, თუ 2003 წელს სასტუმროებში მსახურობდა 2647 ადამიანი, 2004 წელს მათმა რიცხვა 4000 შეადგინა.

ქვეყნის კუთხეების მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტს ყველაზე მეტი შემოსავალი აქვს თბილისის სასტუმროებიდან – 53,6 მლნ ლარი, ანუ 78 %, აჭარის სასტუმროედან – 6,2 მლნ ლარი, ანუ 9%, სამცხე-ჯავახეთის სასტუმროებიდან 3 მლნ ლარი, ანუ 4 პროცენტზე მეტი, და მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან 2,3 მლნ ლარი, ანუ 3%ზე მეტი.

2007 წელს საქართველოში ყველაზე მეტი სტუმარი ჩამოვიდა ევროპის ქვეყნებიდან – 48,6 ათასი კაცი (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ნიდერლანდები, რუსეთი, უკრაინა, საფრანგეთი და ა. შ.), აზიის ქვეყნებიდან – 40,3 ათასი კაცი (თურქეთი, ისრაელი, სომხეთი, ყაზახეთი და ა. შ.) და ამერიკის ქვეყნებიდან 13,3 ათასი კაცი (აშშ, კანადა, ურუგვა და ა. შ.)

საქართველოს სასტუმროებს ხალხი ძირითადად სტუმრობს რეკრეაციისა და დასვენებისათვის, საქმიანი და პროფესიული მიზნებისათვის, სამკურნალოდ და ა. შ.

როგორც ისრაელი-საქართველოს ბიზნესპალატის პრეზიდენტი იციკ მოშე აცხადებს, 2-3 წლიან პერსპექტივაში საქართველოში სასტუმროების დეფიცი წარმოიქმნება. მისი თქმით, საქართველოში 2012 წლისათვის 2 მილიონი ტურისტის ჩამოსვლაა მოსალოდნელი. ამ რაოდენობას საშუალოდ, სასტუმროს 200 ათასი ნომერი სჭირდება. ეს ნიშნავს, რომ სასტუმროების მშენებლობა თუ არ გაგრძელდა, 2-3 წელიწადში მისი დეფიციტი შეიქმნება.

ცნობისათვის: აშშ (მოსახლეობა 300 მილიონზე მეტი) 4,9 მლნ სასტუმროს ნომერია; ევროპაში (მოსახლეობა 739 მლნ) - 5,3 მლნ; ჩინეთში (1,3 მილიარდი კაცი) – 1,3 მილიონი,

ინდოეთში (მოსახლეობა 1,11 მლრდ) – დაახლოებით 120 ათასი. საქართველოში (4,6 მლნ მოსახლე) დაახლოებით 10 სასტუმროს ნომერია.

უცხოელი ინვესტორებისათვის ქვეყნის ერთ-ერთ მიმზიდველ სფეროს სასტუმროების ბიზნესი წარმოადგენს. აქედან შემოდის კიდეც სერიოზული ინვესტიციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასტუმრო „პარკ ჰიატის," „ინტერკონტინენტალის," სასტუმრო „აჭარის", „იმელი" (ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი) და ა.შ შენობების სასტუმროებად გადაკეთების პროექტები.

„პარკ ჰიატის" სასტუმროს პროექტის განხორციელებაში სერიოზულ თანხებს დებს აშშ-ს კერძო საინვესტიციო კომპანია „ოპიკ" (OPEC-ში არ აგვერიოს), სასტუმროს მესაკუთრე იქნება „ლოიალ ესტეითი", სხვათა შორის, ამ პროექტის დაფინანსებისაგან უფრო ადრე თავი შეიკავა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა. სასტუმროს მშენებლობაში 100 მლნ აშშ დოლარის ჩადებაა გათვალისწინებული (ადრე ვარაუდობდნენ 250 მლნ-ს დაბანდებას, მაგრამ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ინვესტორებს თავდაპირველ განზრახვაზე ხელი ააღებინა). ამჟამინდელი პროექტით სასტუმრო 11 სართულიანია და 100-მდე ოთახი ექნება.

ქვეყნის სასტუმროების ბიზნესში მეორე ძვირადღირებულ პროექტს წარმოადგენს 5 სართულიანი სასტუმროს მშენებლობა ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობის ბაზაზე. მისი სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2008 წელს, თუმცა იმ მიზეზებმა, რომელთაც შეაფერხეს სასტუმრო „ჰიატის" თავდაპირველი პროექტით მშენებლობა, შეანელეს ასევე ამ სასტუმროს მშენებლობის პროცესიც. აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 70 მლნ დოლარის დაბანდება. სასტუმროს პროექტის ავტორია ცნობილი ფრანგი

არქიტექტორი ანტონი ბესხი. იგი 2 წელიწადში ჩადგება მწყობრში, ექნება 180 ოთახი, საერთო ფართობით 1500 კვ.მ-ი.

შედარებით ადრე, ანუ 2010 წელს მწყობრში ჩადგება სასტუმრო „აჭარა", მისი რეკონსტრუქციის სამუშაოები მთლიანობაში 25 მლნ დოლარი დაჯდება. მასში სტუმრებისათვის იქნება 316 ოთახი.

თბილისში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა სასტუმრო „კემპინსკის" მშენებლობა (ყოფილი იმელის შენობაში). ამ სერიოზული პროექტის განხორციელება რამდენიმე მიზეზით გაჭიანურდა:

პირველი ის იყო, რომ გართულდა ამ შენობაში მოსახლე ოჯახების სხვაგან დაბინავება.

მეორე – აღნიშნული შენობის ნაწილი სერიოზულად იყო დაზიანებული და ახლიდან აშენება მოითხოვა.

პროექტის სწრაფად შესრულების შემაფერხებელი გახდა ისიც, რომ შენობა ისტორიულია და მისი დანგრევა და მის ადგილზე ახალი შენობის აშენება რთული გადასაწყვეტი იყო. ახლა მიღწეულია შეთანხმება და „იმელის" ადგილზე ახალი სასტუმრო წამოიმართება. მას შეუნარჩუნდება უწინდელი ფასადის ზოგიერთი ნაწილი. მისი მშენებლობა 120 მლნ აშშ დოლარი დაჯდება და 2012 წელს გაიხსნება.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა, რომელიც გადასახადების, ბიუჯეტის დეფიციტის და საგარეო ვალების შემცირებას ითვალისწინებს, მიმართულია ასევე უცხოური ინვესტიციების გაზრდისაკენ.

ცხადია, რაც უფრო დაბალია გადასახადები და ქვეყანა ნაკლებად დამძიმებულია დეფიციტით და საგარეო ვალებით, მით უფრო მომხიბლავია უცხოელი ფინანსისტებისა და ბიზნესმენებისათვის. შესაბამისად, უცხოელი ინვესტორები მოწონებით შეხვდნენ ამ იდეას. თუმცა ინვესტორთა ნაწილი სკეპტიკურად უყურებს ამას. მაგალითად, ამერიკელი სტივენ ჯონსონი სასტუმრო „ბეტსის" და წივნების მაღაზია „პროსპეროს" მესაკუთრე, აცხადებს „საქართველოს

მთავრობა დაინტერესებულია უცხოური ინვესტიციებით, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, მე არ მეგულება ბევრი ამერიკელი, რომელიც აქ ჩამოვიდოდა და ბიზნესს მოჰკიდებდა ხელს თქვენ თუ საქართველოში საქმიანობის დაწყება გინდათ, იქ უნდა ცხოვრობდეთ, თავად უნდა იღებდეთ მონაწილეობას საკუთარი ბიზნესის წარმართვაში, აკონტროლებდეთ მას ასეთი ბიზნესმენი კი ჩემი აზრით, ბევრი როდია" (ჟურნ. Lnvestor.ge", 2009 წლის დეკემბერი).

როდესაც უცხოელ ინვესტორებზე ვსაუბრობთ, არც ქართველები უნდა დაგვავიწყდეს. ჯერჯერობით კი, როგორც ამბობენ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. ის ფაქტი, რომ გავრცელებული ხმების თანახმად (იხ. რევაზ საყვარიშვილის წერილი „Skepticism over PM's Claims of Economic Grouth" გაზ. „Georgia Business Week, 2010 წლის 22 თებერვალი) ყოფილმა პრემიერმინისტრმა ლადო გურგენიძემ რუანდაში გაიტანა თავისი კაპიტალი და კიგალიბანკში დააბანდა, ასევე კომპანია „ყაზბეგის" პრეზიდენტი გოგი თოფაძეც აპირებს კაპიტალი ერაყის ქურთისტანში, ქალაქ ერბილში დააბანდოს და იქ ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხანა გახსნას, ნამდვილად სასარგებლო არაა ქართული ეკონომიკისათვის.

ბოლო ხანებში მსოფლიო კრიზისის შედეგად საქართველოში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, მცირდება, კერძოდ, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2009 წელს ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში შემცირდა 4%-ით და 880 მლნ ადამიანი შეადგინა. 2009 წლის IV კვარტალში ამ სფეროში მოხდა გარდატეხა და ამჟამად ტურისტთა რაოდენობა კვლავ მატულობს. 2010 წელს ამავე ორგანიზაციის პროგნოზით ტურისტთა რაოდენობა 3,4%-ით უნდა გაიზარდოს.

2009 წელს ტურისტთა რაოდენობა მსოფლიო კრიზისთან ერთად, შემცირდა ასევე A/H1N1 გრიპის გამო.

რუსეთი და საქართველო

საქართველოსათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანსა და მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს მისი ურთიერთობა დსთ-სა (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) და რუსეთთან.

როგორც ცნობილია, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა, გარდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისა და საქართველოსი, შექმნეს დსთ. შემდეგ წლებში უკრაინა და საქართველო ამ გაერთიანებას გამოეყვნენ, და მასში ახლა დანარჩენი ათი ქვეყანაა. თავდაპირველად გაერთიანებაზე საქართველომ უარი განაცხადა, მაგრამ შემდგომ პერიოდში, იმ იმედით, რომ ამ კავშირში გაწევრიანება ჩვენს ქვეყანას დაეხმარებოდა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში (კერძოდ, აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაბრუნებაში), 1993 წელს იგი ამ კავშირში გაწევრიანდა.

მას შემდეგ განვლილ პერიოდში საქართველომ ხელი მოაწერა დსთ-ს მასშტაბით რამდენიმე ხელშეკრულებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა დსთ-ში ყოფნამ არა თუ პოლიტიკური, არამედ ვერავითარი ეკონომიკური საკითხის დადებითად გადაწყვეტას ვერ შეუწყო ხელი; უფრო მეტიც, რუსეთმა ემბარგო (2006 წ) და სხვა ჩვენდამი სამტროდ მიმართული სამეურნეო ხასიათის ღონისძიებები არ გვაკმარა და 2008 წლის აგვისტოში თავსაც დაგვესხა. ამის გამო, 2008 წლის 18 აგვისტოს პარლამენტმა ერთსულოვნად მისცა ხმა ჩვენი ქვეყნის დსთ-დან გამოსვლას.

თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამით საქართველომ პოლიტიკური და სამეურნეო კავშირები

გაწყვიტა დსთ-ს წევრებთან. საქართველოს მთავრობამ უკრაინასა და აზერბაიჯანთან ერთად შექმნა თავისუფალი სავაჭრო ზონა, მრავალი ხელშეკრულება გვაქვს დადებული სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) წევრქვეყნებთან და ა.შ. შედეგად, საქართველოს ექსპორტის 65% სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის.

როგორც ჩანს, არც სხვა წევრებს ეხატებათ გულზე დსთ-ში ყოფნა, რაც, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ დსთ-ს ბოლო შეკრებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2009 წლის 18 ივლისს, რუსეთის პრეზიდენტ მედვედევის მიერ მოწვეული იყო წევრი ქვეყნების ყველა პრეზიდენტი, მაგრამ მოსკოვში მხოლოდ ხუთი ქვეყნის პრეზიდენტი ჩავიდა. როგორც ჩანს, დსთ-ში რუსეთის ერთპიროვნული დიქტატი სხვა ქვეყნის ლიდერებსაც არ მოსწონთ.

სამაგიეროდ, ამ შეკრებაზე გამოცხადდნენ სეპარატისტული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ლიდერები. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს დსთ-ს ქვეყნების ხელმძღვანელობა მიაჩვიოს იმ აზრს, რომ ეს უკანასკნელნი უკვე შემდგარი სახელმწიფოები არიან, რომლებიც შესაძლოა ახლო მომავალში ასევე დსთ-ს წევრები გახდნენ.

ცხადია, რომ არა რუსეთის მისწრაფება ყველა საკითხის გადაწყვეტაში ეკავოს დომინანტური პოზიცია, აქაოდა დიდი, ძლიერი სახელმწიფო ვარო, დსთ-ს განვითარების საკმაოდ დიდი პერსპექტივა ექნებოდა. დღეს მთელი მსოფლიო ევროპიდან დაწყებული და აფრიკით დამთავრებული ეკონომიკური კავშირების შექმნა-გაფართოებისაკენ მიისწრაფის. მაგრამ რუსეთის ასეთი დამოკიდებულება აიძულებს დსთ-ს წევრ ქვეყნებს საკმაოდ ფრთხილად და დისტანციურად იყვნენ განწყობილნი დსთ-სადმი.

ამასთან დაკავშირებით გვსურს გავიხსენოთ შემდეგი:

ცნობილი ქართველი ეკონომისტი, ამჟამად რუსეთში მოღვაწე, პროფესორი ვალერიან ადვაძე თავის ახალ წიგნში „ეკონომიკური აზროვნების დეფიციტი" წერს: „პრეზიდენტი

(იგულისხმება ე. შევარდნაძე) სუამის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, (როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე წლის წინათ უზბეკეთმა დატოვა სუამი), აზერბაიჯანი, მოლდოვა) სახელმწიფოების ჰარმონიზაციის მომხრეა, რაც ხელს შეუწყობს ამ რეგიონალური ორგანიზაციის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას.

საინტერესოა ის, რომ დსთ-ს ფარგლებში გამოთქმა „კანონმდებლობის ჰარმონიზაცია" ჩვენ ჩინოვნიკებში ალერგიას იწვევს და ამ სიტყვებს მომზადებული შეთანხმებების პროექტებიდან აუცილებლად შლიან. ჩანს ისეთ რეგიონალურ ორგანიზაციებში, როგორიცაა დსთ, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ეკონომიკის განვითარებაზე საწინააღმდეგოდ მოქმედებს" – ირონიულად წერს ბატონი ვალერიანი.

რა თქმა უნდა, საწინააღმდეგოდ არ მოქმედებს, მაგრამ ნებისმიერ გაერთიანებაში, რომლის წევრიც არის რუსეთი, ჰარმონიზაცია იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მიერ შეთავაზებული კანონები უნდა მოქმედებდნენ და არა კანონები, რომლებიც კონსესუსის შედეგადაა მიღებული, და როგორც ეს ხდება ევროპულ თუ ამერიკულ სამეურნეო გაერთიანებებში. აი, ამიტომ ერიდებიან არა მხოლოდ საქართველო, არამედ სხვა ქვეყნებიც რუსეთთან ერთად რომელიმე პოლიტიკურ თუ სამეურნეო კავშირში ყოფნას.

თუ ბატონი ვალერიან ადვაძისათვის უცხოა რუსეთის პოლიტიკური მისწრაფებანი, შევახსენებთ, რომ ეს ქვეყანა ამჟამად მოქმედებს რუსი პოლიტიკოსისა და ეკონომისტის, ელქტროენერგეტიკული გიგანტის „რაო ეეს"-ის ხელმძღვანელის ანატოლი ჩუბაისის იდეებით, რომლის თანახმადაც რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში უნდა შექმნას ლიბერალური იმპერია. მისი (და არა მხოლოდ მისი) აზრით, სწორედ ამაში გამოიხატება „რუსეთის მისია XXI საუკუნეში".

ამ აზრის მომხრე რუსი პოლიტიკოსების აზრით, ეს იმპერია უნდა შეიქმნას არა ძალადობით, არამედ

ლიბერალური გზით. ამ მიზნით რუსეთმა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ხელთ უნდა იგდოს სტრატეგიული საწარმოები, რის შედეგადაც მოსკოვი ამ ქვეყნებზე თავის დიქტატს განახორციელებს.

რუსეთი ამ მიმართულებით უკვე მოქმედებს კიდეც. ამისათვის იგი განსაკუთრებით ენერგეტიკულ რესურსებს იყენებს. ეს თავისი პოლიტიკა რუსეთმა დაიწყო სომხეთით, სადაც 93 მლნ აშშ დოლარის ვალის სანაცვლოდ შესაბამისი ღირებულების ობიექტებს დაეპატრონა. 2002 წლის შემდგომ პერიოდში რუსეთმა აქ სხვა ობიექტებიც დაისაკუთრა.

მსგავსი მცდელობები რუსეთს საქართველოშიც მრავალი ჰქონდა. ზოგი წარმატებულიც, მაგალითად, „რაო ეეს"-ის მიერ „ეი-ეს-თელასის", „გაერთიანებული ქართული ბანკის" და ა.შ. ხელში ჩაგდება და ზოგიც წარუმატებელი, – მაგალითად, რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის დასაკუთრების მცდელობა (სხვათაშორის, ამ ოპერაციას ქართული რეფორმების „მამა" კახა ბენდუქიძეც ლობირებდა).

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში შემოსული რუსული კაპიტალი ქვეყანას საფრთხეს უქმნის (იხ. ნოდარ ხადური, საქართველოს ეკონომიკა და რუსეთის „ლიბერალური" იმპერია. საქართველოს ეკონომისტთა ს\პ კონფერენციის მასალების კრებული. 2008წ). ამიტომ, ამ საფრთხეების გასანეიტრალებლად, როგორც მეცნიერები ვლ. პაპავა და თ. თაფელაძე წერენ სტატიაში „ლიბერალური იმპერიის რუსული მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება", აუცილებელია, იმ ობიექტებზე, რომლებიც დღეს რუსული კაპიტალის და ასევე საეჭვო წარმომავლობის ფირმებს ეკუთვნიან, გაძლიერდეს ზედამხედველობა შესაბამისი უწყებების მხრიდან. შესაბამის კანონებში კი აისახოს ამ უწყებებისათვის ხსენებული მიმართულებით უფლებამოსილებათა გაძლიერების მექანიზმები.

უკრაინა და საქართველო

რუსეთის მიერ საქართველოსათვის ემბარგოს გამოცხადების შემდეგ (2006 წელი), მას ჩვენი ქვეყნისათვის გარკვეულად უკრაინა ჩაენაცვლა. ვერ ვიტყვით, რომ ეს ორი ქვეყანა პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით თანაბარი იყვნენ (უკრაინის მოსახლეობა 50 მილიონამდეა, რუსეთის – 140 მილიონზე მეტი), მაგრამ ამ სახით რუსეთთან შექმნილი ურთიერთობიდან საქართველოსათვის გარკვეული გამოსავალი რომ მოიძებნა, ესეც ფაქტია.

ჯერჯერობით, როგორც უკრაინას, ისევე საქართველოს, ერთი და იგივე პოლიტიკური ვექტორი აქვთ არჩეული, ანუ ორივე ქვეყანა დასავლეთის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ (ნატო და ევროკავშირი) სტრუქტურებში გაერთიანებისაკენ ისწრაფის. „ჯერჯერობით" იმიტომ ვამბობთ, რომ იანუკოვიჩის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გამორიცხული არაა, რომ ამ ქვეყანამ პოლიტიკური ვექტორი რუსეთის სასარგებლოდ შეცვალოს. ყოველ შემთხვევაში აქამდე ყველაფერი ამაზე მეტყველებდა. იანუკოვიჩი არჩევნებისას აცხადებდა, რომ მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში უკრაინა თავს დაანებებდა ნატოში გაწევრიანების მცდელობას. როგორც უკრაინის, ისე საქართველოს მიმართ რუსეთის უმთავრესი მოთხოვნაც არის.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაცხოველდა უკრაინასა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობანი. აღნიშნული კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

ცხრილი №28

უკრაინა – საქართველო: ვაჭრობის მაჩვენებლები

ათ. აშშ დოლარი

	2000	2003	2005
ექსპორტი	10,975	30,221	40,778
იმპორტი	35,372	80,266	199,511
ბრუნვა	46,347	110,487	240,289
სალდო	-24,397	-50,045	-158,733

საქართველოდან უკრაინაში დიდი რაოდენობით გადის ღვინო და ალკოჰოლური სასმელები და ჩაი. კერძოდ, 2006 წელს საქართველოდან უკრაინაში გავიდა 11,560,8 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ღვინო და ალკოჰოლური სასმელები და 246,6 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ჩაი.

სამაგიეროდ, იმავე წელს უკრაინიდან ჩვენ ქვეყანაში შემოვიდა 12,997,1 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სიგარა და სიგარეტი და 811,1 ათასი აშშ დოლარის ღირებულების შაქარი.

აღნიშნულ სავაჭრო ურთიერთობებში საქართველოს უარყოფითი ბალანსი აქვს, რომელმაც 20006 წელს -263,136,3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

ძნელი სათქმელია, რა მოხდება პრორუსული იანუკოვიჩის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, თუმცა უკეთესებისაკენ არ წავა საქმე. იანუკოვიჩმა და ასევე მისი პარტიის (რეგიონების პარტია) ლიდერებმა განაცხადეს, უკრაინა საქართველოსთან სავიზო რეჟიმს შემოიღებს, რაც შეაფერხებს ჩვენ ქვეყნებს შორის როგორც სავაჭრო, ისე სხვა სახის ურთიერთობებს.

როგორც ჩანს, უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა გარდაქმნებმა არ გაამართლეს ხალხის იმედი და მოლოდინი. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ის, რომ პრორუსული პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმარჩულება აირჩია ქვეყანამ, სადაც ეთნიკური რუსების რიცხოვნობა მთელ მოსახლეობაში 20%-საც არ შეადგენს?!

რეზიუმე

წინამდებარე წიგნი დაწერილია სამი უმთავრესი მიზნის მისაღწევად: ჯერ ერთი, შევეცადეთ შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა საქართველოს ეროვნული მეურნეობა, მის ძირითად დარგებში არსებული მდგომარეობა და განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, მეორე, ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარება შეგვედარებინა სხვა, ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩენილი ქვეყნების მდგომარეობისათვის, მესამე და უმთავრესი, ჩვენი მცირეოდენი წვლილი შეგვეტანა აღნიშნული პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის საქმეში.

შესაბამისად, ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია ის ძირითადი მაჩვენებლები და გამოკვეთილი ტენდენციები, რომელთაც ადგილი აქვთ ქვეყნის ეკონომიკაში, მის ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორებიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, საბანკო სისტემა, ვაჭრობა და სხვ.

ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახვა, და ალბათ მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკაში მიღწეულია თვალსაჩინო სამეურნეო წარმატებები – მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი, დაჩქარდა მისი ზრდის ტემპები, სერიოზულად იკლო კორუფციამ, გაიოლდა ბიზნესის დაწყება, განმტკიცდა საბანკო სექტორი, განვითარდა ინფრასტრუქტურა და სხვ.

თუმცა არც იმაზე შეიძლება თვალის დახუჭვა, რომ ჩვენს ეროვნულ ეკონომიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს უამრავ სირთულეს, რომელთა დროული გადაჭრის გარეშე ქვეყანა

არც თუ ისე შორეულ მომავალში მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

საშურია ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორიცაა დემოგრაფიული (ახალშობილთა დაბალი მაჩვენებელი, მოსახლეობის დაბერება, ემიგრაცია და ა. შ.), ჩავარდნებია სოფლის მეურნეობაში (ს/ს სავარგულების შემცირება და მათ ადგილზე გავერანებული სავარგულების წარმოქმნა, ძირითადი ს\ს პროდუქციის მოცულობების შემცირება, ტრადიციული სასურსათო პროდუქტების ინტენსიური ჩანაცვლება იმპორტით და სხვ.), მრეწველობაში (ზოგიერთი დარგის სრული განადგურება, ძირითადი საწარმოო საშუალებების მოძველება და მათი განახლების შეუძლებლობა) და სხვ.

უაღრესად რთულ მდგომარეობაშია ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი (განსაკუთრებით სავაჭრო ბალანსი – მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში იმპორტზე 80% მეტი მოდის და ეს მაჩვენებელი მატულობს), ბოლო ხანებში მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის ომის გამო, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა საბანკო სექტორი, რომელიც აქამდე წარმატებით საქმიანობდა, საფრთხის ქვეშაა ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარე და ა. შ. რთულადაა საქმე ბიუჯეტში, მკაცრი კონტროლის ქვეშაა ასაყვანი საგარეო ვალი, რომელიც სწრაფი ტემპით იზრდება და სხვ.

მართალია, როგორც შესწავლამ დაგვანახვა, მსგავსი პრობლემები აქვს თითქმის ყველა განვითარებად თუ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანას, მაგრამ ეს საქართველოსათვის შეღავათი როდია და ხელისუფლების ვალია აღნიშნული პრობლემების დროული და სათანადო მოგვარება. წიგნში მოცემულია აღნიშნული პრობლემების გადაჭრის ავტორისეული გაგება.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ლექტორების და საერთოდ, ყველა იმ ადამიანისათვის, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური წინსვლა.

Resume

The book „Georgia in Global World" is written in order to achieve three aims, first - we tried to study Georgia`s national economy, existing situation in its main branches and the main prior direction in its development, on the other hand - we wanted to compare it with other countries being in the same situation and, the third and main is to take tiny part in study and solving of mentioned problem.

In the book is studied and analysed main indicators and tendencies having place in country"s economy, in its traditional branches such as industry, agriculture, building, bank system, trade, etc.

Analyse done by us has shown, and probably readers will also agree with us, that in last period in country"s economy has been reached noticeable success and it has been groun total inner products, it hase been groun rate of its grouth, corruftion has been decreased, it has been become easier business management, it has been improved bank sector, developed infrastructure, etc.

Through it should also mentioned that in national economy yet there are a lot of difficulties, which will make hard sitiation in case if these problems will not be solved in time.

The greatest importance has such problem as demography (low birth-rate, emigration, etc). Serious problems are in agriculture (decrement of agriculture useful lands which are replaced by ruined useful land, decrement of agricultural products, replacement of tradicional products by imported ones, etc). In industry full destruction of some branches and means of production and impossibility of their rehabilition etc.

As the study has shown tax system balance is in hard situation (especially its important part – trade balance – more than 80% comes on import and this indicator is being increased).

Financial crisis in the world and Georgia-Russian war put bank sector in a very difficult situation, which was successful before above mentioned events. Rate of currency is also under danger, etc. Besides country"s budget is in very hard situation. The Government should control foreign debt which is being increased.

It is true that all mentioned problems have almost all developing countries, but it can"t be relief for Georgia. And duty of the government is to solve all mentioned problems in time. In the book there is given the ways to overcome these problems.

The book is published for students, lecturers and for those people, who think about economical and social progress in Georgia.

დანართი

საქართველოს ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები

	2006 ფაქტ	2008 ფაქტ	2010 პრონგ
ეროვნული შემოსავალი და ფასები			
ნომინალური მშპ	18,7%	12,2%	4,0%
რეალური მშპ	9,4%	2,1%	2,0%
ნომინალური მშპ			
მლნ ლარი	13789,9	1969,6	1946,4
მლნ დოლარი	7761,9	12795,6	11405,1
მშპ ერთ სულზე			
ლარი	3133,1	4351,7	4341,4
დოლარი	1763,5	2920,3	2602,6
ინვესტიციები,მლნ ლარი	5134,3	6673,6	7707,7
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	9,2%	10,0%	2,0%
ნაერთი ბიუჯეტი			
გადასახადები და სოციალური შენატანები	30,6%	8,2%	6,9%
გადასახადები	33,5%	29,5%	6,9%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	31,9%	21,0%	3,1%
ხარჯები	31,5%	26,8%	2,5%
საგარეო სექტორი			
ექსპორტი	17,9%	14,4%	9,6%
საქონელი	13,1%	14,9%	10,7%
მომსახურება	28,0%	13,6%	7,6%
იმპორტი	33,9%	25,7%	7,1%
საქონელი	38,0%	24,1%	7,3%

მომსახურება	16,2%	34,0%	5,8%
ფული და			
კრედიტი (პერ. ბოლოს)			
სარეზერვო ფული	19,1%	-4,5%	6,9%
ფართო ფული 3	39,3%	7%	5%
ფართო ფული 2	29,8%	-13%	6,9%
ფულის მომოქცევის სიჩქარე			
3	5,2	4,5	4,7
2	9,9	10,3	10,2
მთლიანი საერთაშორისო			
რეზერვები			
ერთი თვის საშუალო			
იმპორტის ჯერადი	2,5	2,4	3,1
მლნ დოლარი	930,8	14801	1591,2
საპროცენტო განაკვეთი			
(ერ. ვალუტაში,) %			
სესხებზე	19,8%	23,2%	19%
დეპოზიტებზე	10,1%	11,3%	9,5%
(%-ლად მშპ-სთან)			
რეალური სექტორი			
ინვესტიციები	37,2%	35%	40,5%
ნაერთი ბიუჯეტი			
შემოსავლები	26,8%	30,7%	29,1%
გადასახადები და სოც. შენატ.	228%	24,9%	24,4%
ხარჯები და არაფინანსური			
აქტივების შეძენა	28,6%	36,3%	36,4%
ხარჯები	22,2%	28,3%	28,1%
არა ფინანსური აქტივების			
შეძენა	6,4%	8%	8,3%
საგარეო სექტორი			
სავაჭრო ბალანსი	-26,2%	-29,4%	-25,5%
მიმდინარე ანგ.ბალანსი			
ტრანსფერების გარეშე	-22,1%	-29,9%	-27,1%

ტრანსფერების ჩათვლით	-15,3%	-21,6%	-19,6%
სახელმწიფო ვალები			
მთავრობის ვალი %-ლად მშპ-სთან	32%	31,2%	45,3%
საგარეო ვალი %-ლად მშპ-სთან	21,1%	23,5%	36,2%
საგარეო ვალი %=ლად ექსპორტთან	66,5%	73,3%	124,6%
საგარეო ვალის მომსახურება %=ლად ექსპორტთან	6%	2,2%	5,3%
საგარეო ვალი %-ად ბიუჯეტის შემოსავლებთან	78,7%	76,6%	124,4%
საშინაო ვალი %-ლად მშპ-სთან	11%	7,7%	9,2%
საგარეო ვალის მომსახურება %-ლად ბიუჯეტის შემოსავლებთან	7,3%	2,1%	5,3%

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში

	2008წ.ფაქტ.	2010წ.	ცვლილება
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,363,542	1,657,916	107%
თავდაცვა	1,548,412	748,301	83%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	983,461	781,281	94%
ეკონომიკური საქმიანობა	572,717	930,533	107%
სოფლის მეურნეობა	45,259	84,062	94%
გარემოს დაცვა	21,662	21,218	64%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4,822	8,723	91%
ჯანმრთელობის დაცვა	285,993	415,338	112%
დასვენება, კულტურა და რელიგია	102,125	124,249	94%
განათლება	419,242	528,687	109%
სოციალური დაცვა	1,156,100	1,257,110	93%
სულ	6,448,085	6,473,355	99%

პროცენტულად მშპ-თან

	2008წ. ფაქტ.	2010წ, გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7,2%	8,7%
თავდაცვა	8,1%	3,9%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	5,2%	4,1%
ეკონომიკური საქმიანობა	3%	4,9%
სოფლის მეურნეობა	0,2%	0,4%
გარემოს დაცვა	0,1%	0,1%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0%	0%
ჯანმრთელობის დაცვა	1,5%	2,2%
დასვენება, კულტურა და რელიგია	0,5%	0,7%
განათლება	2,2%	2,8%
სოციალური დაცვა	6%	6,6%
სულ	33,8%	33,9%

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკურ ჭრილში

დასახელება	2008წ. ფაქტი	2010წ. გეგმა	გადახრა 2010/2009
შრომის ანაზღაურება	913,143	1,045,961	103%
საქონელი და მომსახურება	1,508,751	856,210	105%
პროცენტი	119,282	229,856	127%
სუბსიდიები	362,527	225,474	41%
გრანტები	858,867	979,829	123%
სოციალური უზრუნველყოფა	1,296,057	1,488,236	105%
სხვა ხარჯები	506,058	650,767	88%
სულ	5,554,685	5,476,332	

გადასახადის განაკვეთები .დასახელება	2008 წ.	2010წ.
საშემოსავლო გადასახადი	25%	20%
დივიდენდებზე	10%	5%
პროცენტებზე	10%	0%
მოგების გადასახადი	15%	0%
დღგ	18%	18%
აქციზი	დიფ.	დიფ.
საბაჟო გადასახადი	0,5;12%	0,5;12%
ქონების გადასახადი	1%	1%

საგადასახადო შემოსავლები დასახელება	2008წ.ფაქ.	2010წ. პროგ.
საშემოსავლო გადასახადი	1,314,676	1,233,000
დივიდენდებზე		
პროცენტებზე		
მოგების გადასახადი	624,245	535,000
დღგ	2,052,585	2,039,000
აქციზი	529,98	538,000
საბაჟო გადასახადი	51,539	74,000
ქონების გადასახადი	129,320	201,000
სხვა არაკლასიფიცირებული	24,000	31,000
სულ	4,726,345	4,651,000

სარჩევი 1648

ავტორისაგან 4
დემოგრაფიული ცვლილებები 7
პრობლემები შრომის ბაზარზე 17
დასაქმება ქვეყნის უმთავრესი პრობლემაა 26
კვლავ დასაქმებასა და უმუშევრობაზე 31
ქართველი ემიგრანტების ფულადი გზავნილები 36
წარმოების ეფექტიანობა 39
ამ დარგს მეტი ყურადღება სჭირდება 49
სოფლად აუთვისებელი პოტენციალი 61
საკრედიტო კავშირები 75
რა ხდება ტყავის ტომარაში 81
საბანკო სექტორი - ოაზისი სამეურნეო უდაბნოში 86
ვალი მევალესაო 89
ეროვნული ვალუტის პრობლემები 97
საგადასახდელო ბალანსი 101
საერთაშორისო რეზერვები 115
ძნელი ხარ სიღარიბეო 121
სიღარიბის მასშტაბები სხვა ქვეყნებშიც იზრდება 128
„სამოთხიდან ჯოჯოხეთამდე" არც ისე შორი ყოფილა 131
„სამოთხეების" მოკლე ისტორია 132
რა ღირს „სამოთხეში" მოხვედრა 133
„სამოთხეებთან" ბრძოლა მწვავდება 134
საქართველოს სადაზღვევო ბაზარი 138
უცხოური ინვესტიციები და ძირითადი ინვესტორები 142
ა. გზები და ნავთობსადენები 156
ბ. საზღვაო ტრანსპორტი 158
გ. ტელეკომუნიკაციები 158
დ. ფინანსური მომსახურება 159
ე. ენერგეტიკის სფერო 161
ვ. მრეწველობა 162
ზ. მშენებლობა 163
თ. ტურიზმი და სასტუმროები 164
რუსეთი და საქართველო 169
უკრაინა და საქართველო 173
რეზიუმე 175
Resume 177
დანართი 179
სარჩევი 184